

2  
2012

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი



ნადარიფერენც ლისტი. 1886 წლის მარტი

# მუსიკა

MUSIKA  
Journal of Creative Union of Composers of Georgia  
2•2012



ჟურნალი გამოიცემა  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

სიახლეები ნესტან მესხი. ოთხი პრევიერა .....	2
თარიღი რუსუდან ქუთათელაძე. გურაბ სოსპილავა 75 .....	10
კონკურსი შორენა მეტრეველი. ვაჟ ავრონიძის სახანა .....	13
რევიუნიდან გულბათ ტორაძე. პრევიერა ბათუმის საზღვარ თეატრი .....	16
სსოვნა ნესტან მესხი. Requiem .....	18
მუსიკა და მხატვრობა თამარ ბელაშვილი. სერგო ქობულაძე და მუსიკალური თეატრი .....	23
რევიუნიდან ფისო დარახველიძე. დღესასწაული ვაფაძე .....	30
ფილოზოფი ხელოვნება ნესტან მესხი. ჯეგანიძის სახელსუ კომპოზიტორი .....	32
განათლება თამარ სინარულიძე. ასალგაზრდული „ბენდი 19“ აღმავლობის გზაზე .....	38
სახე ცისანა ბოტკოველი. წარმავალი პიანისტი საბია პენიათიშვილი .....	41
მსოფლიო კლასიკოსები მია სიგუა. არნოლდ შოპერის საიუბილეო საღამო .....	43
თარიღი ლალი კაკულია. დავით თორაძე .....	46
ვილონა ველსვამთ .....	52
მუსიკოსის დღიური თუმანიშვილი. დანდოშვილი ხანა .....	54
ფალიაშვილის მემორიალიდან გულბათ ტორაძე. „გ. ფალიაშვილის ნაღი“ გვამაღვებულებს .....	60
მსოფლიოს ფურცალი თამარ ნულუკიძე. კეთილშობილი კვლი .....	65
ახალი გამოცემები ცისანა ბოტკოველი. ნიში მასხაშვილი ჯაბაიანა .....	68
ახალი გამოცემები ნინო ლამბაძიძე. „მეო საქართველოდან“ .....	72
ჯაზი კახა თოლორდავა. დავითიანული მადლობა მუსიკოსს .....	74
www .....	78
summary .....	80

რედაქტორი: მიხეილ ოძელი  
თანარედაქტორები: შია ჯაფარიძე, თამარ ნულუკიძე  
ფილიანი: ვანტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფბოძე  
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123  
ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05  
ფაქსი: (+995 32) 96 86 78

# ოთხი პრაქტიკა

(ქართული საკვარტეტო მუსიკის კონცერტი)

საკვარტეტო მუსიკა, ჩემი აზრით, თავისი ბუნებით ინტრავერტულია. რიხარდ ვაგნერი წერილში „გერმანული მუსიკის არსის თაობაზე“ საუბრობს გერმანელების მახასიათებლებზე და მიიჩნევს, რომ სწორედ მათი ბუნება-ხასიათი (ვაგნერის დახასიათებით სწორედ ინტრავერტულობის ნიშნებს რომ ატარებს – მ.ჯ.) განსაზღვრავს მათ უპირატეს მიდრეკილებას ინსტრუმენტული მუსიკისადმი: „რა არის გასაკვირი იმაში, რომ თავის თავში ჩაღრმავებული და მეოცნებე გერმანელი სხვა მუსიკალურ ჟანრებთან შედარებით უპირატესობას ინსტრუმენტალ მუსიკას ანიჭებს“ –ო. მათ შორის იგი საუბრობს სწორედ საკვარტეტო მუსიკის განსაკუთრებულ როლზე რიგირთი გერმანელის ყოფაშიც კი. ქართველები თავისი ბუნებით უპირატესად ექსტრავერტულნი არიან. მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულ საკომპოზიტორო სკო-

ლას სწორედაც რომ საკვარტეტო ჟანრში, კამერული მუსიკის ასე ვთქვათ, ელიტარულ, ფრიად ინტიმურ ჟანრში ჰქონდა დიდი მიღწევები. ამის დასტურად სხვა რომ აღარავინ დავასახელოთ, კმარა სულხან ცინცაძის შემოქმედებაც, რომელმაც დიდი ხანია საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

საკვარტეტო მუსიკა საქართველოში არსებობის თითქმის საუკუნეს ითვლის. პირველი საკვარტეტო საშემსრულებლო ანსამბლის დაარსებისთანავე, მაღევე ჩნდება ამ ჟანრის პირველი ქართული ნაწარმოები, ყარაშვილის კვარტეტი. შემდგომ კი ქართული საკომპოზიტორო სკოლის თითქმის ყველა წარმომადგენელი შეეხო ამ ჟანრს და, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიქმნა კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში. თუ გადავხედავთ ქართული საკვარტეტო მუსიკის ისტორიას, ვნახავთ, რომ დღეს უკვე სოლიდური, და,




თაზარ ბულია,

ამასთან, დასეული მემკვიდრეობა გვაქვს. სანუხაროდ, ქართული საკვარტეტო ჟანრის მძლავრი აღმავლობის ხანა ქვეყანაში მიმდინარე ურთულესმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პროცესებმა შეაჩერა. ოცნლიანმა მძიმე პერიოდმა ჩვენს კულტურულ ცხოვრებას თავისი კვალი დააჩნია და ამ ჟანრის განვითარებასაც შეეხო. საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს ერთხანს ემიგრაციაში მოუხდა მოღვაწეობა. ამ დროის მანძილზე სახელოვან სამემსრულებლო კოლექტივს არასტაბილური საკვარტეტო ანსამბლები ანაცვლებდა, ხოლო იშვიათად გაჟღერებული ქართული საკვარტეტო ჟანრის ერთეული ახალი ნიმუშები საერთო სურათს ვერ ქმნიდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს ჟანრიც, სხვა ჟანრების მსგავსად, აღარ ვითარდება. სულ ახლახანს გამართულმა ქართული საკვარტეტო მუსიკის კონცერტმა აჩვენა, რომ ტრადიციები გრძელ-

დება. ამიტომ საკვარტეტო მუსიკის სადამო, რომელზეც ქვემოთაა საუბარი, ვფიქრობ, რომ ქართული მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. სადამომ ქართული მუსიკალური საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია და მოლოდინიც გამართლდა. დარბაზი სავსე იყო მსმენელით, რაც არცთუ ხშირი მოვლენაა ქართული თანამედროვე კამერული მუსიკის კონცერტებზე.

ქართული საკვარტეტო მუსიკის კონცერტი 28 მარტს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა. კონცერტი მრავალი ნიშნით იყო გამორჩეული. ჯერ ერთი, ქართული საკვარტეტო მუსიკის კონცერტები ამ წლების მანძილზე იშვიათობა იყო, არცთუ ხშირად გვიწვდა ახალი ქართული კვარტეტების მოსმენაც, თან ასეთი მრავალფეროვნებით. მეორეც, კონცერტის



ალექსი მაჭავარიანი

პროგრამაში შესრულდა სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ინდივიდუალობის მქონე კომპოზიტორთა ნაწარმოებები: ქართველი კლასიკოსის, ალექსი მაჭავარიანის, ე.წ. 70-იანელების — გიორგი შავერზაშვილისა და მიხეილ ოძელის, ბოლოს კი რევამ კიკნაძის ოპუსი. რ. კიკნაძე 80-იანი წლების ბოლოს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. შესაბამისად, კონცერტზე ოთხი განსხვავებული ხედვა, ოთხი განსხვავებული სტილი, ოთხი განსხვავებული ტექნიკა და ურთიერთგანსხვავებული კონცეფცია იქნა წარმოდგენილი. ოთხივე ნაწარმოები საპრემიერო იყო, პირველად სრულდებოდა, რაც კიდევ უფრო აღვივებდა მსმენელთა ინტერესს.

ალექსი მაჭავარიანს კვარტეტი №5 ავტორს გარდაცვალებამდე სულ ორიოდე წლით ადრე, ანუ 1993 წელს დაუწერია. კვარტეტი ციკლის ტრადიციული აღნაგობის მიუხედავად სრულიად ახლებურად, თანამედროვედ ჟღერდა. დასაწყისში ძნელად ამოსაცნობიკ კი იყო, რომ ეს ალექსი მაჭავარიანია, თუმცა არ მიკვირს, რადგან გასული საუკუნის 90-იანი წლების ტრაგიკულმა მოვლენებმა არსებითად შეცვალა ქართველი ადამიანის ცნობიერება, დაღი ღრმად დაასვა თითოეულ ქართველს და ბუნებრივია, არც ისეთი შემოქმედისთვის ჩაივლიდა უკვალოდ, როგორც ალექსი მაჭავარიანი ბრძანდებოდა. იმ წლების ფსიქო-ემოციურ

განწყობილებათა ანარეკლი აშკარად იგრძნობოდა კვარტეტის ტრაგიკულ ჟღერადობაში, მის მთავარ, მჭახედ დისონანსურ ინტონაციებზე აგებულ, ერთი მოსმენით თითქოსდა ნაცნობ, მაგრამ ამავედროულად უცნობ სევდიან თემაში, რომელიც მთელ ნაწარმოებს გასდევდა. მუსიკა ემოციურად დატვირთული, დინამიკური და დრამატიზმით განმსჭვალული იყო, ფორმა მწყობრად ნაგები. საგულისხმოდ ისიც მიმაჩნია, რომ მსკოვანმა ოსტატმა ასე მძაფრად შეგრძნო ახალი მუსიკალური ენის თავისებურებანი, ახლებურად ამეტყველდა და ამავედროულად მკვეთრად ეროვნული იერსახე შეინარჩუნა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ახლო წარსულის, გასული საუკუნის 90-იანი წლების ისტორიულმა მოვლენებმა განსაზღვრა ნაწარმოების მხარტერულ-ემოციური შინაარსი, იმ დროის მძიმე განწყობილება ქართველმა კლასიკოსმა საუცხოოდ გამოხატა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ თხზულებაში.

პროგრამის შემდეგ ნომრად შესრულდა გიორგი შავერზაშვილის კვარტეტი. ნაწარმოებში აშკარად გამოვლინდა კომპოზიტორის შემოქმედების ინდივიდუალური მახასიათებლები, პირველ ყოვლისა, მისი იმპროვიზაციული ნიჭი. კვარტეტი გამოირჩევა თემატურ-ინტონაციური მასალის სიუხვით, სადაც ლირიკულ თემატურ მასალას, მართალია არცთუ ხანგრძლივ მონაკვეთზე, ენაცვლება დინამიკური ინტონაციური მასალა. ურთიერთგანსხვავებული ემოციური შინაარსის მუსიკის მონაცვლეობა საკმაოდ ლაკონურ მუსიკალურ ქსოვილს ქმნიდა. მთლიანობაში შავერზაშვილის კვარტეტი — ნაწარმოების თემატურ-ინტონაციური მასალა, მათი შენაცვლების პრინციპი, ემოციური განწყობა, ჩემი აზრით, კინომუსიკის ესთეტიკის მატარებელია.

თითქმის ოცწლიანი დუმილის შემდეგ კვლავ აქლერდა მიხეილ ოძელის ახალი ნაწარმოები.

უნდა ითქვას, რომ ქართული პროფესიული მუსიკისათვის ამ მძიმე ორი ათწლეულის მანძილზე, იშვიათად, მაგრამ მაინც, კომპოზიტორებს გამოჰქონდათ ხოლმე თავიანთი თხზულებები მსმენელთა სამსჯავროზე. მიხეილ ოძელი კი წლების მანძილზე თავს იკავებდა ახალი ნაწარმოების ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენისაგან. ახალმა კვარტეტმა გვიჩვენა, რომ კომპოზიტორი მუდმივ ძიებაში ყოფილა.

მუსიკალურ სამოგადოებას კარგად ახსოვს მიხეილ ოძელის პირველი საკვარტეტო ოპუსის წარმატება, ამიტომ გასაკვირი არც იყო, რომ მსმენელი დიდი ინტერესით ელოდა მის მეორე კვარტეტს. აღმოჩნდა, რომ ეს თვისობრივად ახალი ეტაპია კომპოზიტორის შემოქმედებაში. განსხვავებულია საკომპოზიტორო ნერის ტექნიკა, პირველი კვარტეტისგან განსხვავებით ხალხურ მასალასთან მკაფიო კავშირი ამჯერად არ იგრძნობა. მართალია, ეროვნულ ფოლკლორთან კავშირი არ განწყვეტილა, მაგრამ ეს უფრო გაშუალებულია ვლინდება – მეტრო–რიტმში, დინამიკაში, კონცეფციაში. საერთო ჯამში ნაწარმოებს ეროვნულ ქედრადობა მაინც ახასიათებს. ეფექტურ, დინამიკურ, თავბრუდამხვევ პირველ მონაკვეთს საცეკვაო ეპიზოდებით, რომელიც თავისი დისონირებული ხმოვანებით, სწრაფი ტემპით ვაკხანალიას მოგვაგონებს სადაც ყველა ხმა თავისას ამბობს ერთმანეთის დამოუკიდებლად და არა ხმაშენწყობილად. შინტერესო ნიუანს ქმნის დისონირებულ აკორდიკაზე აგებული ტიხრებიც. ამ მონაკვეთს მოჰყვება ნელი ნაწილი, სადაც ძალზე შორიდან, თითქოსდა ქართული „ნანას“–დაგვარი ინტონაცია მოისმის, თუმცა ძალზე ნელი ტემპის, მაღალი რეგისტრის, გამჭვირვალე ფაქტურის გამო უშუალო კავშირი ძნელად აღსაქმელია. კვარტეტის ეს მონაკვეთი ერთგავრი განწმენდა თითქოს მჭახე და თავბრუდამხვევი „ვაკხანალიის“ შემდეგ. ჩანს კომპოზიტორმა ჩვენი რეალობის მისეული ხედვა წარმოგვიდგინა ამ ნაწარმოებში.

როდესაც ამ კვარტეტის კომპიუტერული ვერსია მოვისმინე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნაწარმოების ტექნიკურად შესრულება ძნელად წარმოსადგენი იყო, მუსიკა, ერთი შეხედვით, კვარტეტის შემადგენელ სიმებიან ინსტრუმენტების შესაძლებლობებს სცილდებოდა, მაგრამ ცოცხალმა შესრულებამ ეს პირველადი შთაბეჭდილება გაანელა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ნაწარმოები მაინც საკმაოდ რთულ საშემსრულებლო ამოცანებს აყენებს. პირველი მოსმენისას ზოგიერთი ეპიზოდი ერთიდაიგივე მონაკვეთების გამეორების გამო გაჭიანურებულად მეჩვენა. ვფიქრობდი, რომ განმეორებადობა კვარტეტს თვისობრივად ახალს არაფერს სძენდა, მზარდ დინამიკასაც ანელდება და ნაწარმოებს ნაკლებ კომპაქტურს ხდიდა, მაგრამ საკვარტეტო სა-



რეჟავ კიკნაძე

შემსრულებლო ანსამბლმა თითოეული გამეორებული ეპიზოდი იმდენად დატვირთა ახალი ნიუანსით, იმდენად განსხვავებული ემოციით შეასრულა, რომ პირველადი შთაბეჭდილება მეტ-ნაკლებად გამიქარწყლდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შემსრულებელთა როლი ახალი ნაწარმოების წარდგენისას. საკვარტეტო კოლექტივის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ რთულ ამოცანას საუკეთესოდ გაართვა თავი.

ვფიქრობ, მიხეილ ოძელის 20 წლიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, პრემიერა წარმატებული იყო.

კონცერტის დასასრულს შესრულდა რეჟავ კიკნაძის „ოთხი მკაცრი ბავატელი“.

რეჟავ კიკნაძე კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ გერმანიაში მოღვაწეობდა. ამდენად, ცხადია, საქართველოში მის საკომპოზიტორო შემოქმედებას ნაკლებად იცნობენ. ვფიქრობ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ქართული აუდიტორიის ინტერესს აღვივებდა ისიც, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კომპოზიტორი და ჯაზმენი ახლახანს კონსერვატორიის რექტორად იქნა არჩეული.

როგორც თვითონ კომპოზიტორმა აღნიშნა, და სათაურიც მიგვითითებს, ნაწარმოები ბრამსის ერთ-ერთი



მისილ ოძალი

ყველაზე ტრაგიკული ნაწარმოებითაა შთავგონებული. ეს არის ხმისა (ბანი) და ფორტეპიანოსათვის განკუთვნილი ვოკალური ციკლი „ოთხი მკაცრი მონამღერი“. ცნობილია, რომ ბრამსმა ეს ნაწარმოები გარდაცვალებამდე II თვით ადრე, ცხოვრების ურთულეს პერიოდში დაწერა — მან დაკარგა უახლოესი ადამიანი, კლარა ვიკი, ვის გვერდითაც მან 40 წელი გაატარა.

დიდი კლასიკოსის ეს შესანიშნავი თხზულება, ვოკალური ციკლი ხმისა და ფ-ნოსათვის, გაჟღერებულია მოახლოებულ სიკვდილზე ფილოსოფიური ჭკრეტითა და ფიქრით. ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ბიბლიური ტექსტი, ხოლო ციკლის №1 და №2 ნომრის სიტყვიერი ტექსტი ეკლემიასტედანაა ნასესხები. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაგატელის ჟანრი სიმებიანი კვარტეტის ჟანრისათვის იშვიათობა იყო, თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ ა. ვებერნის 6 ბაგატელს სიმებიანი კვარ-

ტეტისათვის. თვით ბაგატელის ჟანრს კი თანამედროვე კომპოზიტორები ხშირად მიმართავენ. მაგალითად, ვალენტინ სილვესტროვის შემოქმედებაში იგი ნამყვანი გახდა, ვინაიდან კომპოზიტორს მიაჩნია, რომ სპონტანური თვითგამოხატვისათვის, აზრის იმპროვიზაციული გადმოცემისათვის, ბაგატელი საუკეთესო ფორმაა. შესაძლოა რევამ კიკნადისათვისაც, როგორც ჯამბენისა და იმპროვიზატორისათვის, ეს ფორმა ამიტომ გახდა მიმზიდველი.

ვერ ვიტყვოდი, რომ კიკნადის ნაწარმოებში შეინიშნება რაიმე პირდაპირი, თვალახილული კავშირი ბრამსის შედევრთან, თუმცა ნაწარმოები თავისი ტრაგიკული განწყობით (განსაკუთრებით პირველი ბაგატელი), მზარდი დინამიკით, ეხმიანება ბრამსის ეპიკურ ვოკალურ ტილოს. პარტიტურაში გამომჟღავნდა აგრეთვე რ. კიკნადისათვის დამახასიათებელი მუსიკალური აზრის, ქსოვილის თავისუფლად, თანდათანობით ჩამოყალიბების პრინციპიც, რაც, უთუოდ, კომპოზიტორის იმპროვიზაციული აზროვნების თავისებურებაში იღებს სათავეს და ამიტომაც იგი ხშირად მიმართავს ალექსანდრე სხვადასხვა ხერხებს. ამ კუთხით საინტერესო იყო ნაწარმოების რიტმული მხარეც — სწორედ რიტმული თუ დინამიური ხერხების გამოყენებით, კომპოზიტორი საინტერესო ეფექტებს აღწევს (მაგ.: II ბაგატელი). აქაც საკვარტეტო კოლექტივი არ იდგა იოლი ამოცანის წინ და ნაწარმოები მოითხოვდა არა მხოლოდ პროფესიონალიზმს, არამედ იმპროვიზაციული უნარის ფლობას.

„მოგჯერ სიტყვები ტყუიან. ადამიანები პირფერობენ. მხოლოდ მუსიკას არ შეუძლია ტყუილი“ (სინ ძიანი). ვფიქრობ, ოთხივე კომპოზიტორზე მუსიკამ თავისი სათქმელი თქვა და თითოეულის შემოქმედებითი სახე, მასშტაბი და სათქმელი შესანიშნავად წარმოაჩინა.

ვფიქრობ, საკვარტეტო მუსიკის საღამომზე წარმოდგენილი ოთხივე ნაწარმოები ქართული საკვარტეტო მუსიკის მნიშვნელოვანი და საინტერესო შენაძენია.

ბოლოს არ შეიძლება არ აღვნიშნო საკვარტეტო სამემსრულებლო კოლექტივი — გია ხაინდრავას (I ვიოლინო), თამარ ბულიას (II ვიოლინო), ირაკლი ჯაფარიძის (ალტი), გიორგი ჯორჯაძის (ჩელო) შე-

მადგენლობით. მუსიკოსებმა გამოავლინეს მაღალი პროფესიული დონე, საუკეთესო ხარისხით შესრულეს 4 სხვადასხვა თაობის კომპოზიტორის სრულიად სხვადასხვა ესთეტიკის, განსხვავებული საკომპოზიტორო ტექნიკის მქონე ნაწარმოები. მათმა შესრულებამ დაბნეულ აუდიტორიის მხურვალე აპლოდისმენტები დაიხსახურა. ჩემს მხრივ მივესალმები ამ მუსიკოსების თავდადებას ეროვნული მუსიკის პროპაგანდის საქმეში.

კონცერტის შემდეგ მსმენელები გულითადად ულოცავდნენ შემსრულებლებსაც და კომპოზიტორებსაც. ეს არ იყო სავალდებულო რიტუალი. მსმენელი, რომელთა შორის პროფესიული მუსიკოსები ჭარბობდნენ (ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ პროფესიონალები მკაცრი კრიტიკოსები არიან, რადგან კარგად ესმით ახალ ნაწარმოებთა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, პროფესიული ხარისხი) ნამდვილად კმაყოფილი იყო, დარბაზს ტოვებდა იმედიით, რომ ქართული საკვარტეტო მუსიკა სიცოცხლეს აგრძელებს.

### შთაბეჭდილებები

**შავლეგ შილაკაძე** (კომპოზიტორი, მევიოლინე, ალტისტი, დირიჟორი):

სიმებიანმა კვარტეტმა (კოლექტივმა) ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანა განახორციელა. მათი მეოხებით გავეცანით ჩვენთვის უცნობ საინტერესო ნაწარმოებებს.

ძალიან სასიამოვნო ფაქტი იყო, რომ შესრულდა ა. მაჭავარიანის ნაწარმოები – კვარტეტი №5. ჩემთვის მოულოდნელი იყო, თავისთავად ნაწარმოებიდან გამომდინარე. მაჭავარიანისთვის უჩვეულო იყო ეს ჟანრი, რომელსაც სიცოცხლის ბოლო პერიოდში მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის უკვე სიმნიშვნის პერიოდი იყო, კვარტეტიდან კვარტეტამდე იგრძნობოდა ზრდა. ნაწარმოებმა, მართლაც, სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

გულწრფელად მომეწონა გიორგი შავერმაშვილის ნაწარმოები, თავისი დახვეწილობით. განწყობილება შექმნილი იყო. გოგი შესანიშნავი მუსიკოსია, პროფესიონალი, იმპროვიზატორი, მისგან ყოველთვის მოვე-



გიორგი შავერმაშვილი

ლით რაღაც საინტერესოს და ამ ნაწარმოებითაც მივიღეთ ეს.

მიხეილ ოძელის პირველი კვარტეტი ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, ამიტომ დიდი ხანია მისგან ველოდებოდით მომდევნო ნაწარმოებს ამ ჟანრში. სანამ ეს ნაწარმოები შესრულდებოდა, მე ვნახე ნოტები და გამიკვირდა, ისეთ სირთულეს წარმოადგენდა შესრულების თვალსაზრისით. ეს კიდევაც ვუთხარი ავტორს. სწორედ შემსრულებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად გაართვეს თავი ამ ამოცანას. ნაწარმოები უთუოდ შთამბეჭდავია, მაგრამ კომპოზიტორს ისიც ვუთხარი, რომ რამდენიმე ეპიზოდი გაჭიანურებული მეჩვენა, ამიტომ ცოტა არ იყოს „მაკრატელი“ სჭირდება. ამ შემთხვევაში ნამდვილად მოიგებს ნაწარმოები და მეორე შესრულებისას სულ სხვა ხარისხში აღიქმება.

რეზო კიკნაძის „ბავატელები“ სერიოზული ნაწარმოებია. მე ეს ნაწარმოები ვიცი, 1995 წელს გერმანიაში შესრულა კამერულმა ორკესტრმა. ბ-მა ვიაცხელმა წამოიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისა-



ხავდა ამიერკავკასიის კამერული ორკესტრის ჩვენებას. მაშინ გერმანელებმა ძალიან აიტაცეს ეს იდეა. მაგრამ პრაქტიკული განხორციელება ძალიან ვართულდა. აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი სომხებთან ერთობლივი გამოსვლის წინააღმდეგ წავიდა. ამ დროს ძალიან მონდომებული იყო მათი კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ფარაჯ ყარაევი, ყარა ყარაევის ვაჟი. მან ასეთი გამოსავალი მოძებნა – გვერდი აუარა კულტურის სამინისტროს და განათლების სამინისტრო ჩართო პროექტში. ამის შედეგად, სწორედ იქ მყოფ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის შესანიშნავი ურთიერთობა დამყარდა.

ეს ყველაფერი კი გამახსენა რებო კიკნაძის ნაწარმოებმა, რომელმაც მაშინაც ძალიან საინტერესო შთაბეჭდილება დატოვა. თვითონ რებოს მიაჩნია, რომ ეს მაინც კვარტეტისთვის არის შექმნილი. ამჯერად კიდე ერთხელ დადასტურდა, რომ ძალიან საინტერესო ნაწარმოებია და ძალიან საინტერესო ავტორი.

**დოდო გოგუა** (მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი):

მისასაღმებელია, რომ კომპოზიტორთა კავშირში აღსდგა ტრადიცია ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების შესრულების. ერთნაირად საინტერესოა როგორც მონოგრაფიული კონცერტები, როდესაც ერთი ავტორი სრულდება და ასევე ერთი კონკრეტული ჟანრისადმი მიძღვნილი.

ერთი ასეთი საინტერესო მოვლენა გახლდათ კამერული – საკვარტეტო მუსიკის კონცერტი. სასიხარულოა, რომ თანამედროვე კომპოზიტორების გვერდით შესრულდა ჩვენი კლასიკოსი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის კვარტეტიც. მე პირველად მოვისმინე ეს კვარტეტი. ჩემი აზრით, ეს არის კომპოზიტორის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები. აქ გამოვლინდა ავტორის არა მხოლოდ ძიებები, არამედ ახალი თვისებებიც – მსხვილი პლანის აზროვნება, რამაც გასაზღვრა ამ ნაწარმოების კონცეფცია.

სასიხარულოა, რომ შესრულდა სამი ახალი ნაწარმოები.

ვფიქრობ, წარმატებული იყო გიორგი შავერმაშვი-

ლის ნაწარმოები. ახალი არ გახლავთ ის, რომ შავერმაშვილი სერიოზული ოსტატია, შესანიშნავად ფლობს ინსტრუმენტის შესაძლებლობებს. აქ კი კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი, როგორც კომპოზიტორის ნიჭიერება.

საინტერესო იყო მიხეილ ოძელის კვარტეტი. მე სურვილი გამიჩნდა კიდევ ერთხელ მოვისმინო ეს ნაწარმოები და სიღმრისეულ-დეტალური შთაბეჭდილებები გავუზიარო ავტორს.

რებო კიკნაძეს აქამდე ნაკლებად ვიცნობდი როგორც კომპოზიტორს. ვიცნობდი მის თეორიულ ნააზრევს, მის მოღვაწეობას ჯაზური მუსიკის სფეროში. ჩემთვის საინტერესო და სადღაც მოულოდნელიც იყო საკვარტეტო ჟანრის მისეული გადანყვეტა – ტრადიციულ კონტექსტში თანამედროვე ჟღერადობის მიღწევა. ნაწარმოები ტემბრული თვალსაზრისით ბევრ მიგნებას მოიცავდა, ყოველივე ფაქტიზი გენოვნებით იყო შესრულებული.

**ნოდარ ჟვანია** (სახელმწიფო კვარტეტის წევრი, ალტისტი):

დიდ ფაქტად მიმაჩნია საკვარტეტო კონცერტის გამართვა. სასიხარულოა, რომ კომპოზიტორთა კავშირი, თავმჯდომარე კახა ცაბაძე, ახერხებს ასეთი მოვლენების ორგანიზებას.

კვარტეტის ეს კოლექტივი დიდ საქმეს ეწევა. თავის დროზე ჩვენზე გადადიოდა საქართველოში საკვარტეტო მუსიკის განვითარების საქმე, უამრავი ნაწარმოები შეგვისრულებია. ახლა ამდენი ნამდვილად აღარ შეგვიძლია. მეორე მხრივ, ბედნიერება იყო, რომ ჩვენს გვერდით იყვნენ ისეთი ფიგურები, როგორებიც იყვნენ სულხან ცინცაძე, სულხან ნასიძე, ნოდარ გაბუნია ... მაგრამ ისინიც აღნიშნავდნენ, რომ მათ წარმატებაში და განვითარებაში დიდი იყო ჩვენი, შემსრულებლების წვლილი. ამიტომ ახლანდელ კოლექტივს მნიშვნელოვანი მისია ეკისრება. მე მათ ძალიან ვგულშემატკივრობ.

უნდა გამოვცადე, ამ კონცერტზე თავიდანვე კრიტიკული, სკეპტიკური განწყობით მოვდიოდი, მაგრამ სრული გულწრფელობით ვამბობ, რომ ძალიან სასი-

ამოვნები დავრჩი. მაჭავარიანზე არ არის ლაპარაკი. ჩვენ დაკრული გვაქვს მისი სხვა ნაწარმოებები.

ძალიან მომეწონა გოგი შავერმაშვილის კვარტეტი. ეტყობა ძიებაშია, მომავალში, ალბათ, სულ უფრო და უფრო საინტერესო შედეგი ექნება.

მიხეილ ოძელის ნაწარმოები დიდი ხანია აღარ მომისმენია და ძალიან მაინტერესებდა. კონცერტის შემდეგ მე მას გულწრფელად მივულოცე. ეს ნაწარმოები მართლა საინტერესოა. კრიტიკა ყველაფრის შეიძლება, კრიტიკა ყველაზე ადვილია, მაგრამ ეს კვარტეტი ჩემთვის, როგორც შემსრულებლისთვის და როგორც მსმენელისთვის, ძალიან შთაბეჭდავი აღმოჩნდა, როგორც მთლიანობაში, ისე ცალკეული მიგნებებით.

რეზო კიკნაძის მაღალ პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება. მისი ნაწარმოებით სიამოვნება მივიღე. ძალიან დახვეწილი ნაწარმოებია, სადაც გინდა იქ შეიძლება შესრულდეს.

ჩვენ ძალიან დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი კვარტეტი დაინეროს და შესრულდეს, შესარულოს არა მხოლოდ სახელმწიფო კვარტეტებმა, არამედ სტუდენტებმაც. კომპოზიტორებიც როცა მოისმენენ თავიანთი ნაწარმოებების შესრულებას, უკვე სხვანაირად გაიაზრებენ, თუკი ნაკლოვანებას ექნა ადვილი, ამასაც შესრულების შემთხვევაში უკეთ აღიქვამენ. ასე ვითარდებოდა მუსიკალური ჟანრები და თუ გვინდა, რომ ამ მუსიკამ იცოცხლოს, ხელი უნდა შეეწყოს. ამ კონცერტმა უდავოდ დაგვანახა, რომ საქართველოში საკვარტეტო მუსიკის სიცოცხლის გაგრძელება შესაძლებელია.

**ირაკლი ცინცაძე (კომპოზიტორი):**

საკვარტეტო მუსიკის ეს კონცერტი ბოლო წლების მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. დასანანია, რომ საქართველოში იშვიათად სრულდება ამ ჟანრის ნაწარმოებები. ამას, ძირითადად, ფინანსური მიზეზები აქვს. მე ავტორებსაც ვესაუბრე, გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილებები.

სასიამოვნოა, რომ მაჭავარიანიც შესრულდა. ეს სიმბოლური იყო, როგორც გარდასული დროის გახსენება.

გოგი შავერმაშვილის კვარტეტი სრულყოფილი ნაწარმოებია – მელოდიური, ლირიკული განწყობით. გამოირჩეოდა ლაკონურობით. ეს კვარტეტი ნამდვილად აღსანიშნია.

ჩემთვის მართლაც საინტერესო იყო მიხეილ ოძელის კვარტეტი. ეს ნაწარმოები საინტერესოა თავისი მუსიკალური განვითარებით – კონტრასტულობით, რიტმული მონახაზით, ფერებით, რაც ახასიათებს თანამედროვე მუსიკას. საინტერესოა დინამიკური განვითარება, როგორც დასაწყისში – პოლიფონიური-სტრუქტურული, ასევე კულმინაციური – ჰომოფონიური აკორდი. დასანანია, რომ კულმინაცია ცოტა გაგრძელდა, ეს, მართალია, თვითონ ავტორის ნება-სურვილია თუ როგორ გადაწყვეტს, მაგრამ მეტი ლაკონურობის შემთხვევაში ეს კვარტეტი კიდევ უფრო მაღალ რანგში წარმოჩნდებოდა. მაგრამ ახლა მაინც წარმატებულ ნაწარმოებად მიმაჩნია.

რეზო კიკნაძის „ბაგატელები“, მართალია, საკვარტეტო ნაწარმოები არ არის, მაგრამ საინტერესოა, რამდენადაც მასში ასახულია სიმებიანი მუსიკის განვითარების დასავლური ტექნიკა. ეს გამოიხატება პირველ რიგში ტემპრაციაში (ხმის გაბერვაში, რაც სიმებიანებთან სხვანაირად ხდება). ჩემთვის შთაბეჭდავი იყო თუ რაოდენ ოსტატურად ფლობს ავტორი ფლაჟოლეტურ სისტემას. მართალია, თავად მიაჩნია, რომ ეს ადრეული ნაწარმოებია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის დღესაც აქტუალურად ჟღერს.

საკვირველი რამაა განგება. ზოგ მომღერალს შესანიშნავი ხმით დააჯილდოვეს და ამ ხმის წყალობით ისტორიაშიც მიუჩენს ადგილს. ზოგ ისტორიაში დასამკვიდრებლად მარტო საუცხოო ხმას არ აკმარებს – მამულიშვილობას, მოღვაწის სახელსაც მიანიჭებს.

სწორედ ასეთია ზურაბ სოტკილავა – გამოჩენილი საოპერო მოღერალი, პედაგოგი, მამულიშვილი, მოღვაწე.

სულ ახლახანს მას საიუბილეო თარიღი – 75 წელი შეუსრულდა, თარიღი მიღწევათა აღნუსხვის საფუძველს რომ იძლევა. აღსანუსხ-აღსანიშნი კი ბევრია. ღირს გახსენება იმ უამრავი წოდება-ტიტულისა არტისტული კარიერის მანძილზე რომ მიენიჭებია. თუმც ისე მრავლადაა მხოლოდ უმთავრესის ჩამოთვლაც

ტუსკია ბრძანდებოდა. ახალგაზრდა ფეხბურთელის ვოკალური მონაცემები ჯეროვნად რომ შეაფასა და სავალდებულო სოლფეჯიოს არკოდნა არაფრად ჩაავდო. ეს ბრძანდებოდა დიდებული პედაგოგი – დავით ანლულაძე, ვინც ვოკალური ხელოვნების საიდუმლოებებს უშურველად აზიარა. ეს ბრძანდებოდა ოთარ თაქთაქიშვილი, ვინც საერთაშორისო სარბიელზე გზა გაუკვალა. შემდეგაც სწყალობდა ბედი – შესანიშნავი პარტნიორები დაუყენა გვერდით. მრავალ საოპერო ვარსკვლავთაგან ამჯერად მაყვალა ქასრაშვილს გამოვარჩევ, ჩვენს საყვარელ მომღერალს, ვისთან ერთადაც ზურაბ სოტკილავას ბევრჯერ მოვეუბნებოვართ.

წარმატებაში დიდი იყო წვლილი დაულაღავი შრომისა, ოსტატობის სრულყოფაზე დღენიადაგ ზრუნვისა,

# ზურაბ სოტკილავა - 75

იკმარებს – ზ. ფალიაშვილისა (1983) და რუსთაველის (1998) – ყველა ქართველი ხელოვანის სანუკვარი, უზენაესი ჯილდოები. უეჭველადაა აღსანიშნი ბოლონიის ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრობა (1980), ანუ მოცარტის, შოსტაკოვიჩის შესადარ გენიოსთა გვერდით დგომის პატივი, რისი უფლებაც ქართველთაგან ჯერ მხოლოდ სოტკილავას ერგო. ამას ემატება უამრავი საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატის წოდება, მრავალი ორდენი და სახელმწიფო ჯილდო, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მაინც რამ განაპირობა მომღერლის ესოდენ დიდი დაფასება? ცხადია, არა მარტო ჩინებულმა ვოკალურმა მონაცემებმა. იღბალი თავიდანვე სწყალობდა. დასაწყისშივე შეხვდა ადამიანებს, ვინც კონსერვატორიაში შესვლის საკითხი იოლად გადაუწყვიტა – ეს იონა

ინტელექტუალური თვალსაწიერის გაფართოების, რამაც განაპირობა რეპერტუარის სიმდიდრე – ევროპული, რუსული საოპერო მუსიკის შედეგებთან ერთად მდიდარი და მრავლისმომცველი კამერული საკონცერტო პროგრამები. ამას ემატება რექვიემი (ვერდის), მესები (როსინის, ბრუკნერის) და ათასი სხვა რამ. და, რაც ჩემთვის მეტად ფასეულია – ზ. სოტკილავას რეპერტუარში გამორჩეულია ადგილი ქართული მუსიკისა, საოპეროს, კამერულის, ხალხურის. თითოეული ნაწარმოების, ვრცელი საოპერო პარტია იქნება ეს, თუ მცირე კამერული თხზულება, საგულდაგულოდ გარანდულია, წარმოდგენილია უმაღლესი საშემსრულებლო ხარისხით, უდიდესი ოსტატობით, არტისტული გზნებით. რაოდენ გულშიჩამწვდომად ჟღერს მისი მოსალბუნე ხმა მეგრულ სიმღერაში, ყოველ ჯერზე



არა მართო აღტაცებას რომ იწვევს, ცრემლსაც რომ გვგვრის.

ამიტომაც, რომ ზ. სოტკილავას თითოეული გამოსვლა, კონცერტზე თუ სპექტაკლში, რომელსაც დაგსწრებივარ (მისი სტუდენტობის დროით დაწყებული), სამუდამოდ შემორჩენია ჩემს ხსოვნას. თუმც მანაც გამოვარჩევდი მაყვალა ქასრაშვილთან ერთად ვერდის „ოტელოს“, თბილისში რომ გაიმართა 1980 წელს. სპექტაკლმა ისეთი განცდა წარმოშვა, გვიკვირდა „ცის კამარა კიდე უფრო ლაყვარდი რომ არ გამხდარა, რომ პართენონი არ აღმოცენდა უეცრივ შენს წინ...“ ეს დაუეინყარი სპექტაკლი იყო! დაუეინყარი იყო ქუთაისური „საოპერო ფესტვალები“ პროგრამათა განუმეორებელი მრავალფეროვნებით, ოსტატთა თანავარსკვლავედით, საერთო სულიკვეთებით... ეს, რაც წმინდა პროფესიულ მონაპოვრებს შეეხება. რაში ვლინდება სოტკილავას მამულიშვილობა? ახალგაზრდობიდანვე რუსეთში, ანუ სამშობლოსგან მოშორებით

მოღვაწე პიროვნებისათვის იოლი როდია პატრიოტული სულიკვეთების შენარჩუნება, მით უფრო ქმედითი გამომჟღავნება. აი, მაგალითად, ქუთაისში, ჯერ კიდეც საბჭოურ ხანაში მან თავის ერთგულ პარტნიორთან, მაყვალა ქასრაშვილთან ერთობლივად, დააარსა საოპერო ფესტივალი. მაშინ ჩვენში ფესტივალი იშვიათობა, ან სულაც უცხო ხილი იყო. ქუთაისლებს პირველად მიეცათ საშუალება საერთაშორისო დონის ბევრი საოპერო ვარსკვლავი ხომლი თავიანთ სცენაზე მოესმინათ. კიდეც უფრო მნიშვნელოვნად კი ის შესახება, რომ თავად ვარსკვლავებს ამ ფესტივალმა აჩვენა თუ რარიგია „პროვინციელი“ მსმენელი, რა ზუსტად აფასებს შესრულების აკადრგს, რა ფაქიზად გრძნობს მუსიკის თითოეულ ნიუანსს, რარიგი გემოვნების პატრონია. მსოფლიოს მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ტაშით განებივრებულ მომღერლებს ქუთაისლებმა წრფელი მღელვარება განაცდევინეს. არასდროს დამავინყდება ელენა ობრაძკოვას გაფითრებული სახე, ცახცა-



მაცხვალა ძასრაჰვილი და ზურაბ სოტკილავა

ხი სცენაზე გამოსვლის წინ, „ეს როგორი მსმენელი ყოფილა, როგორ მეშინია მათთან შეხვედრის, ღელვას ვერ ვიოკებ. ერთხელ კიდევ დავაფასე ქართული მუსიკალური ნიჭიერება–“ო.

როგორ არ ვახსენო 1991 წელი. ზურაბ სოტკილა-ვას არჩევანმა მაშინ გადანყვიტა თბილისის საოპერო თეატრის მთლიანი დასის გასტროლი იტალიაში. სა-ოპერო ჟანრის სამშობლოში, ვოკალური ხელოვნების მექაში თბილისის საოპერო დასის ეს პირველი გასტროლი იყო! ტრადიციული ფესტივალი დიადი ვერდის სამშობლიურ ქალაქ ბუსეტოში გაიმართა. ფესტივალს ესწრებოდა უამრავი დიდი მომღერალი, ანტრეპრენი-ორი, საოპერო თეატრების ხელმძღვანელობა. აი მაშინ გაიკნეს ქართული ვოკალური სკოლის ახალგაზრდობა და მისივე გაუღეს კარი ევროპისა და ამერიკის სცენებზე. ზ. სოტკილავას, როგორც ვერდისეული ოტელოს ჩინებულ შემსრულებელს და „ვერდის ხმების“ კონკურსის ჟიურის საპატიო წევრს, უფლება ჰქონდა თავისი გამოსვლისათვის მსოფლიოს ნებისმიერი სა-ოპერო დასი დაესახელებინა. საგასტროლო ხარჯს ფესტივალის ორგანიზატორები ანაზღაურებდნენ. სოტკილავას ეს გადანყვიტა — პარტნიორად მსოფლიოსთვის უცობი, თბილისის საოპერო დასი დაე-სახელებინა, გაბედული იყო. მაგრამ მამულიშვილურ-მა ნაბიჯმა მართლაც რომ საუცხოო შედეგი მოიტანა, დაფასდა. დღეს ამდენი ქართველი ტენორი და ბანი, ამდენი სოპრანო და მეკო-სოპრანო წარმატებით რომ იღვწის უცხოეთში, ქართული ნიჭის, ქართული ვოკა-

ლური სკოლის ღირსებას რომ წარმოაჩინეს, ამ პროცესს სწორედ მაშინ დაედო სათავე.

საბჭოთა რეჟიმის დაშობის შემდეგ საქართველო--რუსეთს შორის ბევრი რამ შეიცვალა, „სამარადისოდ ძმები“ ახლა მტერებად ვიქცეით, ქართველობა **лицо кавказской национальности**-დ მოინათლა, ხოლო ეს „ეროვნება“ არა თუ სათაკილო, სასიცოცხლოდ სა-ხიფათოც შეიქნა. ზურაბ სოტკილავა კი კვლავინდებურად მოსკოვშია, კვლავინდებურად აგრძელებს კეთილშობილ მოღვაწეობას, ზრდის, პროფესიულ გზას უნათლავს ქართველ, რუს, აფხაზსა თუ სხვა ეროვნების ვოკალისტებს. სატელევიზიო იქნება ეს, თუ რადიო გადაცემები, კონცერტები თუ ცნობილ მოღვაწეთა საიუბილეო საღამოები, უსათუოდ ხაზს გაუსვამს თავის ქართველობას, უსათუოდ მოიხსენიებს სახელოვან თანამემამულეებს, უსათუოდ იმღერებს ქართულ რომანსს თუ ხალხურ სიმღერას და ამით აჩვენებს — ხელოვნება აკავშირებს, ანათესავებს ადამიანებს, ხალხებს შორის ხიდსა სდებს, ხოლო სიკეთეს ვერავითარი, ვერც პოლიტიკური, ვერც აგრესიული ჯებირი ვერ შეაბრკოლებს, ვერ დაამარცხებს... ამიტომაცაა რომ ზურაბ სოტკილავას არა მარტო როგორც მომღერალს, არამედ მამულიშვილს, მოღვაწეს, მოპოვებული აქვს სიყვარულიც და პატივისცემაც, ამ სიყვარულს ვხედავდი ქ. სობში გამართულ სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე მსმენელთა თვალეში, ვგრძნობდი ყოველი მუსიკალური ნომრის შემდეგ აგორებულ აპლოდისმენტთა ტალღაში. ხოლო ეს სიყვარული კი, თავის მხრივ, ანდამატივით სცენისკენ იზიდავს თავად მომღერალს, ასაკი ვერაფერს რომ აკლებს მის არტისტულ ტემპერამენტს, ხოლო ოსტატობა მისი წლიდან წლამდე მხოლოდ იხვეწება, სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

დღეს ზურაბ სოტკილავა ვოკალურ ოლიმპოს მკვიდრია. რალა შეიძლება უსურვო მეტი?! როგორ არა! ისეთი შემოქმედებითი მუხტისა და არტისტული შემართების, ისეთი მგზნებარე გულისა და უძრეტი სიყვარულის მქონე პიროვნება, როგორიც ზურაბ სოტკილავაა შეძლებს კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას ხელოვნებისათვის, მომავალი თაობისათვის, სამშობლო-სათვის. მრავალჯამიერ, ძვირფასო ზურაბ

რუსუდან ქუთათილაძე



## გზა ევროვიზიის კონკურსისაკენ

(გამოვლინდა ევროვიზიის მე-16 მუსიკალური კონკურსის ქართველი მონაწილე)

როგორც ცნობილია, 1982 წლიდან დაწყებული ევროვიზია ორ წელიწადში ერთხელ ატარებს მუსიკალურ კონკურსს, რომელშიც მონაწილეობენ კლასიკური მუსიკის 20 წლამდე ახალგაზრდა შემსრულებლები.

წელს კონკურსი (რიცხვით მე-16) ტარდება ვენაში (ავსტრია) და მასში პირველად იღებს მონაწილეობას

საქართველო, რომლისთვისაც გამოყოფილია ერთი ადგილი.

ღირსეული კანდიდატურის გამოსავლენად თბილისში გასულ თვეში ჩატარდა სამი ტური, რომელთა შედეგად შეირჩა ექვსი ახალგაზრდა მუსიკოსი.

12 მარტს ჯ.კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოს



ლიზი რაიხვილი

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტით გათვალისწინებული მუსიკალური სადამო, რომელსაც უნდა გამოეკვლინა კონკურსის ერთადერთი ქართველი მონაწილე.

სადამოს უძღვებოდა ცნობილი მუსიკოსი ვახტანგ კახიძე, რომელმაც წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას კონკურსის მონაწილეები და სიმფონიურ აკომპანემენტს უწევდა მათ.

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეები იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი – ნიკოლოზ რურუა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი – გიორგი ჭანტურია. ჟიურის

წევრები: ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი რევაზ კიკნაძე, პროფესორები – მანანა დოიჯაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი და საზოგადოებრივი მაუწყებლის მუსიკალური მიმართულების პროდიუსერი მამუკა მეგრელიშვილი. მსმენელის წინაშე პირველ ნომრად წარსდგა ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე ანა ყიფიანი (პედაგოგი ნინო ჭირაქაძე), რომელმაც შეასრულა სენ-სანსის გ-მოლლ საფორტეპიანო კონცერტის III ნაწილი. ანა მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, უცხოეთში გამართული აქვს კონცერტები.

ხელოვნების სკოლა №2-ის მოსწავლემ ნათია ნატროშვილმა (პედაგოგი ლაურა იაშვილი) შეასრულა ბეთჰოვენის №3 საფორტეპიანო კონცერტის III ნაწილი. ნათია მოცარტის 244 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის ლაურეატი.

კონსერვატორიის სტუდენტმა თამარ მოდელაშვილმა (ასოც.პროფ. ალექსანდრე გარბერის კლასი), შეასრულა რახმანინოვის №2 საფორტეპიანო კონცერტის I ნაწილი. თამარი არის 2010 წელს ფრანკფურტში გამართული რახმანინოვის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და სომხეთში ჩატარებული კონკურსის ლაურეატი. 2011 წლის ნოემბერში მან სოლო კონცერტი ჩაატარა ვენაში.

კონკურსის მეოთხე მონაწილე გახლდათ ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე ლიზი რამიშვილი (პროფესორ თამარ გაბარაშვილის კლასი), რომელმაც შეასრულა ლალოს №1 კონცერტი ჩელოს და ორკესტრისათვის (I ნაწილი). ლიზი თბილისში გამართული IV რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი, სომხეთში გამართულ კონკურსზე გრანპრის მფლობელი და 2010 წელს მოსკოვში გამართული კონკურსის “ოქროს მაკნატუნა”-ს გამარჯვებული.

შემდგომ მსმენელის წინაშე წარდგა ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე სენდი ვართანოვა (პედაგოგი ვიქტორია ვოსკანოვა), რომელმაც შეასრულა ბრუხის №1 სავიოლინო კონცერტის II ნაწილი. მისთვის ეს გახლდათ პირველი კონკურსი.

კონკურსი დაავგირგვინა ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის №2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ ინალი ჯიოევმა (პედაგოგი იური ჯიოევი), რომელმაც შეასრულა ჰაიდნის ჩ-დურ კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისათვის (III ნაწილი). კონკურსის ექვსივე მონაწილე ღირსეულად წარდგა მსმენელისა და ჟიურის წინაშე და ნამდვილად დაამახსოვრა თავი ქართველ მსმენელს.

ყველა მათგანს მომავალში ახალი წარმატებები უნდა ვუსურვოთ.

საზოგადოება განსაკუთრებით მოიხიბლა ლიზი რამიშვილის გამოსვლით. ჟიურის გადანიშნულებით იგი

დამსახურებულად იქნა გამოცხადებული შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულად.

ვუსურვოთ მას გამარჯვება ვენის საერთაშორისო კონკურსზეც.

საშუალება მომეცა გავსაუბრობოდი ლიზის პედაგოგს პროფესორ თამარ გაბარაშვილს: ლიზი 14 წლის არაჩვეულებრივი გოგონაა, ძალიან ნიჭიერი და მშრომელი. I კლასიდან ერთად მოვდივართ. ძალიან ჭკვიანი გოგონაა, რასაც ვეუბნები, ყველაფერს აკეთებს და პროგრამასაც სწრაფად ითვისებს, ამიტომ დიდი რეპერტუარიც აქვს. წარმატებული გოგონაა. არის მოსკოვში გამართული კონკურსის “ოქროს მაკნატუნას” გამარჯვებული. 2-ჯერ გახდა მ.როსტროპოვიჩის სტიპენდიტი. მოსკოვში დაუკრა ი.ბაშმეტის ორკესტრთან ერთად. ახლა უკრავს ჩემს ჩელოზე და მიხარია, რომ ეს უნიკალური საკრავი არ კვდება ასეთი შემსრულებლების წყალობით. დიდ იმედებს ვამყარებ მასზე და შევეცდებით ვასახელოთ საქართველო!”



ბათუმის საოპერო თეატრში გაიმართა პიეტრო მასკანის ცნობილი ოპერის “სოფლური ღირსების” პრემიერა, რომელზეც მიპატიჟებულნი იყვნენ გამორჩეული ქართველი მომღერლები მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი და თენგიზ მუშკუდიანი. სტუმრებს შორის ვიმყოფებოდი ამ სტრიქონების ავტორიც. გულითად მასპინძლობას გვინვედნენ თბილისის კონსერვატორიის აღმზრდელები: თენგიზ ჯაფარიძე – ბათუმის თეატრის დირექტორი და სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი და პედაგოგი, ცნობილი მომღერალი მარინა ჯახუტაშვილი, და, საზოგადოდ, თეატრის მთელი ძალზე მეგობრული და სიმპათიური შემოქმედებითი კოლექტივი.

როგორც ცნობილია, ბათუმს აქვს საოპერო ცხოვრების კარგი მხატვრული ტრადიციები. ჯერ კიდევ 1921-1926 წლებში აქ ფუნქციონირებდა საოპერო თე-

ატრი, ხოლო ჩემთვის და ყველა თანამედროვისათვის დაუვიწყარია ათწლეული 1993-2002, როდესაც ძალზე მაღალმხატვრულ პროფესიულ დონეზე აქ იდგებოდა საოპერო და საბალეტო სპექტაკლები. იმედია, რომ თანამედროვე საოპერო თეატრი გააგრძელებს ახლო წარსულის ნაყოფიერ აკადემიურ ტრადიციებს. სარეცენზიო სპექტაკლი ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო გარემოება, რომ ყველა მათგანს მეურვეობს და ხელს უწყობს მუშაობაში ქალაქის ხელმძღვანელობა. შემთხვევითი არ არის, რომ ხელოვნების ცენტრის, კერძოდ, საოპერო თეატრის თითქმის მთელი სამხატვრო-სამემსრულებლო კოლექტივი (რაც მთავარია, მომღერლები) დაკომპლექტებულია ადგილობრივი ახალგაზრდული კადრებით. ეს გახლავთ ბათუმელების მომავალი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის საუკეთესო გარანტია.

ახლა კი, საკუთრივ საოპერო სპექტაკლის – მასკანის “სოფლური ღირსების” შესახებ, რომელმაც, საერთო აზრით, ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს თანაბრად ეხება სპექტაკლის ყველა მხატვრულ რგოლს: დადგმას, სადირიჟორო ინტერპრეტაციასა და შემსრულებლებს (მომღერლებს, ვუნდს, ორკესტრს).

# პრემიერა ბათუმის საოპერო თეატრში

სპექტაკლი დადგა ცნობილმა რეჟისორმა გიორგი თავაძემ. მისი ნამუშევარი გამოირჩევა მხატვრული მთლიანობით, კომპაქტურობითა და ლაკონიზმით, რაც განსაკუთრებით შეესატყვისება იტალიური ვერისტული ოპერის დრამატურგიას. ზუსტი და გამოზომილი იყო მსახიობთა სცენური მოძრაობა.

მშენიერი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა დირიჟორმა მამუკა ალაფიშვილმა, რომელსაც მტკიცედ ეპყრა ყველა სამემსრულებლო რგოლის სადავეები. ჩინებული იყო მუსიკალური კონტაქტი მომღერლებსა და ორკესტრს შორის, რომელიც მწყობრად და გამომსახველად ჟღერდა.

შესანიშნავი იყო მომღერალთა მთელი ანსამბლი.

შესანიშნავი იყო მომღერალთა მთელი ანსამბლი.

შესანიშნავი იყო მომღერალთა მთელი ანსამბლი.



ბათუმის ოპერის თეატრი

კერძოდ, სასაიამოვნო “აღმოჩენად” იქცა ჩემთვის ქალ მომღერალთა ჯგუფი – სამი მშვენიერი მეცო-სოპრანო – ინგა ჯახუტაშვილი (სანტუცა), ეთერ ხალვაში (ლუჩია), მთლად ახალგაზრდა შორენა აბუსერიძე (ლოლა), რომელთაც პირველად ვისმენდი და გაკვირვებული დავრჩი არა მარტო მათი ხმებით, არამედ ვოკალური ოსტატობითაც. როგორც ვთქვი, ყველანი ბათუმის კონსერვატორიის აღზრდილები არიან, ისევე როგორც მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელი, ლამაზი ტენორის მფლობელი ირაკლი კახიძე (ტური-დუ). ერთადერთი “თბილისელი” მომღერალი კი გახლდათ ასევე ლამაზი ხმის (ბარიტონი) მფლობელი მამუკა ლომიძე (პროფ. თ. მუშკუდიანის აღზრდილი).

მშვენივრად ჟღერდა გუნდი (ქორმასიტერები ქეთევან მანელიშვილი და რუსუდან ბერიძე), კვალიფიციურად იმუშავეს კონცერტმასიტერებმა ნ.ჩაიძემ, ე.ლოლელი-ანმა, გ.ჭიჭავამ, ც.რუსიძემ). კარგი იყო სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც (გალაქტიონ გოგიბერიძე).

საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სპექტაკლი, რომელიც ნებისმიერ საოპერო სცენას დაამშვენებდა.

ბევრჯერ, ჯანოს კონცერტიდან თუ სპექტაკლიდან შინდაბრუნებულს, ჯერ კიდევ მისი მაგიის ქვეშ მყოფს, როცა შთაბეჭდილება გდევს და მოსვენებას არ გაძლევს, გამჩენია სურვილი, რაღაც დამეწერა მის შესახებ. და ეს რაღაც იქნებოდა მხურვალე და წრფელი, რადგან სიტყვები, შედარებები, განცდები თავისით გე-

წვეულებაში ისეთი თამადა გახლდათ, რომ თავის თავსაც კი გადააჭარბა: ყვებოდა ისე, რომ ყურს ვერ მონყვედით, უკრავდა როიალზე და იქვე სკამზე, დოლის მაგიერ. მღეროდა ყველა ხმაში და ბოლოს აინყვიტა, სკამზე შეხტა და ისე თავბრუდამხვევად იცეკვა, რომ ვილაც უცხოელი მივიდა და აღტაცებული გულწრფე-

# Requiem

(განუტევე მათ სამარადისოდ, უფალო)

ახლებოდნენ, მაგრამ იქვე მაყოვნებდა შეგნება, რომ ეს მაინც არ იქნებოდა სრულყოფილი ასახვა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მაინც გამომრჩებოდა, რადგან ჯანოს ნიჭი მართლაც ამოუწურავი იყო და მაინც, ცოტა რამ ჯანოს შესახებ...

იგი თხემით ტერფამდე ქართველი გახლდათ, სამშობლოს გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, არ შეეძლო დიდი სამეგობროს გარეშეც, ვისთვისაც თანამდგომი და საყრდენი იყო. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჯანო პრინციპების ადამიანიც იყო, შეუვალი და რადიკალური. ცხადია, საშუალოდ გულმონყალე ყველასადმი არ გახლდათ. თუ გნებავთ, ჩაუთვალეთ ეს ნაკლოვანებად, რომ არც კონფორმისტი იყო და არც დიპლომატი.

თამადა — ალბათ საერთაშორისო კლასის, რადგან არ ვიცი, საქართველოს გარდა ეს ინსტიტუტი სადმე არსებობს თუ არა. აქ კი ჯანო იყო სწორუბოვარი, საინტერესო, მომლხენი... გინახავთ ანკი ბრძენი? ერთ

ლობით ჰკითხა: „ბატონო ჯანო, ლამაზიც რომ ყოფილიყავით, ნეტავ ასეთი ნიჭიერი იქნებოდითო?“ სილამაზე იყო მისი დამატყვევებელი ნიჭი. ამერიკაში იგი შეადარეს უდიდეს მსახიობს სპენსერ ტრესის და მისი სურათიც აჩუქეს.

მე მასსოვს, მოსკოვში კონცერტის შემდეგ ვინ აცლიდა მოსვენებას! საარტისტოს წინ დგებოდა ნაცნობების თუ უცნობთა გრძელი რიგი მადლობის გამოსახატავად. ეამბოროებოდნენ ხელზე, მხრებზე; ისეთი უცნობი ადამიანებიც კი მოდიოდნენ მასთან, ალბათ, წამლის ფულიც რომ უჭირდათ.

ჯანო იყო მუსიკოსი. თვითმყოფადი და მასშტაბური. შეეძლო ერთნაირად ჩანვდომოდა დიდი ჰუმანისტების — ბეთჰოვენის, მაღერის ფილოსოფიურ აზრს, რომანტიკოსების სულის მღელვარებას თუ იმპრესიონისტების სინატიფეს, ფერწერას, გნებავთ, რიჰარდ შტრაუსისა და სტრავინსკის ელვარე ტემბრალურ სპექტრს. მას



ჯანსუღ კახიძე

შეეძლო მუსიკაში სრული სიჩუმის ძაბვის შეგრძნება და ამით პიანისიმოზე პირველი თუ უკანასკნელი სუნთქვის გადმოცემა, შეეძლო ყველაზე დიდი სინაზის თუ საშინელი მძვინვარების გამოხატვა. ეს იყო მისი სტიქია, მისი ტემპერამენტი.

მისი ნება ჰიპნოზურად იყო გაბატონებული მთელ დარბაზზე, იმ შემსრულებლებზე, ვინც მის ნებას გარდაუვალად ასრულებდა და ასევე მსმენელზე, რომელიც მოქცეული იყო მისი მომნუსხველი გავლენის ქვეშ.

ახლა რა მომღერალი გახლდათ! რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ საოპერო მომღერლებს, მაგრამ ქართული სიმღერის განცდა მსგავსი არ ვიცი. ეს იყო ტემბრი — არავის მსგავსი, რომელშიც ცოცხლად მთროლოვარე სული გადიოდა.

ჯანო იყო არტისტი, რომელიც აბსოლუტურად ფლობდა ყველა დარბაზსა და სივრცეს, იმორჩილებდა ყველა მსმენელს.

იყო კულტურტრეგერი, ვინც შემოიტანა ახალი ფართო რეპერტუარი, ვინც ტელელექციებს ატარებდა სიმფონიურ ორკესტრზე ბავშვებისათვის, ამიარებდა უმაღლეს მატერიას და ზრდიდა მსმენელს.

ჯანო იყო კომპოზიტორი, ვისაც შექმნილი აქვს ქართველი ხალხისათვის საყვარელი, ერთმანეთზე მშვენიერი სიმღერები.

ორგანიზატორი — ვისი იდეითა და ძალისხმევითაც აშენდა არაჩვეულებრივი მუსიკალური ცენტრი, ვინც ოდესღაც ჩამოაყალიბა ბრწყინვალე „შვიდაკაცა“, მოგვიანებით კი — ბიჭუნათა დიდი გუნდი. მხოლოდ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს 6-7 წლის ბიჭუნები რომ შეხებიან მოცარტს, პერგოლემის, პალესტრინას...

ჯანოს უდირიჟორია ყველა მატერიკზე. იყო ბრწყინვალე საოპერო დირიჟორი, რადგან არაჩვეულებრივად გრძობდა ვოკალსა და გუნდს. მაგრამ მისი ნამდვილი სტიქია მაინც სუფთა სიმფონიური მუსიკა იყო, რასაც

ნშირად აღიარებდა კიდევ. მართლაც რომ წარმოუდგენელი იყო მისი ცხოვრების ტემპი და ინტენსივობა.

უამრავი ოპერა აქვს დადგმული სხვადასხვა ქვეყანაში.

ახალგაზრდობაში, როცა პოლონეთში ლოდის ოპერას ხელმძღვანელობდა, იქ დადგა „აბესალომი“ — პირველად ევროპაში.

აქ მოხდა ასეთი ექსცესი: მედოლემ ვერაფრით ვერ აუღო ალლო ქართული დოლის რიტმს. ჯანომ რომ შეატყო, მის გარეშე გაჭირდებოდა, მიუჯდა ორკესტრანტს, აიღო დოლი და თვითონ უჩვენა ეს სასწაული ლოგიკის ხლართები. ამ შემთხვევის გამო დირექციამ ერთი საათით გაათავისუფლა ყველა სუბიექტი თავისი მოვალეობიდან და გაუშვა ამ საოცრების სანახავად. ამის შედეგად, დიდი ოვაციებიც დაიმსახურა როგორც მედოლემ.

ჯანო სწავლობდა უსწრაფესად და თითქმის ყველაფერს დირიჟორობდა ზეპირად. ამართლებდა გამოთქმას, რომ „დირიჟორს თავი კი არ უნდა ჰქონდეს ნოტებში, არამედ — ნოტები თავში!“

გარდა ყველასათვის ნაცნობი იტალიური და გერმანული ოპერებისა, დადგა „ბორის გოდუნოვი“ შვედეთში, „სამი ფორთოხლის სიყვარული“ და „დეუნია“ პოლონეთში, პროკოფიევისავე „ცეცხლოვანი ანგელოზი“ გერმანიაში. ლოდში ამერიკელი კომპოზიტორის მიტჩელის ოპერა — „კაცი ლამაზნიდან“, შჩედრინის „მკვდარი სულები“ ბოსტონში, იტალიაში უდირიჟორა „ჩიო-ჩიო-სანს“, „ევგენი ონეგინს“, შვედეთში „სოფლის პატიოსნებას“ და „ჯამბაზებს“, „ტურანდოტს“ რომში, „ონეგინს“ ბოლონიაში, სრულიად დაუვინყარია „სალომეა“ თბილისში...

ბოლო გასტროლებზე იტალიაში კონცერტზე ფრანკო ძეფირელი და პლასიდო დომინგო დაესწრნენ. ჯანო ამ ფანტასტიკური ტენორის დიდი მოტრფიალე იყო. მათ შორის გაიბა საინტერესო პროფესიული საუბარი. მოგეხსენებათ, დომინგო საინტერესო დირიჟორიც გახლავთ. ერთ ეპიზოდზე უთქვამს: მე ასე არ გამომდისო. ჯანოს რჩევა, ოთხის ნაცვლად ორზე ედირიჟორა, სიამოვნებით გაუზიარებია. სხვათა შორის, აქვე უნდა ვთქვა, რომ ჯანო რიტმს გრძნობდა როგორც ხერხემალს — ლერძს, რომელზედაც „აეხვეოდა“ ყველა სხვა

კომპონენტი. მაგრამ ძნელია თქვა, რა იყო მისთვის პირველადი — აზრი, ინტერპრეტაცია, ინტონაცია თუ სხვა რამ.

სრულიად განსაკუთრებულია მისი წვლილი ქართულ მუსიკაში. ცხადია, დანყებული „აბესალომიდან“, მშველიდის „ამბავი ტარიელისა“, ყანჩელის „და არს მუსიკა“, კვერნაძის „მუშანიკი“, ბალანჩივაძის, ნასიდის, გაბუნას სიმფონიური თხზულებებით დამთავრებული. საერთოდ, უახლესი მუსიკა, რაც ბევრისთვის პრობლემაა, მისთვის ორგანული იყო. იგი გახლდათ ყანჩელის მუსიკის პირველი უბადლო შემსრულებელი, რომლის შემდეგაც სხვა ქვეყნებშიც დაამკვიდრდა ამ ურთულესი პარტიტურების მისეული ინტერპრეტაცია. იგი მის დრამატურგიას გრძნობდა მთელი მასშტაბით: სტილით, აზრით, ძაბვით, კონფლიქტებით. სწორედ უმნიშვნელოვანესი სიჩუმით, პაუზებით...

გახსოვთ, ვინ იყო ჯანო ქართულ კინოში? „ვაიოს“ შეუდარებელი მომღერალი; გაიხსენეთ „შერეკილების“ ნამდვილი გვირგვინი — სიმღერა გეციდან!

ერთხელ დაურეკეს, რომ სასწრაფოდ საჭირო იყო მიუნხენში ლუიჯი ნონოს ახალი ნაწარმოების შესრულება. ხმოვანების ახალი ლექსიკა ითხოვს წერის ახლებურ მეთოდებს. მისცეს პარტიტურა — ჩვეულებრივი კი არა, რაღაც ახვეული შპალერის მსგავსი, რომლის გამიფერას დროის გარდა, განსაკუთრებული ალლო სჭირდებოდა.

ჯანოს დანებება არ უყვარდა. შეატყობინეს, რომ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს პარიზში დირიჟორი. იცოდნენ, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში უტყუარი იყო. საქმე ეხებოდა ბერლიომის „ფაუსტის განკიცხვას“. ჯანომ თანხმობა განუცხადა, მაგრამ პარტიტურა თბილისში არ არსებობდა. არც მოსკოვში აღმოჩნდა. დრო კი იწურებოდა. უარის თქმაც აღარ შეიძლებოდა. ჯანომ დაურეკა ორგანიზატორებს და სთხოვა, რომ პარტიტურა სასტუმროს ნომერში დაეხვედრებინათ. არც საუზმე, არც ძილი, პირდაპირ რეპეტიციებზე სწავლობდა. შესრულების შემდეგ კი არავის სჯეროდა ამ ფაქტის რეალობა.

ეს იყო მჩქეფარე სიცოცხლე, რომელიც, გვეგონა, სულ იქნებოდა...

მასთან ურთიერთობა იყო ზემო, სიხარულის, ცხოვ-



რების სისავსის სრული შეგრძნება. პასტერნაკს აქვს არაჩვეულებრივი სტრიქონები:

„Не потрясения и перевороты  
Для новой жизни очищают путь,  
А откровенья, бури и щедроты  
Душе воспламененной чьей-нибудь“.

ჭეშმარიტად, ასეც გახლავთ. ვინც განგებამ აზიარა რაღაც იდეალურს, ამაღლებულს, მხოლოდ მას შეუძლია სხვებიც აიყვანოს ამ მარადიულ მაცოცხლებელ და გადამრჩენ ფასეულობებამდე.

\*\*\*

გავიდა ჯანოს შემდეგ ათი წელი. ასეთი მოგონებები დროში არ ფერმკრთალდება.

ამ გაზაფხულზე, 7 მარტს, ჯანოს გარდაცვალების დღეს, მისივე სახელობის მუსიკალურ ცენტრში გაი-

მართა დიდი მასეტროს ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. პულტთან იდგა მისი ღირსეული მემკვიდრე ვახტანგ კახიძე, რომელმაც მამინ, პირველ რიგში, კომპოზიტორმა, სრული პასუხისმგებლობით გადაიბარა მამის ჯადოსნური სადირიჟორო ჯოხი.

მთელი ეს ათი წელი მასეტრო ვახტანგ კახიძე დგას პულტთან და ახალი რეპერტუარით, მრავალფეროვანი პროგრამებით, საერთაშორისო ფესტივალებით ასაზრდოვეს თბილისის მუსიკალურ ცხოვრებას.

ჯანო უკვე ისტორიის კუთვნილებაა და სხვა განზომილებაში ვხედავთ მის მნიშვნელობას.

კონცერტისათვის იშვიათი გემოვნებითა და გააზრებით შერჩეული პროგრამა — ძველი სალიტურგიო და სასულიერო მუსიკა, გასული დროის დისტანციიდან, უკეთ რომ არ შეიძლება, ისე ესადაგებოდა ამ საღამოს განწყობილებას.

კონცერტზე ქერუბინის „რეკვიემი“ („განუტევე მათ სამარადისოდ უფალო!“, ეს არის სამგლოვიარო მესის

— რეკვიემის არსი. ქერუბინის რეკვიემი მოცარტის, ლისტის, ბრამსის, ვერდის რეკვიემებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. როცა ბეთჰოვენს ჰკითხეს — ვის ჩათვლით თქვენს შემდეგ ყველაზე ღირსეულ კიმპოზიტორადო, მან ქერუბინი დაასახელა. და სწორედ ეს რეკვიემი შესრულდა მის დაკრძალვაზე, ეს გაუცქეთელი სიძველე. მოცარტისა და ჰენდელის მუსიკა ქმნიდა დიდ ემოციურ განცდას, მონატრებას, მიახლოებას, ბადებდა ზოგადად ცხოვრების, სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიური განსჯის მომენტს.

დამეთანხებით, რომ შესრულების დონე უნდა გავსებდეთ იმდენად, რომ ასეთი გრძნობები დაგეუფლოთ. „რეკვიემი“ დიდი დრამატული ტილოა, რომლის ცალკეულ ნომრებს თავისი რთული კონტრაპუნქტი, თავისი რიტორიკა და კულმინაციები აქვს. მისი გამთლიანება და მსმენელთან მიტანა დირიჟორისგან ძლიერ ნებას მოითხოვს. ასეთი ნება ვახტანგ კახიძეს არაკლია. აუდიტორია ამ საოცარი მუსიკით გრძნობდა მთელ ტრაგიკულ, — მრისხანების დღესაც (Dies Irae) და ღვთის კრავის სინმინდესაც (Agnus Dei).

ღია ჭონიშვილის მიერ მშვენივრად მომზადებული გუნდი ორკესტრთან შესანიშნავად დააბალანსა დირიჟორმა.

ეს ხაზი გაგრძელდა მოცარტის „Ave verum corpus“-ის („იხარე, ჭეშმარიტო სხეულო“) შესრულებით. ესეც სასულიერო მუსიკის ერთ-ერთი შედეგია და, დღევანდელ „ფორტისიმოზე“ ცხოვრების პირობებში, მსმენელისათვის განწმენდა და შვება.

კონცერტზე შესრულდა ჰენდელის ალმირას არია ოპერიდან „რინალდო“. ჩვენს ენაზე კონტრტენორის აუღერება ერთგვარი ღირსშესანიშნაობა იყო. თუმცა პრეკედენტი ადრე გახლდათ, ჯანსუღ კახიძის მიერ დადგმულ კარლ ორფის „კარმინა ბურანაში“, მაშინ საქართველოში პირველად გამოჩნდა ასეთი ხმა.

კონტრტენორისათვის არსებობს უმაღლესი ღირებულების მუსიკალური ლიტერატურა — ძირითადად ბაროკოს ეპოქის. ორი საუკუნის მანძილზე კასტრატების მაღალი ტენორი ითვლებოდა ელიტარულად. მათ უქმნიდნენ განსაკუთრებულ პირობებს. შემსრულებელთა დონე ხმის მოქნილობით, სუნთქვის გამძლეობითა და ფიორიტურით აღწევდა უმაღლეს ხელოვნებას. არსე-

ბობს ისეთი ნაწარმოებიც კი, რომელსაც ეწოდება „მუსიკა ანგელოზისათვის ორკესტრთან ერთად“.

ჩვენი მუსიკალური საზოგადოება დიდი სიმპათიით შეხვდა ახალგაზრდა კონტრტენორს მიხეილ სულუხიას, იგი აღიზარდა სწორედ ჯანსუღ კახიძის ბიჭუნათა გუნდში, რომელიც კვლავ ელის ახალ ხმებს. მომღერალმა შეასრულა ჰენდელის „ასცია ცპ'იო ჰიანგა“.

ამ კლასიკური შედეგების გვერდით, კონცერტის უმშვენიერესი დასრულება იყო ვახტანგ კახიძის „სევდა“. სევდა ზოგადად... სევდა მშობელზე... ერთ სუნთქვაზე აგებულ პატარა საორკესტრო სურათს ნატიფი ინტონაციით, უღამაზესი ჩახვეული მელოდიით თითქმის უსასრულობამდე მიჰყავხართ. მონატრებულ, ტკბილ, ნათელ სიმმარს ჰგავს, გაიღვიძებ და გამოსვლა რომ გენახება...

მადლობა მათ ჭეშმარიტი მუსიკისათვის.

თავს ვუხრით დიდი ჯანსუღის სსოპსას.



ოპერა „ავსალომ და ეთიოპის“ ღაქორაძის ესკიზი

# სერგო ქობულაძე და მუსიკალური თეატრი

გვიანი გაზაფხულის თითქოს არაფრით გამორჩეული, ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა. სპექტაკლის დაწყებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე საათი რჩებოდა. თეატრში

მსახიობები უკვე იკრიბებოდნენ. სადამოს სცინცადის ოპერა „განდევილი“ უნდა ეჩვენებინათ მაყურებლისათვის. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს დღე





ილუსტრაცია ვეფხისტყაოსნისთვის

ქართული თეატრის, განსაკუთრებით კი ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ისტორიაში უმძიმეს კვალს დატოვებდა. 1973 წლის 9 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაჩენილმა ხანძარმა თითქმის მთლიანად გაანადგურა დედაქალაქის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი არქიტექტურული ძეგლი და მუსიკალური კულტურის ცენტრი, ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ფერფლად აქცია არქივი, ბიბლიოთეკა, დეკორაციები, ესკიზები, კოსტიუმები და ა.შ. რაც დანვას გადაურჩა წყალმა შეინირა.

თეატრის აღდგენის პროცესები მალევე დაიწყო და 1977 წელს წარმატებით დასრულდა კიდევ; შენობის სრული რეაბილიტაციის მიუხედავად მისი ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი ვიზუალური ელემენტი, მხატვრული ტილო, რომელიც იმავდროულად თეატრის ინტერიერის ყველაზე მიმზიდველ ნაწილის წარმოადგენდა – სერგო ქობულაძის მიერ შესრულებული საზეიმო ფარდა, სამუდამოდ წარსულის კუთვნილებად იქცა. დარჩა მხოლოდ მხატვრის ესკიზები, ჩანახატები და ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშთან კონტაქტის წარუღებელი შთაბეჭდილება ჩვენი უფროსი თაობის მეხსიერებაში.

ასი წლის წინათ ასევე დაიწვა თბილისის პირველი ოპერის თეატრიც. ძველი, შავ-თეთრი კინოს კადრებივით გაიელვა თითქმის უკვე საუკუნის წინანდელმა წარსულმა. XIX ს.-ის 70-ანი წლების თბილისი, „ფერშინგის მაღაზიაში საჩქაროდ ნაყიდი ბილეთები“, „დროშკების“ უწყვეტი რიგი თეატრის წინ, რჩეული ბანოვანები და „იტალიური ტრუპა“. შემდგომ კი „ერევანსკის მოედანზე ვარსკვლავებამდის ავარდნილი ალი“ და დამწვარი თეატრი-ქარვასლა, „ნაგები სკუდიერის არქიტექტურით“. „ფერიათა სასახლე“, როგორც მას აღექვანდრე დიუმა უწოდებდა კავკასიაში მოგზაურობის ამსახველ თავის ნაშრომში – ერთიანად დაიფერფლა. ქალაქში მხოლოდ იმ დამეს შეიტყვეს, რომ „თურმე პაჟარნი კამანდა არ ქონდათო“ – წერდა, დანანებით, გრიგოლ ორბელიანი.

ამ თეატრსაც ამშვენებდა მხატვარ გ.გაგარინის მიერ შესრულებული ფერწერული ფარდა, რომელიც თავისი მხატვრული ღირებულებით ბევრი ევროპული სცენის ასეთსავე სამშვენისს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს ფარდაც ხანძარმა იმსხვერპლა და მისგანაც მხოლოდ ესკიზებიღა შემოგვრჩა.

ფარდას თეატრში ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ასეა დღესაც. დარბაზში შესული მაყურებლისათვის ის განსაკუთრებული, საზეიმო, ამაღლებული და ხშირად ამაღელვებელიცაა. ამ ტიპის ფარდა არც ერთ კონკრეტულ სპექტაკლთან არ ასოცირდება და ერთის მხრივ რეალური, მეორეს მხრივ კი მხატვრული სამყაროს ვიზუალური, პირობითი მიჯნაა. არქიტექტურულ სივრცეს ორგანულად მორგებული მსგავსი დეკორატიული ელემენტის შექმნა ურთულესი მხატვრული ამოცანის წინაშე აყენებს ხელოვანს. თუმცა სერგო ქობულაძის მიერ თბილისის ოპერის თე-

ატრისათვის 1956–1961 წლებში შესრულებული საბეი-  
მო ფარდა, როგორც მონუმენტური ფერწერის, ასევე  
თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების თვალსაზ-  
რისით სრულიად გამორჩეული ნიმუშია. მხატვარმა ამ  
ნაწარმოების შექმნას მთელი თავისი ნიჭი და ენერგია  
შეაღწია. მას ცნობილი ქართველი გრაფიკოსისა და  
სცენოგრაფის შემოქმედებაში სრულიად გამორჩეული  
ადგილი უჭირავს.

მანამდე კი იყო ოპერის თეატრში მუშაობის არა-  
ერთი ნაყოფიერი წელი. კოტე მარჯანიშვილის ინიცი-  
ატივით თეატრში მისული ახალგაზრდა მხატვარი საო-  
პერო სპექტაკლების გაფორმებას ოდნავ მოგვიანებით  
იწყებს. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მისი  
სადებიუტო ნამუშევარი, 1937წ. დადგმული მ.ბალან-  
ჩივადის ოპერა „დარეჯან ცბიერი“ იყო; რასაც მოჰყვა  
ა.გლახუნოვის ბალეტი „რაიმონდა“, მოსკოვის დიდი  
თეატრის სცენაზე (1945წ.), შ.მშველიძის ოპერა „ამბავი  
ტარიელისა“ (1946), თბილისის ოპერისა და ბალეტის  
სახ. აკადემიურ თეატრში და ზ.ფალიაშვილის – „აბესა-  
ლომ და ეთერი“ (1946).

მუსიკალურ თეატრში, სერგო ქობულაძის მოღ-  
ვაწეობის ამსახველი შემოქმედებითი მემკვიდრეობა,  
სამწუხაროდ, ძალიან მწირია. ბალეტისათვის „რაიმონ-  
და“ მის მიერ შექმნილი არც ერთი ესკიზი არაა დღეს  
ჩვენთვის ცნობილი. მშველიძისა და ფალიაშვილის  
ოპერებისათვის შესრულებული ნამუშევრები კი თითზე  
ჩამოსათვლელია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მა-  
სალა ქობულაძისეული სცენოგრაფიის ძირითადი ვი-  
ზუალური მახასიათებლების წარმოდგენის საშუალებას  
მანიც იძლევა. მხატვრის ხელწერისათვის დამახასია-  
თებელი თავისებურებების გათვალისწინებით კი სპექ-  
ტაკლის საერთო სტილისტიკაზეც კი შესაძლებელია  
მსჯელობა.

შ. მშველიძის ოპერის „ამბავი ტარიელისა“ პრემი-  
ერა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური  
თეატრის სცენაზე 1946 წლის 26 თებერვალს გაიმართა  
(რეჟ. ალ. ნუნუნავა), „აბესალომ და ეთერის“ პრემი-  
ერამდე ორი დღით ადრე. ეს ის პერიოდია, როდესაც  
ქართულ სცენოგრაფიაში კონსტრუქტივისტული თუ  
სხვა ავანგარდისტული ექსპერიმენტები საბოლოოდ  
გაქრა. აღბეჭდა ფორმისეული რეალიზმი, რომელიც

გამორჩეულად ნიჭიერ ავტორთა შემოქმედებაში არა-  
ნაკლები ეფექტურობით გამოვლინდა. ამ დროის ხე-  
ლოვანთა დიდმა ნაწილმა ისტორიულ-კულტურულ  
წარსულს მიმართა, რაც გიგანტური სახელმწიფო-კონ-  
გლომერატის შემადგენლობაში შემავალი მცირე ერი-  
სათვის თვითგადარჩენის გარკვეულ შესაძლებლობას  
ქმნიდა. სცენაზე ზღაპრული ელფერის მქონე გრანდი-  
ოზული არქიტექტურა, შეხამებული მუსიკისა და სიუ-  
ჟეტის მონუმენტურობასთან, ისტორიული წარსულის  
მოტივებით შემკული საბეიმო, ამაღლებული განწყო-  
ბა და სპექტაკლის ეროვნული ხასიათი, გამოვლენილი  
ოდნავ სტილიზებულ-დეკორაციული ფორმით – ასე-  
თია ს. ქობულაძისეული ვიზუალური ინტერპრეტაცია  
ოპერებისათვის – „ამბავი ტარიელისა“ და „აბესალომ  
და ეთერი“.

სერგო ქობულაძე მთელი თავისი შემოქმედებითი  
მოღვაწეობის მანძილზე ხშირად უბრუნდებოდა ერ-  
ოსდაიმავე თემას – ხვეწდა, ცვლიდა და სხვა კონ-  
ტექსტში ახლებურად წარმოაჩენდა მას. ასეა მურმა-  
ნის მიუვალი ციხე-სიმაგრის შემთხვევაშიც ოპერიდან  
„აბესალომ და ეთერი“, რომელიც მანამდე „ვეფხისტყა-  
ოსისათვის“ შესრულებულ ცნობილ ილუსტრაციებში  
(1935–1937), მოგვიანებით კი შ.მშველიძის ოპერისათ-  
ვის შექმნილ დეკორაციებში „ქაჯეთის ციხის“ სახით ვა-  
რირებს.

ამ ნამუშევრებს შორის სიუჟეტურ-კომპოზიციური  
სხვაობის მიუხედავად მუდმივად შენარჩუნებულია ერ-  
თი განწყობა: ციხე – როგორც ბოროტების სიმბოლო.  
არქიტექტურაში ხორცშესხმულ და მძლავრად წამო-  
მართულ ამ ტიტანს, ცისთვის თავი მიუბჯენია და გე-  
ვიდან გადმოჰყურებს მებრძოლ რაინდებს. მხატვარი  
თავს არიდებს ქაჯების, უსხეულო ავსულების გამოსახ-  
ვას და მათ ნაცვლად აღნიშნულ ნაგებობას ერთ-ერ-  
თი მნიშვნელოვანი მოქმედი გმირის როლს აკისრებს.  
აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი გადასახედიდან  
მხატვრის სპექტაკლებში, ბევრი რამ იმდროინდელი  
ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწი-  
ნებით, ახლებურად იკითხება და ეროვნული სატკივა-  
რის ელფერი დასდევს.

აბესალომ და ეთერის“ აღსაბაძე-ქობულაძისეულ  
დადგმას, ამ სპექტაკლის მრავალი სცენიური ინტერპ-

რეტაცია უძღოდა წინ. 1919წ.–დან მოყოლებული ზ.ფალიაშვილის ამ განუმეორებელი ოპერის რეჟისურასა თუ მხატვრობაზე არაერთი ცნობილი ქართველი ხელოვანი მუშაობდა. შესაბამისად სპექტაკლის საერთო სტრუქტურული საფუძვლები უკვე ჩამოყალიბებული, ყოველი ცალკეული მოქმედებისათვის კი, მკაფიოდ განსაზღვრული სიუჟეტური გარემო იყო შემუშავებული. საზოგადოების მიერ ამ ოპერის სცენოგრაფიული ქარგისადმი ზედმეტად სტერეოტიპული დამოკიდებულება, სადადგმო ფგუტის ამოცანებს საგრძობლად ართულებდა. მიუხედავად ამისა, ს. ქობულაძის შემოქმედების მკვლევარნი ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სცენოგრაფიას მხატვრის მიერ XXს.–ის 40–იან წლებში შექმნილ საუკეთესო თეატრალურ-დეკორაციულ ნამუშევრად თვლიან.

„აბესალომ და ეთერის“ დადგმას უკავშირდება ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ერთი ისტორიაც, რომელიც სერგო ქობულაძის პიროვნებას განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს. ამ სპექტაკლის საპრემიერო და მომდევნო პერიოდის პროგრამებში სასცენო დეკორაციების ავტორად სერგო ქობულაძე, კოსტუმების მხატვრად კი ირაკლი გამრეკელია მითითებული, რაც 1949–1950 წლების თეატრალურ სემონამდე ასევე რჩება. შემდგომ ზ. ფალიაშვილის ოპერის 1953 წლის განახლებულ დადგამდე (რეჟ. ი. თუმანიშვილი, მხატვ. ს. ვირსალაძე) პროგრამებში მხატვრად მხოლოდ ს. ქობულაძის გვარი გვხვდება.

1946 წელს, როდესაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში „აბესალომ და ეთერის“ აღსაბაძე-ქობულაძისეული დადგმის პრემიერა შედგა, ირ. გამრეკელი უკვე სამი წლის გარდაცვლილი იყო, ეს კი გამორიცხავდა მის უშუალო მონაწილეობას სპექტაკლის შექმნის პროცესში. ქართული თეატრის ისტორიაში კარგადაა ცნობილი ირ.გამრეკელის მიერ 1937 წელს მოსკოვში დაგეგმილი დეკადისათვის შესრულებული „აბესალომ და ეთერის“ სცენოგრაფია, რომელიც ამ ნაწარმოების სცენიური ინტერპრეტაციის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული. თუმცა, როგორც მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და მისი ბიოგრაფები, თუ თანამედროვეთა მოგონებები მოწმობს, ის ამის შემდეგ აღარასოდეს დაბრუნებია „აბესალომ და ეთერის“

თემას. შესაბამისად, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ს. ქობულაძემ სწორედ 1936 წლის დადგმისათვის შექმნილი კოსტუმები გამოიყენა, ან შესაძლოა მათი განახლებული ვარიანტი შექმნა და საკუთარ დეკორაციებს მორგო. ეს ერთდროულად თეატრალური მხატვრობის დიდოსტატის ციტირებად, ორი ხელოვანის შემოქმედებითი ესთეტიკის ურთიერთდამხვევად და ქართული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლისადმი პატივისცემის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს; მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ, დიდი ხნის წინ, რუსთაველის თეატრში მისულ 23 წლის ახალბედა მხატვარს, სერგო ქობულაძეს, რომელსაც თითქმის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა, პირველად სწორედ ირაკლი გამრეკელმა ანდო თავის სცენოგრაფიულ შედეგზე – „ყაჩაღებზე“ მუშაობა და კოსტუმების მხატვრად აიყვანა.

40–50–იანი წლები მუსიკალური სპექტაკლების გაფორმების თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი იყო მხატვრის შემოქმედებაში. 1947წ. სერგო ქობულაძემ შეასრულა დეკორაციები და კოსტუმები გრ.კილაძის ბალეტისათვის „სინათლე“. რასაც საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაგირება მოყვა. უკმაყოფილების მთავარ მიზეზად, თითქმის ყოველთვის სასცენო გაფორმების სიმძიმე და სტატიკურობა სახელდებოდა. ეს არც ნატურალიზმი იყო და არც იმ პერიოდის ხელოვნებაში უკვე მკვიდრად ფეხმოკიდებული რეალიზმი. ს.ქობულაძე სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულ, მანამდე სრულიად უცხო მონუმენტურ-ფერწერული ხასიათის, მასშტაბურ დეკორაციებს სთავაზობდა საზოგადოებას. აკი თვითონაც აღნიშნავდა ერთ-ერთ ინტერვიუში „მონუმენტალისტი ვარო“; თუმცა, როგორც ჩანს, საბალეტო სპექტაკლებში, სადაც ჰაეროვნებას, პლასტიკურობასა და ვიზუალურ სიმსუბუქეს არსობრივი დატვირთვა ენიჭება, დეკორაციების მძიმე, მძლავრი ფორმები არაბუნებრივად მკვეთრ მხატვრულ კონტრასტს ბადებდა, რაც ასე მიუღებელი იყო ამ ტიპის სანახაობისათვის; საოპერო წარმოდგენებში კი – მხატვარი ვიზუალურად ავსებდა და უფრო ჩამოქნილ, ძლიერი ხელით ნაძერწ იერს სძენდა თითოეულ პანოს, აქსესუარს, გამოსახულებასა თუ ტიპაჟს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საოპერო წარ-

მოდგენა, როგორც სტატიკურობისაკენ მეტად მიდრეკილი სანახაობრივი ფორმა, (ყოველ შემთხვევაში იმ დროს ეს ასე იყო) უდაოდ საჭიროებდა სასცენო სივრცის სრულ შევსებასა და ათვისებას, რასაც მსგავსი მომენტური მხატვრობა ბოლომდე უზრუნველყოფდა.

1958წ. ს.ქობულაძემ მხატვრულად გაფორმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კიდევ ერთი დადგმა — კომპოზიტორ დ.თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“. ამის შემდგომ ოპერის თეატრში რაიმე სპექტაკლის სცენოგრაფიაზე მას აღარ უშუშავია, თუმცა ამ დროისათვის ოპერის თეატრის საბიუჯეტო ფარდის პირველი ესკიზები უკვე არსებობდა (1956). „აბესალომ და ეთერის“ თემამ მხატვრის შემოქმედებაში კიდევ ერთხელ გაიჟღერა. სწორედ, ზ.ფალიაშვილის ამ უკვდავი ქმნილების ერთ-ერთი სცენის (აბესალომისა და ეთერის პირველი შეხვედრა) ამსახველი მცირე სიუჟეტური გამოსახულება განათავსა მხატვარმა, თეატრისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ფარდის პირველ ვერსიაზე. რაც ბუნებრივი, ლოგიკური და გამართლებულიც იყო. მსგავსი კონკრეტული მხატვრული ელემენტის გამოყენებით ს. ქობულაძე ქართული საოპერო ხელოვნებისათვის აღნიშნული ნაწარმოების განსაკუთრებულ და სიმბოლურ მნიშვნელობაზე მიანიშნებდა. მაგრამ მოგვიანებით, 1961 წელს, შეიქმნა ფარდის მეორე ვარიანტი, სადაც სიუჟეტურ დეტალს, ეროვნული მოტივებითა და ორნამენტით უხვად გაჯერებული დრაპირებებით გარშემორტყმული, ჩანგზე დამკვრელი ფიგურის გამოსახულება ჩაენაცვლა. კომპოზიცია სრულად გათავისუფლდა ყოველგვარი კონკრეტულისა თუ თხრობითი ელემენტისაგან და ფარდამაც უფრო განზოგადებული ხასიათი შეიძინა.

თითქმის ნატურალისტური მანერით შესრულებული ფარდის ცალკეული მონაკვეთები მძიმე, მასიური, უხვად დრაპირებული ქსოვილის გასაოცარ ილუზიას ქმნიდა. ბედმინევნით, ფილიგრანულად გამოწერილი ორნამენტები, ცალკეული დეკორატიული დეტალები — ვაზის, ბორჯღალოს თუ განვითარებული შუასაუკუნეების ქართული ლითონმქანდაკელობისათვის დამახასიათებელი მოტივები ზოგადეროვნული ხასიათის იყო. უკანა პლანზე განთავსებული მითოსური პერსონაჟი კი, მუსიკის ჰანგებს აყოლილი პარნასის მთის ბინადარი,

რომელსაც ანტიკური სხეულბრივი მშვენიერება და სერგო ქობულაძისათვის ჩვეული ხაზოვანი პროფილი გამოარჩევდა, თავისთავად განზოგადებული და მასშტაბური დატვირთვის მატარებელი იყო.

კონკრეტული და მრავლისმომცველი, კონტექსტისეული მხატვრულ-განზოგადებულობა და გამოსახვის რეალისტური მანერა, განონასწორებული, მშვიდი და იმავდროულად სადღესასწაულოდ მქლერი კოლორიტი — ეს ის ძირითადი მახასიათებლებია, რაც სერგო ქობულაძის ამ გრანდიოზული ტილოს მაღალმხატვრულ ღირებულებას განაპირობებდა.

მუშაობა დიდხანს მიმდინარეობდა. მომზადდა უამრავი ჩანახატი და ესკიზი. ფარდის საბოლოო ვარიანტი (8,5 X 14 მმ.), ტილოსა და ტემპერაში, მრავალშრიანი ტექნიკით, ხელოვანმა მთლიანად თვითონ შეასრულა. 1978წ. გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე — ყველაზე უფრო თქვენი, რომელი ნამუშევარი გიყვართო? მხატვარი პასუხობს: „ის, რომელზეც ყველაზე მეტად გამიძნედა და მუშაობა, ... საოპერო თეატრის ფარდა.“ ამ დროისათვის ეს ფარდა უკვე დამწვარი იყო და შემოქმედი მის ახლებურად აღდგენას გეგმავდა. ეს მხატვრის ბოლო ინტერვიუ იყო, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩანერილი. სამწუხაროდ, სერგო ქობულაძის მემკვიდრეობას მხატვრის ყველაზე საყვარელი ნამუშევარი, ოპერის თეატრის ფარდა, ისევე როგორც თავად ხელოვანის სახე მხოლოდ გაცრეცილ ფოტოებზეა შემორჩა.

ერთი ადამიანისათვის, ალბათ ესეც იკმარებდა, თუმცა მუსიკალური თეატრის მხატვრობა სერგო ქობულაძის შემოქმედების მხოლოდ ერთი და თანაც ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მხარეა. გრაფიკოსი და ფერმწერი, „ვეფხისტყაოსნის“ და შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე ილუსტრატორი, შოთა რუსთაველის, დანტესა და სავონაროლას პორტრეტების, გერმანული ეპოსისა თუ ქართული ზღაპრების ვიზუალური ინტერპრეტაციების შემქმნელი, მარჯანიშვილის თეატრისა და რუსთაველის თეატრის მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი და წლების მანძილზე აკადემიის რექტორი, ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის დამფუძნებელი — ასეთია

## **მუსიკა და მხატვრობა**

---

მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების უაღრესად ერთიანი სინთეზური მთლიანობა, რომლის ყოველი ცალკეული ნახნაგი ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს.

სტუდენტებთან საუბრისას სერგო ქობულაძე ხშირად აღნიშნავდა – ხელოვნებას მხოლოდ შემოქმედებითი ინტუიციისა და მაღალი საშემსრულებლო ტექნიკის სინთეზი იძლევაო, რისი საუკეთესო დასტურიც თავადვე იყო.

თამარ ბელაშვილი





მანანა ალფაიძე, რეჟო ჩისაშვილი, ზაზა მენთეშაშვილი, რუსუდან ბინაძე

# დღესასწაული შედგა

ქალაქის ისტორიისათვის რამდენიმე ათეული წელი მკირე დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე რუსთავში საუკეთესო კულტურული ტრადიციები ჩამოყალიბდა. მათ შორის მუსიკალურ კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა კონცერტების ციკლი, რომელიც გაზაფხულის დადგომისთანავე „იღებს სტარტს“ და შეიძლება ითქვას მუსიკალური ფესტივალის სტატუსს ატარებს. საავტორო კონცერტები, ახალგაზრდა შემსრულებელთა გამოსვლები, სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა კონცერტები, კონკურსები და სხვა საინტერესო ღონისძიებები მრავალფეროვან მუსიკალურ-კულტურულ დღეებს ჩუქნის რუსთაველებს.

ერთ-ერთი ასეთი დღე გახლდათ 24 აპრილი--

რუსთავის დრამატული თეატრის დარბაზში რუსთაველ კომპოზიტორებს მასპინძლობდა. კომპოზიტორები მანანა ალფაიძე, რუსუდან ბინაძე და ზაზა მენთეშაშვილი თანამოქალაქეების წინაშე თავისი შემოქმედებით წარსდგნენ. შესრულდა ზაზა მენთეშაშვილის საორკესტრო პიესა ფლეიტისა და ორკესტრისათვის, ორი გერმანული ვარიაცია და საორკესტრო სურათი „ელეგია“. მანანა ალფაიძის „მინიატურები ინსტრუმენტული ტრიოსათვის“, საბავშვო გუნდები და სიმღერები ვაჟთა ვოკალური ანსამბლისათვის „სამშობლო“ და „რუსთავი“. რუსუდან ბინაძის სიმღერები ვოკალური ციკლიდან ქალთა ტრიოსათვის, პიესები ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის და მინიატურა ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად.

რუსთაველ კომპოზიტორთა ჯგუფი (მათ შორისაა

რუსთაველი კომპოზიტორი, უფროსი თაობის წარმომადგენელი რევამ ჩიტაშვილი), მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მათი მუსიკა სრულდება კონცერტებსა და შეხვედრებზე, შესულია სხვადასხვა მუსიკალური კოლექტივების და ცალკეული შემსრულებლების რეპერტუარში. რ. ჩიტაშვილის, რ. ბინაძის, მ. ალფაიძის და ზ. მენთეშაშვილის ინსტრუმენტული და ვოკალური თხზულებები დამკვიდრდნენ რუსთავის /და არა მარტო რუსთავის/ სამუსიკო სკოლების სასწავლო რეპერტუარშიც.

რუსთაველი კომპოზიტორების ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება, გახდა იმის საფუძველი, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელობამ რამდენიმე წლის წინ რუსთავში კავშირის ფილიალი დაარსა. მას სათავეში ჩაუდგა კომპოზიტორი მანანა ალფაიძე.

ფილიალის მუშაობამ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა რეგიონის მუსიკალური ატმოსფერო. ამის დასტურია კომპოზიტორთა კავშირის ეგიდით ჩატარებულ მუსიკალურ ღონისძიებებზე რუსთავისა და ქვემო ქართლის სისტემატიური მონაწილეობა. როგორცაა მაგალითად: მერი დავითაშვილის სახელობის მუსიკის საბავშვო კვირეული, მანანა ალფაიძის მიერ დაარსებული საერთაშორისო ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“ და სხვა.

შეხვედრა რუსთაველ კომპოზიტორებთან თბილი ემოციური განწყობით გამოირჩეოდა. დარბაზში ამაღლებული განწყობილება სუფევდა, ხშირად გაისმოდა გულწრფელი ოვაციები, მონონების შეძახილები.

კონცერტის წარმატებაში თავისი წვლილი შემსრულებლებმაც შეიტანეს;

რუსთავის კემერული ორკესტრი /ხელმძღვანელი შოთა ყაველაშვილი/, კომპოზიტორთა კავშირთან არსებული ინსტრუმენტული ტრიო, რუსთავის ფ. კახიძის სახელობის სამუსიკო სკოლასთან არსებული ქალთა ვოკალური ტრიო, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მე რუსთველი“, ფოლკლორის სკოლასთან არსებული ბავშვთა ანსამბლი „იები“ /ხელმძღვ.: ნინო მამაგულაშვილი/ და სხვა მუსიკოს შემსრულებლები. ხელოვანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო და იმავდროულად ყველაზე ნანატრი წუთი მსმენელ-

თა სამსჯავროზე, მისი შემოქმედების გამომწვევების დროა. ხოლო ყველაზე დიდი გამარჯვება კი — ხალხის სიყვარულია. კონცერტის დასასრულს, სცენაზე მდგარი იმ დღის „მთავარი გმირები“ — ზაზა მენთეშაშვილის, რუსუდან ბინაძის, მანანა ალფაიძის, და რევამ ჩიტაშვილის ბედნიერი სახეები გულწრფელ მადლიერებას გამოხატავდნენ. მადლიერებას მონაწილეთა მიმართ, რომლებმაც ავტორთა მხატვრული ჩანაფიქრი პროფესიული დამაჯერებლობით მიიტანეს მსმენელამდე, მადლიერება ქალაქის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელთა მხარდაჭერითაც განხორციელდა ეს პროექტი, და მადლიერება თავისი ერთგული მსმენელის მიმართ, რომელმაც გაიგო, მიიღო და შეიყვარა მათი მუსიკა.

შემოქმედი ადამიანისთვის ეს მართლაც რომ, უდიდესი დღესასწაულია.



ვაჟა აზარაშვილის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერის სახელწოდებამ ჩინური სენტენცია გამახსენა: დღეები მიდიან, წლები კი მიფრინავენ. ცხოვრება მართლაც სულმოუთქმელად მიდის.

მისმა შემოქმედებითმა გზამ ჩემს თვალწინ ჩაიარა და დღესაც აღმასვლით მიიმართება. გუშინდელივით მახსენდება აბიტურიენტი ვაჟა და ჩემი თანაკურსელების მთელი “თანავარსკვლავედი”, რომელთაგან არა ერთი სახელი ჩაინერა ქართული მუსიკალური კულტურის მატრიანში.

ვაჟა აზარაშვილი იმ რჩეულ ხელოვანთაგანია, რომლის ეროვნულ-პარტიოტული შემართება და მუსიკალური ინტელექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გემოვნების დაქვეითებითა და მაღალი კრიტიკულების გაუფასურებით დალდასმულ ჩვენს დღევანდე-

ლტოლვამ მისი პროფესიული ვექტორი ინსტრუმენტული მუსიკისაკენ გადახარა. როგორც მკაფიო აზროვნების ინსტრუმენტალისტს, მას განსაკუთრებით იზიდავს კამერული სიმფონიზმი და ზოგადად კამერული ჟანრი თავისი საინტერესო ნაირსახეობებით. მუსიკალურ-მხატვრულ სახეთა მოდიფიკაციის მეშვეობით იგი რაციონალურად იყენებს საკრავთა აკუსტიკურ-ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ტემბრულ ფერადოვნებას.

ვაჟა აზარაშვილმა არა ერთ ჟანრში სცადა კალამი და არა ერთი ინსტრუმენტული თბულეობით გაამდიდრა ქართული პროფესიული სამუსიკო კულტურა. ესაა კონცერტები ვიოლინოს (3), ალტის, ჩელოს, ფლეიტის, ფორტეპიანოს (2), საყვირისათვის. სონატები, ორი სიმებიანი კვარტეტი, საკვარტეტო პიესების ციკლები, სამი სიმფონია, ორ მოქმედებიანი ბალეტი “ხევისბე-


# ჯეზუარისტად სახალხო კომპოზიტორი

ლობაში. მისი საკომპოზიტორო ოსტატობა და მაღალი ესთეტიკაში ჭეშმარიტ ღირებულებებსა და მარადიულ მხატვრულ ფასეულობებზეა დამყარებული. ხოლო შემოქმედების უნიკალობის ფორმულა მისი ნიჭიერების, სტილის თვითმყოფადობისა და მუსიკალური ხელოვნების სიღრმისეულ გააზრებაშია.

კომპოზიტორის შემოქმედებითი თვალსაწიერი საკმაოდ ფართოა. ჟანრულ-თემატიკურ ინტერესების არე-ტევადი და მრავალსახოვანი: ღირსშესანიშნავი ინსტრუმენტული კომპოზიციებიდან დაწყებული ჰიტებადქცეული მრავალრიცხოვანი საესტრადო სიმღერებით დამთავრებული.

ახალი ჰორიზონტების ათვისებისაკენ მუდმივმა

რი”, შვიდი ოპერეტა, საფორტეპიანო კვინტეტი, “ძველი თბილისის სურათები” სიმებიანი კვარტეტისათვის. ასევე ვოკალური ციკლები იოსებ გრიშაშვილის, შოთა ნიშნიანიძის, ნიზამი განჯელის, მორის ფოცხიშვილის, ანა კალანდაძის, მანანა დანგაძის ლექსებზე, რომანსები თევდორე ტიუტჩევის სიტყვებზე (თ. ბეჭიშვილის თარგმანი), კინო-ფილმებსა და დრამატული სპექტაკლებისათვის დაწერილი მიუსიკა, მრავალი სიმღერა და ა. შ. კომპოზიტორი დიდ ყურადღებას უთმობს ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრს, სადაც ნათლად ვლინდება კლასიკური ტრადიციების განახლება-განვითარებისაკენ მისწრაფება. ამ ჟანრის საუკეთესო ქმნილებათა რიგს განეკუთვნება ერთნაწილიანი კონცერტი ჩელოსა



ვაჟა ავაზაშვილი

და კამერული ორკესტრისათვის. კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა ასევე კონცერტმა ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, რომელიც მკვეთრ კონტრასტებზეა აგებული. თავისებურია ორკესტრის შემადგენლობაც.

მის შემოქმედებით ნუსხაში სპეციალისტთა წრეებში განხურებული ადრინდელი საყურადღებო ნაწარმოებებიც შედის. თუნდაც, ახალბედა კომპოზიტორის სადიპლომო ნაშრომი – საფორტეპიანო ტრიო, რომელსაც უმაღლესი შეფასება თავად დიმიტრი შოსტაკოვიჩმა მისცა.

მისი ადრეული ოპუსებით საზოგადოება გაეცნო პერსპექტიული ახალგაზრდა ავტორის სერიოზულ პროფესიულ განაცხადს, რომელიც დამწყები მუსიკო-

სისათვის უჩვეულო ლოგიკური აზროვნებით, ფორმის მკვეთრი შეგრძნებითა თუ საკომპოზიტორო ტექნოლოგიების ცოდნით სასიამოვნო გაოცებას იწვევდა. მათში ნათლად გამოვლინდა მხატვრულ-შემოქმედებითი რესურსი – მელოდიური აზროვნებისა და მუსიკალურ-თემატური მასალის სახეობრივი ტრანსფორმაციის შესაძლებლობანი. უტყუარი ნიჭის მქონე მომავალი მუსიკოს-შემოქმედი “ქედბედიანიც” აღმოჩნდა: საკომპოზიტორო ხელოვნების ურთულეს ლაბირინთში მისი დამკვალიანებლნი მაღალგანსწავლული მუსიკოსები, ქართული მუსიკალური კულტურის პატრიარქები – სამუსიკო სასწავლებელში პროფ. ალექსანდრე შავერზაშვილი, კონსერვატორიაში – პროფ. იონა ტუსკია, ხოლო ასპირანტურაში პროფ. ანდრია ბალან-

ჩივად იყვნენ. ამ ღვანდმოსილ ოსტატთა როლი განუსაზღვრელი იყო ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებით ფორმირებასა და მაღალკვალიფიციურ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

მის შემოქმედებაში მჭიდრო უერთიერთკავშირში თანაარსებობს და ვითარდება ინსტრუმენტალური, ვოკალური, აკადემიური თუ პოპულარული, მსუბუქი მუსიკის ჟანრები, რაც კომპოზიტორის ესთეტიკურ-მხატვრული პოტენციალის სიფართოვისა და ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის კანონზომიერი შედეგია. მაგრამ პროფესიული მრავალხანაგოვანების მიუხედავად მსმენელთა ფართო მასისათვის მისი სახელი საესტრადო კლასიკად მიჩნეულ მის სამღერებთანაა გაიგივებული.

იგი საუცხოოდ შეიგრძნობს ქალაქური სიმღერის, ესტრადის სპეციფიკას. ამასთან, მკაფიო არტისტული თვისებებით დაჯილდოებული მუსიკოსი როგორც დიდ საკონცერტო სცენაზე, ისე ყოფითი მუსიკირებისას საკუთარი ჰანგების მგზნებარე შემსრულებიცაა.

ვაჟა აზარაშვილს ღირებულებათა თავისი შკალა და მკვეთრი ეროვნული საყრდენები აქვს. ესტრადა მისთვის მარტო საღალბო, გასართობი ჟანრი კი არ არის, არამედ ცხოვრებისეული განცდების მართალი წარმოსახვის, ჩვენი დროის ადამიანის და საკუთარი მე-ს მსოფლგაგების ჩვენების საშუალება. როგორც ჩინებული მელიოდისტი იგი საინტერესო და შთამბეჭდავი ინტონაციური სახეებით აზროვნებს. ესტრადულობის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად იგი არ მიიჩნევს მარტოდენ მასობრივად მისაწვდომ ხასიათს, მღერადობას და შემოაქვს ინტონაციურ-სახეობრივი ნაკადი, რომელიც მხატვრულად ეხმიანება წარსულსაც და დღევანდულობასაც. მის ვოკალურ კომპოზიციებში ლირიკული მღერადობისა და მხატვრულად ჰიპერბოლიზებული საცეკვაო რიტმიკის შეზავება ხდება. საინტერესოა თანამედროვეობის პრიზმაში გადაწყვეტილი სააკომპანიმენტო ფაქტურის ჰარმონიულ-რიტმული სტრუქტურა.

ეროვნული სასიმღერო თემატიკის საწყისებზე დაწერული მისი მუსიკა ქართული სიტყვის კორიფეების ილიას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ტიციან ტაბიძის, იოსებ ვრიშაშვილის, შოთა ნიშნიანიძის, თუ მორის

ფოცხიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, პეტრე გრუზინსკის, დოდო გვიშანიის, მაცყალა გონაშვილის, ვახტანგ გოგოლაშვილის, მამია ჩორგოლაშვილის, ალექო კაკულიას, მაია სარალიძის, ვარლამ ნიკოლაძის, გურამ ტყემალაძისა თუ სხვათა პოეტური სტრიქონებითაა გაჯერებული.

პოპულარული კომპოზიტორი მრავალი საპატიო ჯილდოსა და ტიტულის მფლობელია. ამ რეგალიათა მოპოვება ხომ რჩეულთა ხვედრია.

საყოველთაოდ ცნობილი მაღალნიჭიერი პერსონა, თავდაუზოგავად გამრჯე ადამიანი, შეუპოვარი და ბო-ბოქარი პიროვნება, მუსიკალური შთაგონებისა და მუზათა “ვენერატორი”, საკუთარი სასიმღერო ნიმუშების შთაგონებული ინტერპრეტატორი, ნიჭიერი და დაუზარელი იმიტატორი, ორიგინალური იუმორისტულ-პაროდული მინიატურებისა და ქარაგმების იმპროვიზატორი, ლაღად მომღვინე. უშუალო და გულმხურვალე კაცი, დიდებული ოჯახის მეთაური – ასეთია ვაჟა აზარაშვილი, ჭეშმარიტად სახალხო კომპოზიტორი.

შემოქმედებით ბენიტში მყოფი, მძლავრი იმპულსებით დამუხტული ხელოვანი კვლავ აქტიური ძიების ფაზაშია. მისთვის, როგორც შემოქმედისათვის “სიმშვიდე სახიფათო ფუფუნებაა” (ოთარ ჭილაძე). მართლაც, მისი პროფესიული ჟინი, დაუოკებელი ბუნება და მუსიკალური შრომა დიდწილად განაპირობებს კომპოზიტორის მოღვაწეობის უწყვეტ დინამიკას.

ვაჟას შემოქმედებითი პორტრეტის ძირითადი კონტურები თითქოს მოიხაზა. მაგრამ გონებაში დაგროვილი კითხვების “კორიანტელმა” მასთან დიალოგისაკენ მიბიძგა და წინასწარ დაუგეგმავი ჩვენი საუბარიც ასე შედგა:

თ.მ. – პირველი წარმატება. როდის ირწმუნეთ საკუთარი ძალებისა. რა ემოცია ჭარბობდა მაშინ – სიხარულის, თვითკმაყოფილებისა თუ ენერგიული წინსვლის სურვილი.

და კიდევ: მნიშვნელოვანი ესთეტიკური ძვრა, რამაც ღირსეული კვალი დატოვა თქვენს მუსიკალურ ცნობიერებაში.

ვ.ა. – ჩემი პირველი წარმატება უკავშირდება მუსიკალურ სასწავლებელში მეცადინეობის წლებს, როცა შესანიშნავმა და ამავდარმა პედაგოგმა ბნ.-მა



ვაჟა აზარაშვილი ქალიშვილთან, ნათიასთან ერთად

ალექსანდრე შავერბაშვილმა ნუგზარ ვანაძესა და მე დაქინებით გვიჩინა თითო განყოფილებიანი საღამოს ჩატარება კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ეს უპრეცედენტო კონცერტი საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა ორივე ჩვენთაგანისათვის. ჩვენმა შემოქმედებითმა “ჭაშნიკებმა” მუსიკალური საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა. განსაკუთრებული წარმატება და ბის-ზე შესრულება ხვდა წილად ჩემს რომანსს “რა კარგი ხარ” (იოსებ გრიშაშვილის ლექსზე) აკაპელური შესრულებით.

დღეის გადასახედიდან, პატარა მაგრამ მონაფეობის პერიოდისათვის მნიშვნელოვან გამარჯვებად მიმაჩნია ეს ეპისოდო: მუსიკალური შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ჩემმა პედაგოგმა ფირა გორემბურგმა უმკაცრესად გამაფრთხილა: სამეცადინოდ თუ ძალიან არ გადადებ თავს, ვიოლინოზე დაკვრაში შენი კონკურენტი გადაგყლაპავსო. იცით ვინ იყო ეს “მხეცი”

ნორჩი მევიოლინე? ჩვენი სახელოვანი კონსტანტინე ვარდელი. ორივემ ხუთეტი მივიღეთ. ამ საოცარმა სიხარულმა კმაყოფილება და წინსვლის სურვილი ჩამისახა.

პირველი მძაფრი ესთეტიკური შეგრძნება მუსიკალური განათლების ადრინდელ საფეხურებს ემთხვევა. სამუსიკო სკოლების სიმებიანი ორკესტრის (სადაც მეც ვუკრავდი პირველ, ხან მეორე ვიოლინოზე) მიერ მიხეილ ძიძიშვილი ხელმძღვანელობით ბახის “არიისა” და მოცარტის “ღამის სერენადის” შესრულებამ შემძრა და წრუშლელი კვალი დატოვა ჩემში, რამაც განსაზღვრა მუსიკისადმი ჩემი უღალატო სიყვარული.

თ.მ. – მეჩვენება, რომ მორის ფოცხიშვილის ლექსის პათოსი “მუსიკა-ბრძოლა, გოლგოთა, დენტა” თქვენი სულის ამოძახილიცაა და მრწამსიც, რომელიც რეფრენივით გასდევს მთელს თქვენს მრავალპლანიან შემოქმედებას. როგორც წარმატებული კომპოზიტორი “ბედნიერ ტანჯულად” მიიჩნევთ თავს?



თამარ გაბარაშვილი, ვაჟა აგარაშვილი, ნანა ღიბისურიანი

ვ.ა. – ლექსი მორისმა მიძღვნა და თან დააყოლა – ამ ლექსზე მუსიკა ალბათ არ დაინერებაო. მე მაინც ჩაუფექი. მუშაობამ ჩამითრია და მუსიკის არსის ჩემებურად წარმოსახვას შევეცადე. შემოქმედება მუდამ შინაგან წვასთან, საკუთარ ემოციებსა და თავთან ჭიდილია. ეს მართლა ტანჯვაა, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში უზომოდ ბედნიერების მომნიჭებელი. ანუ “ტკივილი, მაგრამ ტკბილი”.

თ.მ. – დღეს ყველას ეიოლება მუსიკის თხზვა. პირადად მე გაორებული შეხედულება მაქვს ამასთან დაკავშირებით. კარგია, რომ ბევრი ელტვის საკომპოზიტორო ხელოვნებას, მაგრამ კომპოზიტორობა მართო სურვილი და ადვილად ხელმისაწვდომი ხელობაა? მართო ნიჭსა და ინტუიციამ დაყრდნობით შეიძლება გახდეს კომპოზიტორი? რამდენად ჩანს ავტორი მუსიკალურ ქმნილებებში. რას ფიქრობთ მუსიკის თანამედროვე მდგომარეობაზე – აქვთ, აძაგებთ თუ არაფრის თქმას ამჯობინებთ. რამდენად საჭირო სისხშირითა და ობიექტურობით იმართება ჩვენში მუსიკალური კონკურსები.

ვ.ა. – ჩემი მასტრო ბატონი იონა ტუსკია ასე გვმოდვრავდა: კარგი მუსიკის დასაწერად გული და კარგი განათლება საჭირო. მართლაც, ნიჭთან, ცოდნასთან, პროფესიონალიზმთან იღბალი და ღვთის მადლიც აუცილებელია, ჩემი აზრით, შემოქმედისთვის

მიუტევებელია ამბიციურობა, ამპარტავნობა და საკუთარი თავით ტკბობა. კონკურსები, რა თქმა უნდა, მასტიმულირებელია შემოქმედი ადამიანისთვის. მასხოვს, მეორე კურსის სტუდენტმა როგორ გავიმარჯვე კომპოზიტოროთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (სარომანსო ჟანრში). ხუთიდან სამი პრემია მე მერგო.

ვფიქრობ, ჩემი მუსიკა ეროვნული და თანამედროვე თვალთახედვისაა, საკუთრივი, მელოდიური და ჰარმონიული სამყაროთი, სტილით.

თ.მ. – მუსიკა სულის იდუმალი არითმეტიკააო (ვოტფრიდ ლაიბნიცი). არცნობიერის დონეზე მუსიკა შესაძლოა მათემატიკური პრინციპების გათვალისწინებითაც იქმნება. რამდენად იდენტურია მუსიკალური და მათემატიკური აზროვნება. მუსიკა სუფთა ემოციაა, თუ ცივ მათემატიკურ ლოგიკასთან წილნაყარი ურთულესი შემოქმედება.

ვ.ა. – მათემატიკასთან თავიდანვე მწყრალად ვიყავი. მაგრამ მუსიკალური მეცნიერების სიღრმეებში ჩახედვა მაფიქრებინებს, რომ ამ სფეროებს შორის გარკვეული გარკვეული იდენტობა და ურთიერთკავშირი მართლაც არსებობს.

თ.მ. – კითხვა, რომლის პასუხიც ზუსტად იცით. რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით.

ვ.ა. – ზუსტად ვიცი – ბედის ბორბალი რომ თავიდან დატრიალდეს, ისევ მუსიკას გავყვებოდი.

კითხვას ოპერას დანერის თაობაზე ჯერჯერობით პასუხს ვერ გავცემ მიზეზთა გამო. სტუდენტობაში ბატონი ტუსკია იმედოვნებდა და დაბეჯითებით მიმეორებდა – შენ დანერ ოპერასო. მაგრამ ამ ურთულეს ჟანრს ვერ შევბედე, ვერ შევეჭიდე....

თ.მ. – როგორ გავიგოთ “სიმღერაა მთელი ჩემი ქონება” ხატოვანი ფრაზა თუ შემოქმედების წამყვანი სახეობა. და თუ ასეა, რომელ მათგანს მიიჩნევთ სავიზიტო ბარათად.

ვ.ა. – სიმღერა ევპატორია – თბილისის გზაზე შეითხზა. ხატოვანი სახელწოდება პეტრე გრუზინსკის დამსახურებაა. ხუმრობით მას კიდევ ვსაყვედურობდი: სათაურით დამთარსე, სიმღერის გარდა სხვა ქონება არ გამაჩნია მეთქი. სინამდვილეში კი ბედნიერიც ვარ და მდიდარიც ჩემი შემოქმედებით, ხალხის სიყვარულით.

თ.მ. – სჯობს გარანტირებული მიწიერი კეთილდღეობა და პატივი, თუ ოცნების ფრთებით სწრაფვა ამოუცნობი იდუმალებისაკენ.

ვ.ა. – ალბათ მეორე. მით უფრო ჩემისთანა რომანტიკული განწყობისა და ბუნების კაცისათვის. თუმცა რა სჯობს, როცა ხელოვანს ლუკმა პურის პრობლემა არ უდგას. რომ არა კეთილი ადამიანის უანგაროდ გამოწვევითი დახმარების ხელი, ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა.

თ.მ. – ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი “ნადავლი”.

ვ.ა. – საფორტეპიანო კვინტეტი, კონცერტი დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის და მანანა დანგაძის ლექსებზე შექმნილი ვოკალური ციკლი “შენ რომ არ მყავდე”. როგორც იქნა, გამოიცა სქელტანიანი წიგნი ჩემს შემოქმედებაზე “უკან მოხედვის არ მეშინია” (თანდართული დისკით). ამას გარდა დაიბეჭდა სიმღერების პირველი და მეორე ტომები. მზადაა მესამე ტომის მასალაც. გამოსაცემად ვამზადებ რომანსების კრებულსაც, სადაც თავს მოიყრის სხვადასხვა პერიოდებში შექმნილი ცალკეული რომანსები და ვოკალური ციკლები. დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით კონსერვატორიის მცირე დარბაზში კამერული მუსიკის კონცერტი, ხოლო 2011 წ. 22 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში სიმღერების საღამო ჩატარდა და ვარსკვლავიც გაიხსნა. დიდი სურვილი მაქვს სიმფონიური მუსიკის კონცერტის გამართვისა. ვნახოთ...

თ.მ. – ათეული წლების მანძილზე გვერდი-გვერდ შრომობთ და იღვწით მეუღლესთან, ჩინებული პოეტური კრებულის ავტორთან, მანანა დანგაძესთან ერთად. ეს “ბედნიერი შეხვედრა” იყო, თუ არც თუ მსუბუქი უღელი. საგანგებოდ უნდა ვახსენო ერთადერთი შვილი ნათიაც. დამატებითი სირთულეები ხო მარ იქნება, როცა ოჯახის წევრები ერთიდაიგივე სპეციალობისა არიან?

ვ.ა. – მანანა პედაგოგად მუშაობდა ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში. პოეზიით მისი, ბავშვობისდროინდელი გატაცება დაგვირგვინდა; ლექსების კრებულებით, რომელმაც საზოგადოების მონონება დაიმსახურა. ახლა იგი მეორე წიგნზე მუშაობს. ჩვენი ცოლ-ქმრული კავშირი წლების განმავლობაში

შემოქმედებით თანამშრომლობაში გადაიზარდა. მის ლექსებზე არაერთი მუსიკალური ნაწარმოები მაქვს დაწერილი. მისივე პოეზია დაედო საფუძვლად ნუნუ დულაშვილის, მარიკა კვალიაშვილის, რუსუდან სეფისკვერადის, გოგი ჩლაიძის, შალვა დავითაშვილის, ვაჟა დურგლიშვილის, მერაბ მერაბიშვილისა და სხვა კომპოზიტორთა ვოკალურ კომპოზიციებს. ჩემმა ნათიამ წარჩინებულად დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ეკონომიკური განხრით) და კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი (პროფ. რევაზ თავაძის კლასი), ხოლო ასპირანტურა საკონცერტმასტერო მიმართულებით (პროფ. ლალი ბაქრაძე), დაიცვა დისერტაცია. მუშაობს საოპერო თეატრსა და კონსერვატორიაში პროფესორად. იგი ხშირად ჩემი ნაწარმოებების პირველი ინტერპრეტატორი და საკმაოდ წარმატებული შემსრულებელია. ჩვენი პროფესიული საქმიანობით ვავსებთ და ხელს ვუწყობთ ერთმანეთს.

თ.მ. – სამომავლო ჩანაფიქრთაგან რომლის განხორციელებას გეგმავთ ყველაზე ადრე.

ვ.ა. – უკვე დავასრულე მესამე სიმფონიაზე მუშაობა (დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის). ასევე ტარიელ ჭანტურიას ლექსზე დავწერე ვოკალური ციკლი და ხუთი პრელუდი ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის.

თ.მ. – დიდი მადლობა საუბრისთვის.

ვ.ა. – მეც მადლობას გიხდით.



## ახალგაზრდული „ბენდი 19“ აღმავლობის გზაზე...

თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ორკესტრს წელს დაარსებიდან 35 წელი შეუსრულდა. 35 წელი, ისტორიისთვის ეს უმნიშვნელო თარიღი, ადამიანის ცხოვრების რამდენ ეპიზოდს მოიცავს. თითქოს გუშინ იყო ის პატარა გოგო – ბიჭები, რომლებიც ტანად თავიანთ ინსტრუმენტებზეუკ პატარები იყვნენ, დღეს ბებიები და პაპები არიან. ბევრმა მათგანმა მომავალ პროფესიად მუსიკოსობა აირჩია და დღეს საქართველოში და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში თავიანთი წარ-

მატებული მოღვაწეობით ასახელებენ მშობლიურ სკოლას.

სკოლა ზრდის, აძლიერებს და უკვე მუსიკოსად ჩამოყალიბებულს თავის მოსწავლეებს გზას ულოცავს უკეთესი მომავლისაკენ. მათ ადგილს კი სხვები იკავებენ, ისეთივე უსუსურები, როგორებიც თავდაპირველად მათი წინამორბედები იყვნენ. ასე გრძელდება 35 წელი, შეუფასებელი შრომის 35 წელი.

მე-19 ხელოვნების სკოლა დაარსებიდან 53 წელს ითვლის. იგი საფორტეპიანო სკოლად ითვლებოდა და

მოსწავლეები მხოლოდ საფორტეპიანო ხელოვნებას ეუფლებოდნენ, მაგრამ სკოლის მაშინდელი დირექტორის ბატონ ოთარ ლოლაძის და მაშინდელი სასწავლო ნაწილის გამგის ბატონ თამაზ მოლაშვილის უზღვავე ენერჯის და ენთუზიაზმს მხოლოდ საფორტეპიანო მიღწევები არ აკმაყოფილებდა და გააკეთეს ყველაფერი, შეუძლებელი შესძლეს და სკოლაში შექმნეს საორკესტრო განყოფილება, რომლის ბაზაზე უდიდესი შრომის შედეგად შეიქმნა ბავშვთა სასულიერო ორკესტრი. წლებთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა სკოლაც და ორკესტრიც. დღეს სამუსიკო სკოლა ხელოვნების სკოლად იწოდება, სადაც გარდა საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებისა, ფუნქციონერებს ქორეოგრაფიული, სახვითი ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების, ვოკალური და სიმებიანი საკრავთა განყოფილებები. 2 წელია ორკესტრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი და ენერგიული დირიჟორი ბატონი სერგო ტყაბლაძე, რომელმაც ორკესტრს ახალი ელფერი შესძინა, გაამდიდრა რეპერტუარი. მოსწავლეები ასრულებენ როგორც კლასიკურ, ისე ჯაზურ ნაწარმოებებს. ასრულებენ აგრეთვე საცეკვაო მუსიკას და პოპულარულ ნაწარმოებებს კინოფილმებიდან. რეპერტუარის გაფართოებით და გამდიდრებით იგი გახდა მრავალჟანრობრივი და დღეს იგი ახალგაზრდული „ბენდი 19“-ია, რომელსაც რესპუბლიკურ კონკურსზე მიენიჭა პირველი ადგილი და ლაურეატობა, ხოლო მის დირიჟორს ბატონ სერგო ტყაბლაძეს საპატიო ოქროს ვარსკვლავი.

ახლად შემომატებულ ვიოლინოს კლასის წამყვან პედაგოგს გალინა ბანდურას ორკესტრთან დაკავშირებით შორს გამიზნული ვეგები აქვს და მოკლე ხანში იმედი გვაქვს ორკესტრში ვიოლინოზე შემსრულებლებსაც ვიხილავთ.

სკოლაში საორკესტრო განყოფილების მოსწავლეთა თეორიული სწავლების გაძლიერების მიზნით მოწვეული იქნა წამყვანი პედაგოგი ინა გვეტაძე, რომელიც ენერჯის და ცოდნის არ იმურებს, რათა მოსწავლეებმა წარმატებულად გააგრძელონ გზა კონსერვატორიისაკენ.

სკოლის დირექტორის ბატონ თამაზ მოლაშვილის უდიდესი მიღწევაა ის, რომ გარდა გაერთიანებული

ორკესტრისა, სკოლაში ცალკე ჩამოყალიბდა გოგონათა ორკესტრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გოგონათა ორკესტრი საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ერთადერთია. მისი ჩამოყალიბების იდეა ბატონ თამაზ მოლაშვილს დაებადა მას შემდეგ, როდესაც სრულიად შემთხვევით ხელში ჩაუვარდა კორეელი ქალების ვიდეო ჩანაწერი, რომლებიც სასულიერო რუმენტებზე უკრავდნენ. უდიდესი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა ამ იდეის ხორცშესხმას. ბატონ თამაზს დაუზარებლად და უშურველად დაუდგნენ გვერდზე დირიჟორები

ბატონი სერგო ტყაბლაძე და ბატონი ალექსანდრე მწარიაშვილი, საორკესტრო განყოფილების გამგე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ბატონი არჩილ ბაკურაძე, ორკესტრის ინსპექტორი ბატონი ემზარ გვარამაძე, პედაგოგები: თამაზ ბერიაშვილი, გიორგი გაგნიძე, ნუგზარ გენაძე, ომარ კოტიშაძე, ასლან მიქაბერიძე, მერაბ მეტრეველი, ზაქარია პირმისაშვილი, მარინა ჩხოპაძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, გულნამ ჭელიძე, ელენე ჯელაძე და გრიგოლ მელაძე. გარდა აღნიშნული საორკესტრო განყოფილების პედაგოგებისა, ყველა სხვა პედაგოგი და თანამშრომელიც ორკესტრით სუნთქავს. საჭიროების დროს თავიანთ საქმეს გვერდზე დებენ და უპირველეს ყოვლისა ორკესტრის საქმეს აყენებენ წინ.

ორკესტრს თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე მიღებული აქვს უამრავი ჯილდო. მოვლილი აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ყველა ქალაქი, საიდანაც ჩამოტანილი აქვს მრავალი სიგელი, მედალი, დიპლომი, ლაურეატის წოდება... საორკესტრო განყოფილების პედაგოგების შრომის გვირგვინია ის, რომ ოცდაერთმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. სკოლას საამაყოდ მიაჩნია, რომ პირველად სამუსიკო სკოლების ისტორიაში ტრომბონისტმა გოგონამ ლელა კოდიშვილმა დაამთავრა კონსერვატორია, ასევე იდეა სტიპენდიის დანიშვნის შესახებ რამდენიმე წლის წინ განხორციელდა ამ სკოლაში და მისი პირველი მფლობელი გახდა მაშინდელი მეორე კლასის მოსწავლე ფლეიტაზე შემსრულებელი სოფიო ჩიტიაშვილი (პედ. შპირმი-



საშვილი). რამდენად სასიხარულოა, რომ დღეისათვის მთელი თბილისის ხელოვნების სკოლების ნიჭიერ მოსწავლეებს თბილისის მერიის მიერ დანიშნული აქვთ სტიპენდიები. ასევე სკოლა ამყობს საყვირის კლასის მოსწავლით ვალერი საათაშვილით (პედ. ნ.გენაძე), რომელმაც ქალაქის კონკურსში ნიჭიერ მუსიკოს შემსრულებელთა შორის მიიღო პიველი ადგილი, ოქროს ვარსკვლავი და გახდა გრანპრის ფლობელი. რაც შეეხება საქართველოში ერთადერთ ტუბაზე შემსრულებელ გოგონას ნინო ჯამერაშვილს (პედ. მ.მეტრეველი), ამ გოგონათი შეუძლია იამაყოს მთელმა მუსიკალურმა საზოგადოებამ. იგი ქალაქის მერიის ფინანსური დახმარებით გაგზავნილი იქნა ბრაზილიაში მსოფლიო საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საიდანაც დაბრუნდა ლაურეატის წოდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო კონკურსზედაც ტუბაზე შემსრულებელი ერთადერთი გოგონა აღმოჩნდა.

წელს სკოლაში და ალბათ ორკესტრების ისტორიაში უდიდეს საიხლეს ჩაეყარა საფუძველი. პირველად აჟღერდა ქართული ხალხური სიმღერა ჯამის სტილში გოგონათა ორკესტრის შესრულებით და ვოკალის თანხლებით, რომლის ავტორები არიან დირიჟორი და კომპოზიტორი ბატონი ალექსანდრე მწარიაშვილი და გუნდის ხელმძღვანელი ქალბატონი თინათინ იმერლიშვილი.

სკოლაში ტრადიციად არის ქცეული, რომ სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეები ისვენებენ ქობულეთში, სადაც დასვენებას უთავსებენ გაათმაგებულ შრომას და მოკლე პერიოდში ორი, სამი თვის პროგრამას ითვისებენ.

მრავალი წლის განმავლობაში ორკესტრთან აქტიურად თანამშრომლობს შესანიშნავი ადამიანი და პიროვნება, კომპოზიტორი და არანჟირების ავტორი ბატონი თენგიზ ჯაიანი, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ორკესტრისათვის ორმოცზე მეტი ნაწარმოები აქვს შექმნილი.

სკოლას აქტიურად უდგანან მხარში საქართველოს პროფკავშირული კულტურულ საგანმანათლებლო დანესებულებების შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი სვეტლანა ჩიჩუა, საქართველოს კულტურის სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებ-



„ბენდი 19“

ელი პროფკავშირის თავმჯდომარე ქალბატონი ციცო ჯაფარიძე, ქალაქ თბილისის 156-ე საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ქეთევან ხახუბია.

დღეისათვის ახალგაზრდული „ბენდი 19“ აღმავლობის გზაზე და იმედია, თავისი წარმატებული შემოქმედებით კიდევ ბევრჯერ მოუტანს დიდ სიამოვნებას ქართველ და არამხოლოდ ქართველ საზოგადოებას.



რომლისთვისაც ტექნიკა მუსიკალური ნაწარმოების იდეის გამოხატვის საშუალებაა და სხვა არაფერი.

ხატია დაჯილდოებულია იმ ღვთიური ძალით, რომელიც არაფრით მიიღწევა, ადამიანს ბუნების ეს ჯილდო ან აქვს, ან – არა.

აი, სწორედ ამ ძალით არის დაჯილდოებული ხატია და ეს ძალაა მისი დიდი წარმატების საწინდარი.

2011 წელს მისი კონტრაქტი წელიწადში 100 კონცერტით იყო გაპირობებული, ხოლო 2012 წელს 120 კონცერტზე მეტი აქვს დაგეგმილი. დღეს მის რეპერტუარშია სხვადასხვა კომპოზიტორის 20 საფორტეპიანო კონცერტი, 8 სოლო პროგრამა და მრავალი კამერული კონცერტი დიდ მუსიკოსებთან ერთად დუეტის, ტრიოს, კვარტეტის, კვინტეტისა და სხვათა შემადგენლობით.

განსაცვიფრებელია ახალგაზრდა გოგონას ძალა, გონება და მეხსიერება ამ უზარმაზარი რეპერტუარის განსახორციელებლად, თანაც წარმატებულად, მისი ყოველი კონცერტი მსმენელთა ოვაციებითა და მქუხარე აპლოდისმენტებით მთავრდება. მას უკვე ჰყავს

# წარმატებული პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი

24 წლის ხატია ბუნიათიშვილი უაღრესად წარმატებული ქართველი პიანისტია, რომლის საკონცერტო მართონი მოიცავს ევროპის, ამერიკის, იაპონიის, ჩინეთისა და მრავალი სხვა ქვეყნის დიდ საკონცერტო დარბაზებსა და ფესტივალებს.

ახალგაზრდა მუსიკოსი გამორჩეულია თავისი ნიჭით, აზროვნებით, მუსიკისადმი დამოკიდებულებით

თავისი „ფანები“ გერმანიაში, ვენაში, პარიზში (სადაც ის ცხოვრობს), ესპანეთში, ისრაელში და აი, 2011 წელს ამერიკაში მისი ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ მსმენელთა თხოვნით ა. წ. ნომბერში ხატია კვლავ ეწვევა ამერიკას ს. რახმანინოვის №2 და ფ. შოპენის №1 კონცერტით.



სახია ჯანიანი

ყველაფერთან ერთად ხატის პიანისტური აურა იმდენად ძლიერია, რომ მას ხშირად იწვევენ დიდი მუსიკოსების გვერდით გალა კონცერტებზე, ფესტივალებზე, შემოქმედებით საღამოებზე. ა. წ. აპრილში მიწვეული იყო ბრიუსელში უხუცესი მევიოლინე ივრი გიტლისის 92 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ისეთ მუსიკოსებთან ერთად, როგორცაა მარტა არგერინი, მიშა მაისკი, ვენგეროვი, ჯ. ჯონსონი და სხვანი.

დღეს ახალგაზრდა თანამშრომლობს მსოფლიო ფირმასთან „სონი“, სადაც მან CD-ზე ჩანერა ლისტის ნაწარმოებები და ვიდეოკლიპი ფაუსტის, მეფისტოფელისა და მარგარიტას თემაზე, საკუთარი ტექსტითა და კონცეფციით.

ამჟამად ფირმა „სონისთან“ წერს ფ. შოპენის ნაწარმოებებს.

ევროპის მრავალი მუსიკალური ჟურნალი თვალყურს ადევნებს ხატის პიანისტურ ცხოვრებას, მათი გარეკანის პირველ გვერდებს ხშირად ამშვენებს მისი პორტრეტები და ჟურნალისტური გამოხმაურება. 2011 წელს ასეთი ჟურნალები იყო: ფრანგული „პიანისტი“, ვენის Musikverein და 2012 წელს ამსტერდამის ჩონცერტებოუნ.

ა. წ. 7 აპრილს მისმა უნიკალურმა მეხსიერებამ და ნიჭმა განცვიფრებაში მოიყვანა ევროკავშირის ახალგაზრდული ორკესტრი და მისი დირიჟორი ვლადიმერ აშკენაზი შვეიცარიის ქალაქ ინტერლაკენის ფესტივალის დახურვის საღამოზე, სადაც ხატია ასრულებდა ლისტის №2 საფ-ნო კონცერტს. ბრწყინვალე შესრულების შემდეგ, ხატია მათ გაუმჟღავნა ორ დღეში ნასწავლი კონცერტის საიდუმლოება. ახალგაზრდა მუსიკოსს ხშირად აქვს ასეთი შემთხვევები მისი დატვირთული გასტროლების გამო.

დღეს, ხატის ასეთი წარმატებული შემოქმედებითი ბიოგრაფია მეტყველებს მასზე, რომ ის დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რაც დამახასიათებელია მაღალი კლასის პიანისტისთვის: სტილის გრძობა, ბგერის მდიდარი პალიტრა, ვირტუოზული ტექნიკა, ნაწარმოების მხატვრული სახის გახსნა როგორც ვერტიკალში, ისე ჰორიზონტალში, აქვს გამოკვეთილი ინდივიდუალური ხელწერა და მრავალი სხვა პიანისტური თვისება.

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა მუსიკოსის ცხოვრება უაღრესად დატვირთული და საინტერესოა, რომელიც წარმატებულად აღმავალი გზით მიემართება.

„არასოდეს შემიძლო სიტყვებით გამომეხატა ჩემი გრძნობები და ემოციები. არ ვიცი მუსიკაში ან ფერწერაში ეს ასე ან ისე რატომ გავაკეთე. პირიქით, ეს იყო ერთგვარი გამოსავალი, რამაც საშუალება მომცა გამომეხატა რაღაც სიტყვების გარეშე“

**არნოლდ შონბერგი**

გასულ წელს მსოფლიოს მუსიკალურმა საზოგადოებამ აღნიშნა 60 წელი არნოლდ შონბერგის გარდაცვალებიდან, კომპოზიტორისა, რომელსაც უწოდებდნენ რევოლუციონერ-კონსერვატორს, მუსიკალურ მოსეს და რომლის სახელი დღემდე ასოცირდება თანამედროვე, ე.წ. ახალ მუსიკასთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველი ოპუსების შექმნიდან უკვე ასზე მეტი წელი გავიდა.

ეს თარიღი ძალიან ინტენსიურად აღინიშნა სხვა-



არნოლდ შონბერგი

# არნოლდ შონბერგის საიუბილეო საღამო

დასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საშემსრულებლო გაერთიანებების ანდა სოლისტების მიერ. უცნაურია, რომ საქართველოს მუსიკალურ წრეებში, რომელიც ე.წ. მრგვალ თარიღებს თითქმის ყოველთვის ეხმაურება, ეს მოვლენა პრაქტიკულად არ აღუნიშნავთ. ასეთი სიჩუმე შესაძლოა მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ჩვენთან ეს კომპოზიტორი ფერფერობით მაინც არასაკმარისად პოპულარულია.

არადა, დარჩე ისტორიაში – იოლი არაა, რადგან დროს მხოლოდ ყველაზე რჩეულები გადაურჩებიან ხოლმე, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ნოვატორად

დარჩე მეოცე საუკუნეში, სადაც ახალი მიმართულებები და პერსონალები სულ უფრო და უფრო დიდი სისწრაფით ჩნდებიან. არნოლდ შონბერგი ის ფიგურა აღმოჩნდა, რომლის შემოქმედებიდანაც იღებს სათავეს ამ მიმართულებათა უმრავლესობა, პარადოქსია, მაგრამ მათ შორის ავანგარდიც, რომელიც საერთოდ გამორიცხავდა რაიმე მემკვიდრეობითობას. ამგვარად, გამართლდა შონბერგის წინასწარმეტყველება – კომპოზიციის თორმეტტონიანი ტექნიკის შექმნით უზრუნველყო გერმანული მუსიკის უპირატესობა უახლოესი 100 წლით.

ამ კომპოზიტორისადმი დამოკიდებულება და-

სანყისიდან დღემდე ძალიან არაერთგვაროვანია. თავდაპირველად შონბერგის შემოქმედებას ხშირად წარმოიდგენდნენ, როგორც ერთ მთლიან უარყოფას. ხანდახან ასეთი შეხედულებები დღესაც კი შეიძლება შეგვხვდეს. შესაძლოა მათ ჰქონდეთ გარკვეული საფუძველი და ისინი თეოდორ ადორნოს გამონათქვამით აიხსნას : თეოდორ ადორნო წერდა, რომ ახალმა მუსიკამ თავის თავზე აიღო სამყაროს ბნელი და ცოდვილი მხარე. მისი ბედნიერება იმაშია, რომ შეიმეცნეს უბედურებას, მისი სილამაზე კი- ხილული სილამაზის უარყოფააო. მართლაც, მუსიკა ყოველთვის ირეკლავდა სამყაროს სხვადასხვა მხარეს, ახალმა მუსიკამაც ყველაზე პრობლემურის, აქტუალურის ასახვა იტვირთა. ამიტომაც, შეუჩვეველ ყურს შეიძლება მოეჩვენოს, რომ შონბერგის მუსიკაში არც მელოდიაა, არც ჰარმონია, არც ტრადიცია.

შესაძლოა, სწორედ ასეთი შეუჩვეველობა, არცთუ სწორი დამოკიდებულება ან ინფორმაციის ნაკლებობა იყოს მიზეზი იმისა, რომ შონბერგის მუსიკა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ იშვიათად სრულდება. თუმცა, მიზეზების ძებნა შორს წავიყვანს, მაგრამ შესაძლოა მათი სათავე თავად კომპოზიტორის პოზიციას: თუ არის ხელოვნება, მაშინ ის ვერ იქნება ყველასთვის და თუ ის ყველასთვისაა, მაშინ ის არც არის ხელოვნება.

საბედნიეროდ, მრგვალი თარიღი აღნიშვნის გარეშე მანაც არ დარჩა. ოდნავ მოგვიანებით, 2012 წლის 28 თებერვალს კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ ორგანიზებით (სამხატვრო ხელმძღვანელი – შავლე შილაკაძე) შონბერგის მუსიკის საღამო გაიმართა. მონაწილეობდნენ: პიანისტები ნუცა კასრაძე და თამარ ჟვანია, სოპრანო სალომე ჯიქია და კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინო“ გიორგი შილაკაძის დირიჟორობით. კონცერტის ცალკეულ დეტალებზე სწორედ იდეის ავტორი და ორგანიზატორი, დირიჟორი გიორგი შილაკაძე გვსაუბრება:

– ამ კონცერტის ჩატარება განზრახული გვქონდა გასული წლის შემოდგომაზე ან დეკემბრის დასაწყისში, რადგან სწორედ 2011 იყო შონბერგის საიუბილეო წელი. მაგრამ გარკვეული პრობლემის გამო ვერ მოხერხდა, მოვიხდა პროგრამის შეცვლა და გადადება, მაგრამ, უარის თქმა არაფრით შეიძლებოდა და ამი-

ტომ, აი, ჩავატარეთ დღეს. რაც შეეხება რეპერტუარს, ჩემთვის მთავარი იყო შეგვესრულებინა „გასხივოსნებული ღამე“, რომელიც ადრეც შეგვისრულებია და ძალიან გვინდოდა კვლავ დაკვრა. სხვა ნაწარმოებები აირჩა იმის მიხედვით, თუ რა რესურსი გვქონდა, რომელი მუსიკოსი დაგვთანხმდებოდა მონაწილეობას, რადგან შონბერგის შესრულებას გარკვეული სპეციფიკური თავისებურებები აქვს.

თუმცა, „გასხივოსნებული ღამე“ სწორედ ის ნაწარმოებია, რომელიც გარკვეული ინტენსივობით – მაგრამ არა ძალიან ხშირად – სრულდება ჩვენთან. სწორედ შემოდგომაზე თავდაპირველი – სიმებიანი სექსტეტის სახით შეასრულა ჩვენმა სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა ორი დამატებული მუსიკოსით. ეს ნაწარმოები გვიან რომანტიკულ სტილს მიეკუთვნება და მისი შესრულების მანერა ძალიან განსხვავდება გვიანი შონბერგის შესრულების სპეციფიკისაგან. ის უფრო შტრაუსს, მალერს, ბრუკნერსაც კი შეიძლება შევადაროთ.

„გასხივოსნებული ღამის“ საორკესტრო ვერსია ორკესტრმა კონცერტის მეორე განყოფილებაში შეასრულა. რაც განსაკუთრებით სასიამოვნო და უფრო მეტად კი – სასარგებლოა, შესრულებას თან ახლდა რიჰარდ დემელის ამავე სახელწოდების ლექსის დავით წერეთლისეული თარგმანი, რომელიც შონბერგის შთაგონების წყარო გახდა.

პირველ განყოფილებაში კი გამოვიდნენ მუსიკოსები, რომლებიც არ შეუშინდნენ შონბერგის მუსიკის შესრულების სპეციფიკასთან დაკავშირებულ სირთულეებს. მეტიც, მათი გამოსვლები ძალზე მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. საღამო დაიწყო ნუცა კასრაძემ საფორტეპიანო სუიტით პ.25. ამ ნაწარმოების შესრულება შონბერგის საღამოზე ძალიან ნიშანდობლივად მეჩვენა, რადგან იგი კომპოზიტორის შემოქმედების ერთ-ერთი საეტაპო ნაწარმოებია – პირველი ოპუსი, რომელიც მთლიანად თორმეტწონიანი ტექნიკითაა შექმნილი.

რაც შეეხება პირველი განყოფილების მეორე ნომერს, სალომე ჯიქიამ (სოპრანო) და თამარ ჟვანიამ (ფორტეპიანო) საქართველოში პირველად შეასრულეს სამი სიმღერა შონბერგის ვოკალური ციკლიდან



„თბილისის კონსერტინო“, ღირსშესანიშნო გიორგი შილაკაძე

თბ. 8 ხმისა და ორკესტრისათვის.

**სალომე ჭიჭია:** „ეს არის ჩემი პირველი შეხება შონბერგის შემოქმედებასთან. ნაწარმოები, რომელსაც ვასრულებ, ძალიან ღრმა და ფილოსოფიურია, შემსრულებლისგან დიდ დახვეწილობას და სიფაქიზეს მოითხოვს. თავად ტექსტიც არა უბრალოდ სასიყვარულო შინაარსის, ეს შინაგანი ლელვაა, პიროვნების ძიება, ძიება იმისა, თუ რისთვის გაჩნდა ამქვეყნად. ეს მუსიკა ეხმიანება იმას, რაც მე, როგორც მომღერალმა, მინდა შევასრულო.“

**საკმაო ტექნიკური სირთულეებიცაა:** საჭიროა ფართო დიაპაზონი, შეიძლება მეცხრე და კოლორატურული სოპრანოს ბგერებიც. უნდა აღვნიშნო, რომ აკომპანირებას არაჩვეულებრივი პიანისტი თამარ ყვანია მიწევდა. პრინციპში, ამ ნაწარმოებში ორი სოლისტია: პიანისტი და ვოკალისტი. ორივე პარტია თანაბრად რთულია, პიანისტს უხდება ორკესტრის ფუნქცია იტვირთოს, რადგან ორიგინალი ხმისა და ორკესტრისთვისაა დაწერილი“.

სალამოს ამ რეტროსპექტული საკონცერტო პროგ-

რამის რომანტიკულ კულმინაციად კი, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, წარმოდგენილი იყო საორკესტრო ვერსია სიმებიანი სექსტეტისა „გასხვივონებული ღამე“ კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ შესრულებით და, რადგანაც რომანტიკაში ქართული მსმენელის ერთგვარი „სისუსტეა“, შესაბამისად, ამ შესრულებას დარბაზში მყოფი აუდიტორიის ოვაცია მოჰყვა.

ერთხელ არნოლდ შონბერგმა თქვა: „ჩემი მუსიკა არაა თანამედროვე, მას, უბრალოდ, ცუდად ასრულებენ“. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მისი მუსიკა დღემდე თანამედროვედ რჩება და ჩემი ტექსტის დასასრულს მინდა მადლობა გადავუხადო კამერულ ორკესტრს „თბილისის კონცერტინოს“ და მის ხელმძღვანელებს შესანიშნავი საღამოსთვის და ვისურვო, რომ შონბერგის მუსიკა არა მხოლოდ საიუბილეო წლებში სრულდებოდეს ჩვენს სცენებზე და არა მხოლოდ ასეთი გამონაკლისი, მცირერიცხოვანი მუსიკოსების მიერ.

1. რამდენიმე სიტყვა შემოქმედზე

გამოჩენილი კომპოზიტორი დავით თორაძე მე-20 საუკუნის ქართული მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მისი შემოქმედება ეროვნული ფესვებიდანაა ამოზრდილი. ბუნებამ თორაძეს უბოძა

სინთეტური ჟანრებისა და ტრადიციული ჟანრების ახალი მოდელების შექმნა (სიმფონია №2 – „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ – 1968; 7 საგუნდო პოემა – „ქართული ხალხური ჩანამღერები“ – 1974; ფილმი-ბალეტი „მწირი“ – 1974, რომელიც 1978 წელს „გრან-პრით“ დაჯილდოვდა ნიუ-იორკში გამართულ ფილმ-ბალე-

# დავით თორაძე

ელვარე ნიჭი, მკაფიო ინდივიუალობა, მაძიებლური ბუნება. ამ თვისებებმა, პროფესიულ ოსტატობასა და შრომის უნართან ერთად, სრულიად ახალგაზრდა თორაძე წამყვან ქართველ კომპოზიტორად აქცია.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ორივე ეტაპზე (იგულისხმება ორი პერიოდი: I – 40-იანი წლების შუა ხანებიდან 60-იანი წლების შუა ხანებამდე; II – 60-იანი წლების შუა ხანებიდან მის გარდაცვალებამდე, 1983 წლამდე) თორაძე ქართულ მუსიკაში მნიშვნელოვანი მოვლენების სათავეებთან იდგა და დროის მიერ დაყენებულ მხატვრულ პრობლემათა გადაჭრაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. I პერიოდში ეს იყო აკადემიური მუსიკალური ჟანრების ჩამოყალიბებისა და უკვე ჩამოყალიბებული ჟანრების გარდაქმნა-განვითარების პროცესები, სადაც კომპოზიტორმა მნიშვნელოვან წარმატებებსა და აღიარებას მიაღწია (აქ უპირველესად იგულისხმება ქართული საბალეტო მუსიკის საეტაპო ქმნილება – ბალეტი „გორდა“ – 1948, რომლისთვისაც 1951 წელს 26 წლის კომპოზიტორს სახელმწიფო პრემია მიენიჭა და ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“ – 1957); ხოლო შემოქმედების II პერიოდში თორაძე დაკავშირებული იყო ისეთ მოვლენებთან, როგორცაა: ახალი ესთეტიკის ჩამოყალიბება, ენობრივი და ტექნოლოგიური განახლება, ახალი

ტების VI საერთაშორისო ფესტივალზე; საფორტეპიანო კონცერტი – 1983). აღნიშნულ პროცესებში ჩართვა უკვე მონიჭული ხელოვანისაგან დიდ გამბედაობასა და, რაც მთავარია, შინაგან გარდაქმნას მოითხოვდა. ახალ შემოქმედებით პრინციპებზე გადასვლა კომპოზიტორმა ნიჭიერად განახორციელა, ისე, რომ ეროვნული თვითმყოფადობა და შემოქმედებითი ინდივიდუალობა არ დაუკარგავს, რითაც ქართული მუსიკის განვითარების ახალი გზებისა და პერსპექტივების ძიებაში საკუთარი ნვლილი შეიტანა. სწორედ ამას გულისხმობდა ჯანსუღ კახიძე, როდესაც თავის ბოლო ინტერვიუში, ადასტურებს რა ახალი ესთეტიკის ჩამოყალიბებაში 60-იანელებთან ერთად ზოგიერთი უფროსი თაობის კომპოზიტორის მონაწილეობას, ამბობს: „მაჭავარიანის გვერდით, ამ პროცესში აღმოჩნდა გუგული თორაძე... ორივე ნიჭიერი ადამიანი იყო და მიხვდნენ ახალი მუსიკალური სტილისტიკის მნიშვნელობას, მისი გაცნობისა და საკუთარ შემოქმედებაში ტრანსფორმაციის აუცილებლობას“ („მუსიკა“, 2010, №2, გვ.28).

თორაძე იყო ფართო მასშტაბის, მრავალმხრივი პიროვნება, არამარტო კომპოზიტორი, არამედ საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პიანისტი, ჯაზის პირველი ქართველი იმპროვიზატორი, ქართული ხალხური სიმღერების შემკრები.

მისი დამსახურებაა საქართველოს კომპიუტერთა კავშირის ხელმძღვანელობის წლებში (1962-1968, თავმჯდომარის მოადგილე) „მუსიკალური პარასკეების“ ორგანიზება, რომელთა მეშვეობითაც ქართული საზოგადოება თანამედროვე ევროპული მუსიკის მიღწევებს ეზიარა, რასაც ქართული საკომპოზიტორი სკოლის დიდი აღმავლობა მოჰყვა.

ჯაზური მუსიკის მიმართ მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულების პირობებში, როდესაც კომპარტია ჯაზში იდეოლოგიურ მტერს ხედავდა, თორაძე იყო ამ ხელოვნების „დამცველი“ და მოამაგე, ქართული ჯაზური მუსიკისა და მის საფუძველზე აღმოცენებული ქართული საესტრადო სიმღერების ერთ-ერთი პირველი შემქმნელი.

ქართული ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე და თაყვანისმცემელი, თორაძე ხალხური სიმღერების შეკრებით მუშაობაშიც მონაწილეობდა. მის მიერ ჩანერილი არაერთი ქართული ხალხური სიმღერა შესულია ცნობილ ფოლკლორულ კრებულებში.

როგორც პედაგოგმა, თორაძემ აღზარდა ქართველ კომპოზიტორთა მთელი თაობა, რომელთა შორისაც არიან: იოსებ კეჭაყმაძე, ვახტანგ კუხიანიძე, გიორგი ჩლაიძე, ელიზბარ ლომდარიძე, რევაზ ჩიტაშვილი და სხვები. მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტში იყვნენ მასთან მისივე ახლო მეგობრის, ალექსი მაჭავარიანისა და უფროსი თაობის სხვა კომპოზიტორების კლასის სტუდენტებიც, რომელთაც, ისევე, როგორც თავის მოსწავლეებს, თორაძე ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად უზიარებდა.

თორაძის მოღვაწეობის ამ მრავალმხრივ წახნაგებს განსაკუთრებული შუქით ასხივოსნებდა მისი არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებები – სიკეთე, გულწრფელობა, ადამიანებისადმი სიყვარული და თანაგრძნობა, გაჭირვებულთათვის დახმარებისა და ხელის განოდების სურვილი, რასაც ცხადყოფს მის არქივში შემონახული უამრავი თხოვნისა და მადლობის წერილი და ის მამა-შვილური მზრუნველობა, რომელსაც იგი მოყვასისადმი იჩენდა.

ნელს, 14 აპრილს თორაძის დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. მისი შემოქმედება მეტ-ნაკლებად შესწავლილია. პირადად ჩვენ, სამეცნიერო კვლევები გვაქვს



დავით (გუგული) თორაძე

მიძღვნილი მისი შემოქმედების II პერიოდში შექმნილი ყოველი თხზულებისადმი. სამწუხაროდ, არ არსებობს თორაძის საესტრადო-ჯაზური მუსიკის ირგვლივ არცერთი პუბლიკაცია. ესტრადა და ჯაზი ერთად შემთხვევით არ მოვიხსენიეთ, რადგან ეს ჟანრები თორაძის შემოქმედებაში, ისევე როგორც 30-40-იან წლებში ამ სფეროში სსრკ-ში მოღვაწე სხვა კომპოზიტორების შემოქმედებაში, მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადატანილი, ხოლო ომის შემდეგ, მთავრობის დადგენილებით, საერთოდ ყველა ჯაზ-ორკესტრის სახელწოდება



საბჭოთა კავშირში შეიქვალა და მათ საესტრადო ორკესტრი ეწოდათ.

მუსიკათმცოდნე ანტონ ნულუკიძე და კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი თორაძის მოღვაწეობის ამ სფეროს მნიშვნელობაზე არაერთხელ მიუთითებდნენ (გაზეთი „კომუნისტი“, 1982, 19 მაისი).

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ ხარვეზის გამოსწორება და თორაძის საესტრადო მუსიკის კვლევის შედეგების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

## 2. ქართული საესტრადო მუსიკის სათავეებთან

„მუსიკაში ის ყვავილი ფასობს, რომლის ფესვებიც ნიადაგში ღრმად გადის და სიმღერასაც ეს თვისება უნარჩუნებს სიცოცხლეს. ამ „გრძელფესვება“ სიმღერას სხვანაირი არომატიც დაჰკრავს, არომატი ჭეშმარიტად ადამიანური გრძნობისა, იმიტომ, რომ თვით წამიერი მხოლოდ მაშინაა აზრით დატვირთული, როდესაც მარადიულის ნაგლეჯია, როდესაც თვით მასზეა დაფენილი ამ მარადიულის ჩრდილი“. ეს პოეტური სიტყვები გვიგზავნიან ორჯონიკიძეს ეკუთვნის და რევამ ლადიძის შემოქმედების მისამართითაა ნათქვამი. მაგრამ ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საჯსებით მიესადაგება დავით თორაძის საუკეთესო სიმღერებსაც და განსაკუთრებით მის საყოველთაოდ ცნობილ, აღიარებულ „რომანსს“.

რა გზა განვლო კომპოზიტორმა საესტრადო მუსიკის ჟანრში, როგორ მივიდა იგი სასიმღერო შემოქმედების ამ შედეგთან?

როგორც ცნობილია, დავით თორაძე 1939 წელს თბილისის კონსერვატორიიდან, სადაც 1937 წელს ჩარიცხა, მოსკოვის კონსერვატორიაში გადადის და გლიერის კლასში ეუფლება კომპოზიციას. სწორედ აქ ეცნობა იგი ჯაზურ მუსიკას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მასობრივი ხელოვნება და რომლის პირველი კერებიც რუსეთში, კერძოდ მოსკოვსა და ლენინგრადში პარნახის, ცფასმანის, უტიოსოვის, ლანდსბერგისა და სხვათა შემოქმედების სახით იქმნებოდა.

რომ არა კომპოზიცია, თორაძე ალბათ გაამართლებდა კიდევ ღვანლმოსილი პედაგოგის, პროფ.

ანასტასია ვირსალაძის იმედებს და დიდ პიანისტურ ასპარეზზე გავიდოდა, თუმც თავის პიანისტურ ნიჭს პრაქტიკული დანიშნულება გამოუძებნა, იგი მოსკოვის რესტორნებისა და კინოთეატრების საესტრადო კოლექტივებში უკრავდა. მგზნებარე გატაცება საესტრადო-ჯაზური იმპროვიზაციებით, თანდაყოლილი იმპროვიზაციული ნიჭი, კომპოზიტორის მუშაობას შემოქმედებით მუხტსა და ხალისს მატებდა და უადვილებდა იმ დამქანცველი შრომის ტაპანს, რომელსაც არცთუ მხოლოდ ეკონომიური სიდუხჭირის გამო ეწეოდა 17 წლის შთაგონებული და თავდავინყებული იმპროვიზატორი. ჯაზის სიყვარული მას გლიერის მეორე მოწაფესთან – ყარა ყარაევთან აახლოვებდა, რომელიც თორაძის მსგავსად, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს ხელოვნების ამ სფეროში. შინაურ შეხვედრებზე ისინი ხშირად საათობით მუსიკირებდნენ და არად დაგიდევდნენ დროს. გლიერი ბრაზობდა, სწყინდა, რომ ნიჭიერი სტუდენტი სამეცადინოდ განკუთვნილ საათებს ასე „უაზროდ“ და ხელგაშლით „ფლანგავდა“, მოითხოვდა, ტაბუს ამ საქმიანობისათვის თავი დაენებებინა. „ჩემთან გადმოდი საცხოვრებლად და რასაც რესტორნები გიხდიან, იმ საფასურსაც მე გადაგიხდით“, ეუბნებოდა ჯიუტ შევირდს.

იყო კი ეს დრო მართლაც „უაზროდ“ დაკარგული? ჯაზური იმპროვიზაციების პროცესში ღრმავდებოდა, იხვეწებოდა, ფაქიზდებოდა კომპოზიტორის ჰარმონიული სმენა – შემდგომში მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთ-ერთი მახასიათებელი, მახვილდებოდა რიტმის შეგრძნება, ასე იოლად რომ გადაალახვინა ახალგაზრდა ხელოვანს ქორეოგრაფიული ჟანრის სიმწლეები, ყალიბდებოდა შტამპებისა და გამომუშავებული სტერეოტიპების დაძლევის სურვილი, რამაც ქართულ მუსიკაში 60-იანი წლების ტექნოლოგიური განახლების პროცესებთან ერთ-ერთი პირველი მიიყვანა კომპოზიტორი.

მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლების 3 წელი სხვა მხრივაც ნაყოფიერი გამოდგა, გლიერისგანაც ბევრი რამ ისწავლა, ახლოს გაეცნო საბალეტო ჟანრის საიდუმლოებებს, საფუძვლიანად დაეუფლა საკომპოზიტორი ტექნიკას, შეითვისა კლასიკური მეტკვიდრეობა.

ომმა მოსკოვში მიუსწრო. თორაძე სამშობლოში ბრუნდება და უკვე სოლიდური ცოდნით შეიარაღებული სწავლას თბილისის კონსერვატორიაში აგრძელებს, ძველ გატაცებასაც არ ივინყებს. თბილისში იგი აყალიბებს (1943) და სათავეში უდგება საესტრადო კოლექტივს და ჯაზ-ორკესტრს, რომელიც სახელს იხვეჭს, როგორც საინტერესო და მაღალმხატვრული კოლექტივი. სწორედ აქ იქმნება მისი პირველი საესტრადო სიმღერები და ჯაზური ინსტრუმენტული კომპოზიციები. ამგვარად, რევამ გაბიჩვადესთან, სულხან ცინცაძესთან, შოთა მილორავასთან და სხვებთან ერთად დავით თორაძე საესტრადო მუსიკის სათავეებთან აღმოჩნდა.

რა ამოცანები იდგა ამ დროს ქართული საესტრადო მუსიკის წინაშე?

კომპოზიტორს ესმოდა, რომ უცხოური მუსიკის კოპირება არაფერთან არ მიიყვანდა. საჭირო იყო „საკუთარი“ ჯაზის შექმნა. მას საკუთარ, ცხადია ქართულ მუსიკალურ ენაზე უნდა ემეტყველა. სწორედ ეროვნული საესტრადო მუსიკალური ენის ფორმირება იყო ქართული საესტრადო მუსიკის სათავეებთან მდგარი კომპოზიტორების მიზანი. ამ ამოცანის დაძლევის გზა ქართულ ფოლკლორსა და ქართული სერიოზული მუსიკის ჟანრებში მიღებული გამოცდვლების ათვისებაზე გადიოდა, მათი საესტრადო მუსიკაში გადმონერგვისკენ მიემართებოდა, რაც თავისთავად, ჯაზის სტილური საზღვრების გაფართოებას მოასწავებდა. ამას სჭირდებოდა ნიჭი, განსხვავებულ ელემენტთა ურთიერთქმედების თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკულ ხერხთა დამუშავება, მიზანი კი იყო ამ ელემენტების შეცნობად ეროვნულ კატეგორიებში გადასვლა. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც კომპოზიტორი გერელედ, კრებულების დონეზე კი არ იცნობს ხალხურს, არამედ ვრძნობს მის სიღრმეს, რაობას, ესმის მისი ცოცხალი ხმოვანება. ასეთი გაცნობიერების პროცესი განვლილი იყო კლასიკური მუსიკის უმეტეს ჟანრებში და იგივე გზა უნდა განეწყო ქართულ საესტრადო მუსიკასაც.

დავით თორაძის მოღვაწეობაც ჯაზისა და ესტრადის შეერთებისა და ქართულ ნიადაგზე გადმონერგვისკენ წარიმართა. „ქართული“ — კომპოზიტორისათვის არ იყო უბრალოდ ხალხური მელოდია, რომლის



მეუღლესთან, კინომასხიოზ ლიონა ასათიანთან ერთად

ციტირებაც მოხერხებულია. არც სტილიზებაში ჩანდა გამოსავალი. ქართული ჯაზი მისთვის იყო განსაკუთრებული ეთიკა და ესთეტიკა, რომელშიც „ხალხური“ მას ესმოდა არა მარტო „თემატურად“, არამედ ინტონაციურად. ინტონაციური ბუნების მრავალმხრივ გამოვლენაში იმპროვიზაციის მეშვეობით განსხვავებულ ნიუანსთა მრავალმხრივ აფერადებაში ხედავს კომპოზიტორი საესტრადო მუსიკის განვითარების გასაღებს.

ჩვენს ხელთაა თორაძის ჯაზ-ორკესტრის უზბეკეთში გასტროლების პროგრამა, რომელიც სავარაუდოდ, 1944 წელს მიეკუთვნება. არსებითად ეს არის მიუზიკ-ჰოლი, ვრცელი საესტრადო შოუ თავისი კონფერანსიე-

თი, ვოკალური და ინსტრუმენტული საესტრადო ნომრებით, ხალხური მელოდიების ჯაზური დამუშავებებით. პროგრამაშია რევამ გაბინვადის „ქართული რაფსოდია“ ჯაზ-ორკესტრისათვის, მისივე ცნობილი სიმღერა „მომე ხელი“, არჩილ კერესელიძის, დავით თორაძის, ანდრია ბალანჩივადის ნაწარმოებები. ყურადღებას იქცევს უცხოური ცეკვების თორაძისეული დამუშავებებიც — ბლუზი, ტანგო. ხდება მათი „გადმოქართულებაც“ — „ქართული რუმბა“, „ქართული ტანგო“ (ანდრია ბალანჩივადის) და ქართული ცეკვების ჯაზური ტანსაცმლით შემოსვა. თორაძის დამუშავებულ „კინტოურს“, „ქართველ მთიელთა ცეკვას“ და ანდრია ბალანჩივადის „ქართულ ტანგოს“ ასრულებენ ნინო რამიშვილი და ილიკო სუბიშვილი, ჟღერს თორაძის სიმღერები („მოდინ ჩემთან“) აკაკი ანდრიაშვილის „ცეკვა მთიულური“. თორაძე ქმნის „არგენტინულ ნოველას“, ამუშავებს „ცისფერ რაფსოდias“.

ერთდროულად, თორაძე იწყებს მოღვაწეობას თეატრალური მუსიკის სფეროში და საესტრადო-სასიმღერო ჟანრში გამოცდილებას ამ მხრივაც აღრმავებს. მალე იგი კინოშიც მიიწვიეს. (1945, ფილმი „ჭირვეული მებობლები“). სწორედ მის პირველ მნიშვნელოვან ფილმში „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ მიღწია სიმნიფეს თორაძის საესტრადო-სასიმღერო სტილმა. კინოფილმის სიმღერებმა: „თბილისური ღამე“, „მოხუცი ფოსტალიონის სიმღერა“, „გზა მშვიდობისა“ — დატოვეს ეკრანი და ხალხში დაიდეს ბინა.

ესტრადა, როგორც ცნობილია, პოპულარული ჟანრია. ამ პოპულარობის მიზეზია იოლი გასაგებრობა, გამოხატვის მარტივი საშუალებები. მაგრამ ეს სიმართივე მის სწრაფ ამონურვადობასაც განაპირობებს, მისი შინაარსის მოყირტებას. ამიტომ წლის ჰიტები უმოკლეს დროში დავინყებას ეძლევიან, თორაძის ეს სიმღერები კი მეხუთე ათწლეულია ჟღერენ და არ ეტყობათ სიბერის ნიშნები.

რა არის ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, მათთვის უცხოა შაბლონი, შესრულებული არიან მაღალი გემოვნებით, სახეები მკაფიო და ცხადია, გრძობები ხალასი, კომპოზიტორული ნამუშევარი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. როგორ აღწევს ამას კომპოზიტორი?

კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ სიმღერებში ჟანრთა შეღწევის რთული პროცესი მიმდინარეობს, რომელიც მაღალი ნიჭიერებისა და რთულ სერიოზულ ჟანრებში მიღებული გამოცდილების წყალობით, საესტრადო მუსიკაში იოლად გადაჭრა კომპოზიტორმა. გარდა ჯაზის, ესტრადის, ფოლკლორის, აკადემიური კლასიკური მუსიკის ენების სინთეზისა, აქ ძლიერია სიმღერისა და რომანსის ჟანრის ურთიერთშეღწევის ტენდენცია. ურთიერთქმედებენ მათი ფორმისა (კუპლეტური და გამჭოლი) და შინაარსის გამოხატვის (განზოგადება და ინდივიდუალიზაცია) პრინციპები და აგრეთვე ჟანრის განმასხვავებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა: 1. თემატიკა; 2. ემოციურ-სახეობრივი წყობა, ანუ „ობიექტური“ და „სუბიექტური“ განწყობათა ბალანსი. ამ ურთიერთქმედების პროცესში იბადება სიმღერა-რომანსისა და რომანს-სიმღერის სინთეზური ჟანრები. ეს ინვევს სიმღერის გაღრმავება-გამდიდრებას. სწორედ ასეთ სიმღერა-რომანსებად და რომანს-სიმღერებად შეიძლება მივიჩნიოთ თორაძის აღნიშნული სიმღერებიც.

ამგვარად, კომპოზიტორის შემოქმედებაში ხორციელდება ჟანრული და სტილური სინთეზის რთული პროცესი და მის საფუძველზე აღმოცენდება თორაძისეული საესტრადი სტილი, სადაც ურთიერთქმედებენ სიმღერისა და რომანსის ჟანრული მახასიათებლები, საესტრადო მუსიკის „გასხნილობა“ და გასაგებრობა, ჯაზური მუსიკა მისი მეტყველების ცალკეული ელემენტების სახით, ქართული ეროვნული საფუძველი და ქართულ საესტრადო მუსიკაში გამომუშავებული ნორმები.

ყოველივე აღნიშნულმა სრულყოფილი გამოხატულება ჰპოვა მის რომანსში „გზა მშვიდობისა“.

თავის მინიატურულ ფორმაში დიდი სულიერი მოძრაობის დამტევი, შინაგანი არისტოკრატიზმით სავსე, უაღრესად თავდაჭერილი და იმავდროულად ღრმა ლირიკული განცდით აღბეჭდილი ეს პატარა შედევი კომპოზიტორის კინომუსიკაში მუშაობის ვარიანტზე შეიქმნა (1958), როდესაც ქართული კინოს ვეტერანმა, სიკო დოლიძემ, პირველ ერთობლივ ფილმზე — „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ მუშაობა შესთავაზა. როგორც ცნობილია, ქართული კინოს მუსიკალური გაფორმება 70-იან წლებამდე, არსებითად ვოკალური



ღავით თორაძე, ანდრია გალანჩივაძე, სულხან ნასიძე

ჯანრით – სიმღერით იფარგლებოდა, სიმღერა იყო ის მუსიკალური საშუალება, კინოს სამყაროს ეკვივალენტური ბგერადი სივრცე რომ უნდა შეექმნა. რომანსი „გზა მშვიდობისა“ არა მხოლოდ გმირის შინაგანი სამყაროს და ასახვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, არამედ ფილმის ფსიქოლოგიური განწყობის ბგერად სიმბოლოდ იქცა და დამოუკიდებელი არსებობაც დაიმკვიდრა.

სრულიად უჩვეულო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჰარმონიული ენა, არც ერთი მზამზარეული ბგერადი კომპლექსი, ის, მხოლოდ ის, რაც სათქმელია და რითაც სავსეა სული... ამ თვისებებმა, „გზა მშვიდობისა“ თორაძის შემოქმედებისა და ქართული საესტრადო მუსიკის პატარა მარგალიტად აქცია.

დიდი ინტერესით ელოდა ქართველი საზოგადოება ჩვენი ერისათვის დიდად პრესტიჟული ჯილდოების – შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების გაცემას. ამ მხრივ ეს წელიწადი შეიძლება ითქვას ყველაზე ხელახავიანი მუსიკოსებისათვის აღმოჩნდა.: ოთხი რუსთაველის პრემიისა და ორი ეროვნული პრემიის ლაურეატი!

მოპოვებული განსაკუთრებული წარმატებებისათვის. საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭათ: ელიზბარ ლომდარიძეს – კომპოზიტორს ნანარმოებისათვის „კამერული სიმფონია № 2“ შავლეგ შილაკაძეს – კომპოზიტორსა და დირიჟორს ნანარმოებისათვის „სავალბელი“ (სიმებიანი კვარტეტი სოპრანოს მონაწილეობით);

# ვულოცავთ

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და „მუსიკის“ რედაქცია ულოცავს ყველა წლებიდანვე ლაურეატს მოპოვებულ გამარჯვებას, განსაკუთრებული სიამაყით კი მუსიკოს – ლაურეატებს მივესალმებით,

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭათ: თენგიზ ამირეჯიბს – პიანისტს (ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ქართული პიანისტური სკოლის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის), მანანა დოიჯაშვილს – პიანისტს (ნაყოფიერი სამემსრულებლო მოღვაწეობისათვის, ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის; ნიკოლოზ რაჭველს (მემანაშვილს) – კომპოზიტორსა და დირიჟორს „ქეთო და კოტეს“ ახალი მუსიკალური ვერსიის შექმნისათვის, საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული მუსიკის პოპულარიზაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ხატია ბუნიათიშვილს – პიანისტს აქტიური და ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის; საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე

გულმხურვალედ ვულოცავთ მათ და ვუსურვებთ კიდევ არაერთ შემოქმედებით წარმატებას ჩვენი ერის სასიკეთოდ.



თენგიზ ამირეჯიბი




მანანა ღოიჯაშვილი




სათია ზენიათიშვილი



ნიკოლოზ რაჭველი



შავლეშვილი



ელიზბარ ლომჯანიძე

ყველა ჩვენებურმა მუსიკოსმა და მუსიკის მოყვარულ-მაც ყურისმოკვრით მანც იცის, რომ 1930-1950-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში, პოლიტიკურ რეპრესიებთან ერთად ნაირგვარი „იდეოლოგიური კამპანიები“ იმართებოდა – მეცნიერებისა თუ ხელოვნების, ანდა მათი რომელიმე დარგის, „მარქსიზმ-ლენინიზმის

არსებულის რამე; გამონაკლისი სწორედ 1948-1949 წლების „დისკუსიები“ და მისი შედეგებია. მაშინათვე ვიფიქრე, რომ ღირს შესაბამისი ადგილების ამოკრება და საზოგადოებისათვის მიწოდება – ზოგიერთი ფაქტის გასახსენებლადაც და ვითარების გასათვალსაჩინოებლადაც; ვგონებ, საგულისხმოა თუნდაც მაშინდ-

# დაუნდობელი ხანა

დიად მოძღვრებასთან“ თანხმობაში მოსაყვანად. არაერთხელ დასტყობია საბჭოეთის „იდეოლოგიის“ რისხვა მუსიკასაც, მაგრამ ყველაზე დიდი შემოტევა მასზე მანც 1948 წლის ზამთარ-გაზაფხულზე და 1949 წელს მიიტანეს. ამის თაობაზე ახლა არაერთგან ნაიკითხავს კაცი. (იხე მოხდა, რომ ხელთ აღმომაჩნდა მასალა, რაც ასე მგონია საუცხოოდ წარმოადგენინებს ადამიანს იმ ატმოსფეროს, რა და როგორ ხდებოდა.

საქმე ის გავლავთ, რომ ამ ამბების მომსწრე და მონაწილე (თუმცა არაპირდაპირი) ქეთევან თუმანიშვილიც (1919-2001) აღმოჩნდა. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მან ასპირანტურაში სწავლა ასპირანტურაში, მოსკოვის კონსერვატორიაში გააგრძელა, როგორც კომპოზიტორმა და მუსიკისმკოდნემ. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში 1945 წლის ბოლოს ჩასულმა, იქ 1949 წლამდე დაჰყო და მთელი ეს ხანი გამალებული მიმონერაჰქონდა ახლობლებთან, პირველ ყოვლისა, დედ-მამასთან<sup>2</sup>, ისეთი სიხშირით, რომ დღეს ჩვენ ხელთ, არსებითად, იმ წლების დღიურები გვაქვს.

როდესაც ამ ქაღალდების გარჩევა მომიხდა, სხვათა შორის, ორმა ასეთმა გარემოებამაც მიიპყრო ჩემი ყურადღება: თითქმის სულ საუბარია მხატვრულ შთაბეჭდილებებზე (უწინარესად მუსიკასა და თეატრზე) და სანათესაო – სამეგობროზე, დანარჩენი თითქოს არც

ლი დამოკიდებულება მომხდარისადმი – რაგინდა რა განსაცდელთან ერთგვარი ბედსმინდობილი შეგუებაც და თითქმის ბავშვური იმედიანობა, მკირედი სიკეთის პასუხად სამართლიანობის გამარჯვების რწმენის გაღვივება.

ერთიც კიდევ: როგორც ბევრ სხვა ქართულ ოჯახში, სადაც ორი-სამი თაობა რუსულ გიმნაზიებსა და კადეტთა კორპუსებში იყო ნასწავლი, ქეთევან თუმანიშვილის საახლობლოშიც, რუსული ენა დიდად ფემოკიდებული გახლდათ. აღნიშნული წერილების უმეტესობაც რუსულია, ქართული ჩანართებით. ასე რომ, გთავაზობთ თარგმანს, თანაც სიმარტივისათვის ტექსტში გამოტოვებულ სახელებს, გვარებს და ა. შ. სწორედ ფრჩხილებში აღვადგენ.

## 1. ქეთევან თუმანიშვილი – მშობლებს – 14.1. 1948.

„... გუშინ თითქოს დაინყო თათბირი ცკ-ში (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი) ჟღანოვთან და ჩვენ ველით განწყობილებათა შესაბამისი ცვლილებებს.

ყველა კომპოზიტორი დატუქსეს, განსაკურებით უფრო თვალსაჩინოები. შოსტაკოვიჩის და პროკოფიევის მოდერნიზმი დაბრალდა, ვანო მურადელს უთხრეს, რომ მისი ოპერა „დიადი მეგობრობა“ ცუდია და მოიხსნა რეპერტუარიდან, დიდი მიტქმა-მოტქმა და, უთუ-

ოდ, კიდევ ბევრს გავიგონებთ. დღეს ჩვენთან ფაკულტეტ-ფაკულტეტ სასწრაფო თათბირებია და, ალბათ, რაღაც-რაღაცეებს შევიტყობთ. ვისარიონს (შებალინი) სამი დღე არ უმეცადინია, ან რა ემაცადინებოდა, როდესაც მათ ასე „გააძრეს ტყავი“.

**2. ქეთევან თუმანიშვილი – მშობლებს, I. 1948.**

„... ჩვენი საკონსერვატორიო საქმეები სულ აირდაირია. ისეთი რბევა მიდის, რომ ამის მსგავსს ჩვენგან ვერავინ წარმოიდგენდა. ყველანი ძალიან განვიცდით ვისარიონის (შებალინი) გამო, რადგანაც მორალური წამება, რომელიც მას ხვდება, აუტანელია. გუშინ ჩვენთან დამთავრდა პარტიული კრება, რომელიც მიმდინარეობდა სამი დღე. ადამიანები ლაპარაკობდნენ წარმოუდგენელ სისაძაგლეებს დირექციის, პროფესურის და ერთმანეთის მისამართით. ვისარიონის მისამართით იმდენი „ტალახი“ გადმონათხიეს, რომ ისღა დაგვრჩენია, ქედი მოვიდრიკოთ მისი მოთმინებისა და თავშეკავებულობის წინაშე. დღეს ჩაიკოვსკის დარბაზში მიდის კომიტეტის მუსიკალურ აქტივებთან თათბირი, ალბათ, ისევ ამ ადამიანებს იგდებენ აზურად. ხსნიან ვ. შებალინს, სემიონ ბოგატირევს, ლიუბიმოვს (სწავლულ მდივანს), ვფიქრობთ, რომ მოხსნიან ზოგიერთ დეკანსაც (ვასილი ნეჩაევს), ზოგიერთ კათედრის გამგეს (იგორს სპოსობინს). მეცადინეობა ჩვენთან არ არის, რადგან არავინ იცის, ვინ იქნება და ვინ არა. გუშინ, როდესაც სტიპენდიის რიგში ვიდექით, ჩავგვიარა ვიქტორ ბელთაევმა<sup>4</sup>, ჩვენ მას გამოველპარაკეთ და მივედით დასკვნამდე, რომ თემის შეცვლაზე და (მუსიკალურ) თხზულებაზეც ხელმძღვანელებს უნდა დაველაპარაკოთ, თუმცა 3-4 დღე სულაც დალოდება მოგვინევს, რადგან ჩვენი ხელმძღვანელები „ფორმალისტები“ არიან და ასეთ ორომეტრიალში არ არის ცნობილი, დარჩებიან ისინი თუ არა. „საინტერესოა, ჩვენში რა ხდება; დაინყეს „ფორმალისტების მხილება“ თუ ელოდებიან, აქედან მასალას როდის მიიღებენ?“.

**3. გ. თუმანიშვილი – ქ. თუმანიშვილს, 29.II. 1948.**

„... დედა კითხულობს „Культура и Жизнь“-სა და „Литературная газета“-ს, ეს გაზეთები სავსეა მასალებით თქვენი, კომპოზიტორების თაობაზე ცკ-ს დადგენილების შესახებ. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნება,



ქეთევან (კითი) თუმანიშვილი

მართალიც იყოს, მაგრამ... ისეთი წერილები, როგორიცაა ლოგინოვას წერილი – საზიზრობაა. გამოდის, რომ თქვენი პროფესურა ერთიანად გამომპალ თვალსაზრისს ადგას, მათ შორის, რასაკვირველია, პირველ რიგში ვისარიონ შებალინი, იგორ სპოსობინიც, ვლადიმირ პროტოპოპოვიც და, რაღა ლქმა უნდა, დმიტრი შოსტაკოვიჩი, და დმიტრი კაბალევსკიც კი... ვვარაუდობ, რომ კონსერვატორიის დირექტორად იქნება ისააკ დუნაევსკი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ვასილი სოლოვიოვ-სედოი. ჩვენთან, როგორც ალბათ, დედამ უკვე მოგწერა, ბარხუდარიანის გამოსვლის შემდეგ, მის წინააღმდეგ და ანდრია ბალანჩივასის დასაცავად გამოსულა ვლადიმერ დონაძე და, მგონი, კიდევ ზოგიერთი სხვაც. ასე რომ, ბარხუდარიანმა თავისი „გმირული“ გამოსვლის საკმაოდ მავნე ნაყოფი მოიძკა. შემდგომ,





მთავარი სახარისი

მუსიკალურ სასწავლებელში მოხსენებით გამოსულა პავლე ხუჭუა. მოხსენებას დაესწრო ქეთო7, რომელსაც მისი გამოსვლა, ხუჭუას წინანდელი მოხსენებებისგან განსხვავებით, ძალიან მოეწონა. მისი სიტყვისამებრ მოხსენება ძალიან საქმიანი, შინაარსიანი და კორექტული ყოფილა. ქართველ კომპოზიტორებთან დაკავშირებით ხუჭუას (ჩემი აზრით) ძალიან ვესლიანად უთქვამს, ჩვენთან არისო, რასაკვირველია, ფორმალისტური გადაცდენები (შალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, არჩილ კერესელიძე, დავით თორაძე და სხვ.), მაგრამ ფორმალისტური მიმდინარეობა, როგორც ასეთი, ჩვენში არ არის და, უპირველესად, იმიტომ, რომ ჩვენი კომპოზიტორები საამისოდ არც საკმარისად ნიჭიერნი არიან და ჯერჯერობით, არც საკმარისად ოსტატები. მთავარი მაინც უკანასკნელი არისო, რადგან ჩვეულებრივ, ფორმალისტი ის კომპოზიტორი შეიძლება იყოს, რომელიც ძალიან დანინაურებულა ოსტატობის მხრივ

და ისე კარგად ფლობს ფორმას, რომ მისი სრულყოფისას, თავის შემოქმედებას საფუძვლად უდებს. მაგალითად, უთქვამს ხუჭუას, ავიღოთ შალვა მშველიძე. თქვენ გგონიათ, მას არ ენდომებოდა დაენერა ოპერა, რომელშიც იქნებოდა მელოდიები, რომლის სიმღერაც შესაძლებელი იქნებოდა: რა თქმა უნდა, უნდოდა, მაგრამ ასეთი ოპერა ვერ დაუნერია, რადგან საამისოდ არ ეყო ნიჭი და, რაც მთავარია, ოსტატობა და ა.შ....“

4. ქ. თუმანიშვილი – მშობლებს; III. 1948.

„მივიღე თქვენი წერილები... სადაც თქვენ „ძლიერ რეაგირებთ“ ლოგინოვას წერილზე. რაღას იტყოდით, სხვა წერილები რომ წაგეკითხათ და კრებებისთვის მოგვემინათ. მას შემდეგ, რაც გააუქმეს თათბირი ჩაიკოვსკის სახ. დარბაზში, მითქმა-მოთქმა ცოტათი ჩანყნარდა, მაგრამ დერეფნებში ჯერაც ბევრს ლაპარაკობენ. გუშინ ჩვენთან დაიწყო ფაკულტეტის სხდომა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, პროფ. იური კელდიშმა, რომელიც ყველაზე უტაქტო გამოსვლების ერთი-ერთი წამომწყებთაგანი იყო, გუშინ ძალიან კორექტულად ილაპარაკა და მაშინაც, როდესაც პროფ. იგორ სპოსობინს ესხმოდა თავს, წესიერების საზღვრებს არ გადასცდენია. კონსერვატორიაში მაინც არეულობა სუფევს. თუქცა მთელი დირექცია ჯერაც თავის ადგილზეა და ვისარიონი გულდაგულ ასრულებს ყველა თავის მოვალეობას, მუშაობა დუნედ მიდის, დირექცია არაფერს იღონებს, რადგან არ იცის, მისგან ვინ დარჩება. ჭორად ამბობენ, თითქოს სტუდენტებმა გაგზავნეს ცკ-ში წერილი შეკითხვით, როდის იყო მართალი სოფია უსპენსკაია (ის დოცენტია, რომელიც შარშან არჩვენების დროს ვ. შებალინს აქებ-ადიდებდა), შარშან არჩვენებისას როცა იგი ცაში აიყვანა, თუ ახლა, ლაფში რომ ამოსვარა. ორშაბათს მე ვიყავი გაკვეთილზე ვისარიონთან და იქ ჩემს მეტი არავინ ყოფილა. ჩვენ პარტიტურას ვფურცლავდით, მერე ვლაპარაკობდით და პირველ საათამდე ვისხედით ორნი. ვილაცამ კარზე დააკაკუნა და ჩვენ გავგახსენდა, რომ საათზე უნდა დავგვენება. საუბრისას მან მითხრა, საქართველოში ჯერ არ ვყოფილვარო და მეც იგი ჩვენთან დავპატიყემან მითხრა, კონსერვატორია ბევრ დროს მართმევს და ჩემს თავს ერთი დღეც არ ვეკუთვნისო. მერე მეუბნება: –მალე მე, ალბათ, გამოვეთხოვები დირექტორობას და

თავისუფალი ვიქნებიო. –ჩვენ ვბჭობდით კანტატისმ ტექსტის შესახებ და მან ჩემი მოტანილი ვარიანტი დამინუნა. თავიდან უნდა ავანყო.“

**5. ქ. თუმანიშვილი – მშობლებს; 16. III. 1948.**

„... ჩვენთან დაიწყო ფაკულტეტის სხდომები და მხოლოდ შაბათს დამთავრდა. სხდომები ბობოქარი გამოდგა. ამჯერად სამიზნე ძირითადად პროფესორები – იგორ სპოსობინი და იგორ ბელმა იყვნენ. პროფ. ი. ბელმას წინააღმდეგ ყველა გამოვიდა, რადგან მას მიმფურჩხვლად, ზერელედ და არაკეთილსინდისიერად თვლიან, აი, პროფ. სპოსობინი კი ძალიან უყვართ სტუდენტებსაც და პედაგოგების ნაწილსაც. ამიტომაც ისინი, ვინც ვისარიონ შებალის უარყოფითად, ადგილიდან შეძახილებით შეხვდნენ, პროფ. სპოსობინის გამოსვლას მქუხარე ტაში შეაგებეს. მერე შეუდგნენ „სიბინძურის ქექვას“. პროფ. რომან გრუბერს დააბრალებს, რომ მისი მიზგზით წავიდნენ პროფ. ტატინა ლივანოვა და პროფ. ვალენტინ ფერმანი, პროფ. რ. გრუბერი კი მიჰყვა მტკიცებას, დამნაშავენი თვითონ ისინი არიანო და – „წავიდა“. პროფ. სერგეი სკრებკოვმა თქვა, რომ ომამდე ი. სპოსობინი შემოქმედებითი, შესანიშნავი პედაგოგი იყო, ახლა კი სულ უფრო ქვემოთ მიიწევს და რიგითი ხდებაო. გამოსულმა პედაგოგებმა და სტუდენტებმა მას ჰკითხეს, ასეთი „რიგითი“ პედაგოგი ბევრი თუ არისო. ძალიან ბევრი ხმაური და ყვირილი იყო, ჩვენი პარტკომის (პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე) ყველა ცდამ, დაემყარებინა წესრიგი, კიდევ უარესი შედეგი გამოიღო; ბოლოს ის განერვიულდა, სულ დაიბნა და ისეთი სისულელების როშვა დაიწყო, რომ მის ყოველ სიტყვას შეძახილებს და სიცილს აგებებდნენ. საერთოდ ყველაფერმა სრულიად უხამსი ხასიათი მიიღო. ახლა დაიწყებენ სხვა ფაკულტეტებზეც, მაგრამ იქ უფრო სიმშვიდე იქნება, რადგან ეს, უპირატესად ჩვენსას ეხებოდა...“.

**6. ქ. თუმანიშვილი – მშობლებს; III. 1948.<sup>10</sup>**

„... მთელი ეს დღეები ჩვენ დავდიოდით დისკუსიებზე ცკ-ს(10.II.,1948) დადგენილების თაობაზე. 17-დან გუშინდლამდე მიდიოდა დისკუსია კომპოზიტორთა კავშირში, ორშაბათიდან დღევანდლამდე კი მიდის ღია პარტიული კრება კონსერვატორიაში. საერთოდ ყველგან ყველაფერი დარბეულია. ჩვენ ამას ყველაფერს



ინო ჯაფარიძე და დიმიტრი თუმანიშვილი

საკუთარ ნერვებზე განვიცდით, რადგან ყველაფერმა მახინჯი სახე მიიღო. ადამიანები ცდილობენ ყველაფერი ერთმანეთს გადააბრალონ, განსაკუთრებით კი თავს ესხმიან ვისარიონს (შებალის) და გამოდის, რომ ცუდი და ყველაფერში დამნაშავე მარტო ისაა. ძალიან მძიმე საყურებელია, რომ ადამიანები, რომელნიც თვალელებში შესცივინებდნენ და ფეხქვეშ ეგებოდნენ, ახლა მასზე საზიზღრობას ლაპარაკობენ და ყოველი მათგანი შებალისის ჩანჩხლვას ცდილობს. საერთოდ მასზე იმის გამო ბრაზობენ, რომ ამ მძიმე მდგომარეობაშიც კი, თუმც თავის შეცდომებს აღიარებს, მაგრამ ლამობს ღირსება არ დაკარგოს და თავისი მისამართით ყველაზე საზიზღარ გამონათქვამებს შეეპასუხოს კიდევ. ყველას მაინც მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ გადააჭარბა. მან ვისარიონი მეტაფიზიკოსად გამოაცხადა, მისი თქმით ღირექცია, დეკანუბი და კათედრის გამგეები შეთქმულები არიან მარქსიზმის წინააღმდეგ და მათ ლამის ხალხის მტრები უწოდა. ერთი სიტყვით, სისაძაგლეს საკმარისად ვაწყდებით. მეცადინეობას ჯერ არ შევდგომივართ. ვიყავი რექტორის მდივანთან და მითხრა, რომ ვისარიონი (შებალისი) ჯერ-ჯერობით თავის დღეებსა და საათებს მეცადინეობაში ატარებს (მაკვირვებს მისი თავშეკავება), არ ივარგებს მისი

წყენინება და მასთან უნდა მივიდე. ამ დღეებში კრებულის გამო მასთან ჯერ არ ვყოფილვარ, მაგრამ ხვალ ან ორშაბათს აუცილებლად წავალ...“.

**7. ნინო ჯაფარიძე-თუმანიშვილი – ქ. თუმანიშვილს; 22. IX. 1948.**

„... შენგან წერილი მომივიდა. ვერ გავიგე, რატომ უნდა იაროთ (ვისარიონ) შებალინთან შინ; ის რა, კერძოდ გამეცადინებთ თუ რანაირად?...“<sup>11</sup>

**8. ქ. თუმანიშვილი – მშობლებს; 18. III. 1949.**

„... ჩვენთან კოსმოპოლიტების დარბევა მიმდინარეობს, ვიღაც-ვიღაცეებს აუცილებლად მოხსნიან, ვიქტორ ბელთაევს, ალბათ, მოხსნიან დეკანოზიდან, თუმცა ის ამ საქმისათვის არ ვარგა. იგი ხომ მეტის-მეტად რბილია, „მოდოყლაპიო“ და არც ორგანიზატორობა ეხერხება, თუმცა როგორც სპეციალისტი ძალიან კარგია და დიდი მცოდნე თავისი საქმისა. ხსნიან პროფ. ლევ მაგელს, ფორმის ანალიზის თვალსაჩინო მცოდნეს, კოსმოპოლიტიზმისა და ფორმალიზმის ბრალდებით; ამბობენ, ის ძალიან სერიოზულად გახდა ავადო, რაღაც ტირს გულზე. ხსნიან ქალ-პროფესორს ვალენტინა კონენს, როგორც ამბობენ, ჩინებულ ლექტორსა და ნიჭიერ მუსიკისმცოდნეს, მეცნიერებათა დოქტორს; მგონი, დოქტორის ხარისხსაც ართმევენ იმის გამო, რომ მან ამერიკულ მუსიკაზე დაწერა დისერტაცია და ის არ გააკრიტიკა...“.

**9. ქ. თუმანიშვილი – მშობლებს; 22. III. 1949.**

„... ჩვენთან მუსიკის ფრონტზე დიდი ამბებია. თქვენ, ალბათ, გაზეთებიდან შეიტყობდით, რომ დმიტრი შოსტაკოვიჩი შეიყვანეს საბჭოთა დელეგაციაში და ის უკვე გაფრინდა აშშ-ში. ეს ძალიან დიდი მოვლენაა, რომლის შემდეგ თვით მასაც და სხვებსაც, ვინც ცკ-ს დადგენილებაში არის ნახსენები, აღუდგინეს კრემლის საავადმყოფოთი სარგებლობის უფლება, რომელიც მათ ჩამოერთვა; მიღებულია ახალი ბრძანება, რომლითაც ანუღირებულია მთელი რიგი ნაწარმოებების აკრძალვა. საკითხი ასე დააყენეს, რომ დადგენილებაში მათი შეცდომებია გაკაცხული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უნდა წაერთვათ სამედიცინო და მატერიალური დახმარება, პირიქით მათ მუშაობაში ხელი უნდა შეეწყოს. ერთი სიტყვით, ჩვენ ყველანი აღგზნებულები ვართ და ვღელავთ, აბა რა, თავად, იოსებ ბესარიო-

ნის ძემ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მან თვითონ პირადად დაურეკა დმიტრი შოსტაკოვიჩის აშშ-ი წასვლის წინადადებით. მეორე ამბავი ისაა, რომ ახლა აქ მისდგენ სოფია უსპენსკაიას და იურა კელდიშს, სადაც ის სრულებითაა „მინასთან გასწორებული“. ყველა სტუდენტი და პედაგოგი აღტაცებაშია...“.

**10. ნინო ჯაფარიძე-თუმანიშვილი – ქ. თუმანიშვილს; 25. III. 1949.**

„... მოგწერა თუ არა მამამ, რომ ბორის ნერსესოვმა შალვა მშველიძე კოსმოპოლიტიზმისთვის მინასთან გაასწორა: ეს ჩვენ შამშუ ასათიანმა<sup>12</sup> გვითხრა, ამის შესახებ ქართულ გაზეთში წაიკითხა“.

**11. დ. თუმანიშვილი – ქ. თუმანიშვილს. 27. III. 1949.**

„შენმა წერილმა ჩვენზე სასიამოვნო აფეთქების შთაბეჭდილება მოახდინა. ასეც იყო მოსალოდნელი. ხომ არ შეიძლება ფეხი მოუკვეთო ხელოვნების დარგში ყველაზე ნიჭიერ ადამიანებს. კი ბატონო, ჭკუა ასწავლე, დატუქსე და კმარა. ეჭვი არ არის, რომ შენთვისაც, ისევე როგორც ჩვენთვის, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. აქ შენს წერილამდეც უკვე იყო მითქმა-მოთქმა (დმიტრი შოსტაკოვიჩთან სტალინისა და მოლოტოვის სატელეფონო ზარების შესახებ (ეს ამბავი, მგონი, ანდრია ბალანჩივაძემ ჩამოიტანა), მაგრამ ჩვენ ეს დიდად არ დავიჯერეთ. რას აღარ იტყვიან ხოლმე. შენი წერილის შემდეგ კი მივხვდით, რომ ყველაფერი მართლაც ასე ყოფილა. ყოჩაღ, სტალინ – მართლაც და უჭრის ჭკუა! ძალიან მიხარია, რომ მეგობრის გამყიდველ იური კელდიშსა და სოფია უსპენსკაიას მოხვდათ, – ასე მოუხდებათ. უპრინციპო, პანია კაცუნები.“

ვფიქრობ, ახლა თამამად შეგიძლია (დისერტაციის) დაცვაზე გასვლა – ჩემი აზრით, ახლა ზურგის ქარმა დაგიბერა.

**12. ნინო ჯაფარიძე-თუმანიშვილი – ქ. თუმანიშვილს; 26. III. 1949.**

„მივიღეთ შენი საინტერესო წერილი დმიტრი შოსტაკოვიჩის შესახებ. ანდრეასგან (ბალანჩივაძისგან) შევიტყვეთ, ხოლო მომდევნო დადგენილებები ჩვენთვის უცნობი იყო. საინტერესოა შებალინის კონსერვატორიაში თუ დააბრუნებენ? მეც სულითა და გულით გავიხარე, რომ. ს. უსპენსკაია და ი. კელდიში გაცამტყვერეს. ამბობენ ტიპები არიან. რა კმაყოფილია, ალბათ, ვი-

სარიონი.

ვერ გავიგე, რატომ უნდა განიხილოს შენი სადისერტაციო შრომა პარტორგანიზაციამ? ჩვენთან და ჩვენს დარგში ასეთი არაფერია“.

მომამადა დიმიტრი თუმანიშვილმა<sup>18</sup>

### შენიშვნები

1. ქ. თუმანიშვილმა ერთდროულად ორ ფაკულტეტზე ისწავლა – საფორტეპიანოზე (ანასტასია ვირსალაძესთან და ვალ. სტეშენკო-კუდტინასთან) და საკომპოზიციოზე (ჯერ ა. რახმანინოვთან, შემდგომ – ანდრია ბალანჩივაძესთან, თეორიული საგნების მასწავლებელთაგან ყოველთვის მადლიერებით იხსენებდა დიმიტრი არაყიშვილს, შალვა ასლანიშვილს, ნიკო ჩიგოგიძეს, თ. ბარამიშვილს, თამარ შავერზაშვილს,...)
2. მამა – დიმიტრი თუმანიშვილი (1889–1950) თავდაპირველად არტილერისტი ოფიცერი იყო, / მსოფლიო ომის მონაწილე, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი; გასაბჭოების შემდეგ მან დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სწავლის განმავლობაში კი, რაკი მანამდე ვოკალში ვაკვეთილებს ცნობილ ევგ. რადნოვთან იღებდა, თბილისის საოპერო თეატრში მოღვაწეობდა (სხვათა შორის, გ. ფალიაშვილის „დაისი“-სა და ვ. დოლიძის „ლეილა“-ს პირველი შემსრულებელთაგანი გახლდათ), შემდეგ პრაქტიკულად მუშაობდა (სხვათა შორის, 1930-იან წლებში შოთა რუსთაველის სახ. თეატრის ელექტროგაყვანილობის მოგვარებაშიც მონაწილეობდა) და მასწავლებლობდა (ბოლოს – კათედრასაც განაგებდა) საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დედა – ნინო ჯაფარიძე-თუმანიშვილი (1899–1993) ჯერ არქიტექტორობას აპირებდა ბოლოს კი ისიც ელექტრიკოს-ინჟინერი და მასწავლებელი გახდა) მასაც ჰქონდა მუსიკალური განათლება – სწავლობდა რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელში – ფორტეპიანოს – მ. ვაბაშვილსა და ლ. ტრუსკოვსკისთან, თეორიულ საგნებს – გ. ფალიაშვილთან.
3. ვ. შებალინი, იმხანად კონსერვატორიის რექტორი, ქ. თუმანიშვილის ხელმძღვანელი იყო კომპოზიციის

მიმართულებით.

4. ვ. ბელთაევი – მუსიკისმკოდნე, ქ. თუმანიშვილის თეორიული ნაშრომის ხელმძღვანელი.
5. გრიგოლ (გივი) თუმანიშვილი – ქ. თუმანიშვილის ძმა, ბიოლოგი, შემდგომში მეცნერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი.
6. იგულისხმება სსრკ კპ ცკ-ს 10.11. 1948წ-ს დადგენილება.
7. ქეთევან ჯაფარიძე (1895–1982) – ქ. თუმანიშვილის დეიდა და მასწავლებელი / სამუსიკო სკოლასა და სასწავლებელში; პიანისტი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ლ. ტრუსკოვსკისთან, ხოლო 1922–1926წ.წ-ში გაიარა კურსი ბერლინის „Meisterschule“-ში პროფ. მაიერ-მართან; 40 წელი მიჰყავდა ფორტეპიანოს კლასი (1965–მდე).
8. იგულისხმება ასპირანტურის დასამთავრებელი ერთი თხზულებათაგანი.
9. იგულისხმება II მსოფლიო ომი.
10. ნერილი ქ. თუმანიშვილმა მამიდას, ელენე გედევანიშვილ-ლოლობერიძეს გამოატანა.
11. ვ. შებალინის გადაყენების და დათხოვნის შემდეგ მისი სტუდენტები და ასპირანტები სხვებთან გადაიყვანეს (ქ. თუმანიშვილი – იური შაპორინთან), მაგრამ მსურველებს იგი არაოფიციალურად წინანდებურად ამეცადინებდა.
12. შამშე ასათიანი – ლიტერატორი, სტილისტი, ოჯახის მეგობარი.
13. პუბლკაცია მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქეთევან თუმანიშვილის ძმისშვილმა, ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ დიმიტრი თუმანიშვილიმა.



მუზეუმის თანამშრომელმა, სარამოს ორგანიზატორმა და წამყვანმა, მუსიკისმკოდნე თამარ ნულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა 1919 წლის 21 თებერვლის – გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერის დღის ისტორიული მნიშვნელობა, ისაუბრა ოპერის შექმნის, დიდი მოსამზადებელი სამუშაოს, პირველი შესრულებისა და გამომხატურებების შესახებ, შეეხო მნიშვნელოვან ფაქტებს „აბესალომ და ეთერის“ პრემიერის შემდგომ სცენური ცხოვრებიდან: პრემიერის შემდეგ, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან გვიან დამთავრდა, გაბეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა სამი წერილი „ინენის“ ფსევდონიმით. მოგვიანებით გაირკვა, რომ მათი ავტორი იყო ბატონი ილია ზურაბიშვილი, რომელიც გვევლინება პირველ შესანიშნავ „ფალიაშვილოვად“. მან ძალზე საქმიანი პრაქტიკული რჩევები მისცა კომპოზიტორსა და ოპერის დამდგმელებს, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა უკვე მეორე სპექტაკლისათვის – 25 თებერვალს, რაც ძალიან წაადგა ოპერას. ამ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მისმა დამდგმელმა ცნობილმა რეჟისორმა ალექსანდრე ნუნუნავამ ფალიაშვილს გადასცა ფულადი ჯილდო – 10000 მანეთი და

# „ზ. ფალიაშვილის ნაღი“ გვავალდებულებს

ზ.ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში კომპოზიტორის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ „დაბადების დღეს“ – 21 თებერვალს გაიმართა ძალზე საინტერესო და შინაარსიანი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის მუსიკალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ჟღერდა მუსიკა, წარმოთქმულ იქნა სიტყვები, მოგონებები...

საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა, კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა

რწმენა გამოთქვა, რომ „აბესალომი“ აღარასდროს ჩამოვა სკენიდან, სამარადისოდ დარჩება ქართული მუსიკალური კულტურის ძეგლად.

939 წელს ზ.ფალიაშვილის ოპერა დიდი წარმატებით დაიდგა მოსკოვში „დიდ თეატრში“ და აქედან იწყება მისი საერთაშორისო აღიარება...

ამის შემდეგ დაიწყო საკონცერტო ნაწილი. ნაწყვეტები ოპერიდან შესანიშნავად შეასრულეს თემურ გუგუშვილმა, ლიანა კალმახელიძემ, მზია დავითაშვილმა,

სულხან გველეხიანმა, კონსერვატორიის სტუდენტმა მარიამ ნაცყებამ ( გ.კარიაულის კლასი).

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ცნობილი მომღერლები – მედეა ამირანაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, თემურ გუგუშვილი, ლიანა კალმახელიძე, მუსიკისმცოდნეები გულბათ ტორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, რეჟისორი გიზო ჟორდანიანი, რომელსაც სამჯერ აქვს დადგმული ოპერა – თბილისში, საარბრიუკენში (გერმანია) და ბათუმში.

თ.გუგუშვილმა უდიდესი მადლიერების გრძობით მოიხსენია წარსულის შესანიშნავი ქართველი მომღერლები, რომელთა ბრწყინვალე ხელოვნების მაგალითზე აღიზარდნენ ჩვენი მომღერლების შემდეგი თაობები.

თ.გუგუშვილს შეუერთდნენ მ.ამირანაშვილი და თ.მუშკუდიანი. ქ-ნმა მედეამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი და მამამისის – გამოჩენილი მომღერლის პეტრე ამირანაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ფალიაშვილის ოპერებში მონაწილეობას.

თ.მუშკუდიანმა კი გაიხსენა საარბრიუკენში გ.ჟორდანიას მიერ დადგმული „აბესალომ და ეთერი“ და სპექტაკლში თავისი მონაწილეობა აბიო მეფის როლში.

საინტერესო მოგონებები გაგვიზიარა ლ.კალმახელიძემ: „მე ვარ მონაწილე ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენისა, როგორცაა „აბესალომის“ გატანა გერმანიასა და იტალიაში. ჩვენი თეატრი მიწვეულ იქნა გერმანიაში ს.პროკოფიევისადმი მიძღვნილ ფესტივალზე, სადაც უნდა შეგვესრულებინა მისი ოპერა „ცეცხლოვანი ანგელოზი“. ბატონმა ჯანო კახიძემ განუცხადა ფესტივალის ორგანიზატორებს, რომ ეს მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებას დაგვრთავდნენ წარმოგვედგინა „აბესალომ და ეთერიც“. თანხმობა მიღებულ იქნა. ფალიაშვილის ოპერას არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა. დარბაზში თავდაპირველად გამეფებულმა სიჩუმემ ცოტა დაგვაბნია, მაგრამ შემდეგ 20 წუთის განმავლობაში გვიკრავდნენ ტაშს ჩვენ და, რაც მთავარია, ოპერის უკვდავ მუსიკას. ასეთივე დაუვინყარი იყო „აბესალომის“ წარმატება ჩვენი თეატრის გასტროლების დროს იტალიაში 1991 წ.“



თემურ გუგუშვილი, ქეთევან გელაშვილი

გ.ჟორდანიამ თქვა: – “მე საკუთარი თავი მიმაჩნია ღმერთის რჩეულად, რადგან მომიწია ფალიაშვილის გენიალური ოპერის სამჯერ დადგმა. ბათუმში დადგმული „აბესალომი“ ტრაგიკული მოვლენა იყო. ეს გახლდათ შესანიშნავი მომღერლის, დაუვინყარი მაია თომაძის გამოთხოვება სცენასთან და, ფაქტობრივად, სიცოცხლესთან. სამი კვირის სიცოცხლეა ჰქონდა დარჩენილი. ის ემშვიდობებოდა სამშობლოსა და მამურებელს და დაკრძალეს კიდევ ეთერის კოსტიუმით. ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ არის ქართველი კაცის სულის ყვირილი, მისი თვითდამკვიდრების სიმბოლო. იგი იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს საქართველო“.

რ.ქუთათელაძემ აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ „აბესალომთან“ არაერთი საკრალური მომენტია დაკავშირებული და გაიხსენა ერთი საინტერესო ეპიზოდი: „მე ბედნიერება მხვდა წილად დავსწრებოდი 1991 წელს „აბესალომ და ეთერის“ საგასტროლო სპექტაკლს იტალიაში (ქ.ბუსეტოში). სპექტაკლი ის იყო უნდა დაწყებულიყო, რომ უკვებ მოფრინდა მერცხლების უზარმაზარი გუნდი საოცარი ჟივილ-ხივილით. ბოლოს, როგორც იქნა, მერცხლები დამშვიდდნენ, ჩამოსდნენ მავთულებზე, ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე და



თენგიზ მუხაკუიანი, გიგო შორაღანი, კახა მახარაძე

ჯ.კახიძემ დაიწყო სპექტაკლი. მთელი ოპერის მანძილზე ჩიტები განაბულები უსმენდნენ მუსიკას და როგორც კი მოქმედება დასრულდა, ისევ ჟივილით აიშალნენ”.

დიდი ინტერესი გამოიწვია გამოჩენილი მომღერლების ნოდარ ანდლულაძისა და ელდარ გენაძის ვიდუო-ჩანაწერებმა, სადაც ისინი მოგვითხრობენ ფალიაშვილის როლზე ქართული მუსიკის ისტორიაში და მათ პირად შემოქმედებით ცხოვრებაში.

ნ.ანდლულაძემ ისაუბრა იმის შესახებ, რომ მთელი მისი ოჯახის ბიოგრაფია დაკავშირებულია ფალიაშვილის მუსიკასთან და „აბესალომ და ეთერთან”. აბესალომის პარტიას ასრულებდა მამამისი დავით ანდლულაძე და თვითონ, ხოლო დედამისის – ბარბარე მამთავარიშვილის (მრავალის), დებიუტი სცენაზე უნდა შემდგარიყო ვანო სარაჯიშვილთან ერთად ფალიაშვილის „დაისში” 1924 წლის გაზაფხულზე. ტარდებოდა რეპეტიციებიც. სადირიჟორო პულტთან იდგა ივანე ფალიაშვილი. სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი არ შედგა ვანო სარაჯიშვილის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო. ცოტა ხნის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა ჩაატარა „აბესალომის” სპექტაკლი უაბესალომოდ – აბესალომის პარტიას ასრულებდა ვიოლონჩელის-

ტი ემილ კაპელნიცკი, ხოლო გმირის გადაადგილებას სცენაზე სინათლის სხივით უჩვენებდნენ. დედაჩემი ამ დროს ეთერის პარტიას ასრულებდა. სცენის უკნიდან პროექტორებს კი ატარებდნენ სანდრო ახმეტელი და მიშა კვალიაშვილი”

ე.გენაძის სიტყვებით, ფალიაშვილის მუსიკა ვახდა მთელი მისი ცხოვრების თანამგზავრი. „სახლში გესტაფონში ჩვენ გვექონდა რადიო, რომლითაც ხშირად გადმოსცემდნენ ფალიაშვილის გენიალურ მუსიკას. აქედან დაიწყო ჩემი სიყვარული მუსიკისადმი და ამ უდიდესი კომპოზიტორის ჩემ სულიერ სამყაროში შემოსვლა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვცდილობდი მივწვდომოდი მის მხატვრულ სიმაღლეებს”.

დიდხანს გვემახსოვრება ეს დაუვინყარი საღამო, ბედნიერი ვარ, რომ ვესწრებოდი მას.

**შორენა მეთრეველი**

**გ.ტორაძის ოსტ სკრიპტუმ-ი**

ვიმედოვნებ, რომ ზ.ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ჩატარებული მშენიერი საღამო და ჩემი

სტუდენტის შორენა მეტრეველის წერილი ამ საღამოს შესახებ ერთხელ კიდევ შეახსენებს ჩვენი კულტურის მესვეურებს და თვით ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობასაც, რომ გასული წლის აგვისტოს თვეში შესრულდა 140 წელი უდიდესი ქართველი კომპოზიტორის, გენიალური ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან. ამდენად, მთელი მიმდინარე წელი წარმოადგენს საიუბილეო, „ფალიაშვილის წელს“ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე — დროა ვიფიქროთ ამ თარიღის შესაბამისი ოფიციალური საღამოს ჩატარებისა და ფალიაშვილის მესამე, ძალიან კარგი ოპერის „ლატავრას“, თუნდაც, საკონკრეტო შესრულების შესახებ, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია აღარ დადგმულა სცენაზე. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა არ დავუშვათ მისი ამოვარდნა ქართველი ხალხის კულტურული ცნობიერებიდან!

**მოგაგონებთ, რომ „ლატავრას“ შესრულების საკითხი ამ რამდენიმე თვის წინ დასმული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და ჟურნალ „მუსიკის“ ფურცლებზე. ასე რომ, დიდი მოკრძალებით, მაგრამ პირდაპირ ვამბობ: „გამგონმა გაიგონოს!“**

ახლა კი ერთი კერძო, მაგრამ ძალიან საინტერესო, დღემდე დაუბუსტებელი საკითხი, რომელიც ნახსენები იქნა იმ საღამოს: კერძოდ, როგორ მოხდა, რომ „აბესალომ და ეთერის“ პრემიერაზე და მომდევნო რამდენიმე სპექტაკლზე აბესალომის პარტიას ასრულებდა არა დიდების მწვერვალზე მყოფი გენიალური ვანო სარაჯიშვილი, არამედ შესანიშნავი მომღერალი ბორის გალიპსკი (სწორედ იგი არის წარმოსახული ისტორიულ ფოტოზე, რომელიც პრემიერის შემდეგ არის გადაღებული).

ამ საკითხით დიდი ხანია დაინტერესებული ვარ, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე ვერც ზ.ფალიაშვილის, ვ.სარაჯიშვილისა და თბილისის საოპერო თეატრისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ მონოგრაფიებში (ლ.დონაძე, პ.ხუჭუა, ი.ზურაბიშვილი, შ.კაშმაძე და სხვ.) და ვერც პრემიერისდროინდელ (1919) ქართულ პრესაშიც.

ვერ მიპატიებია საკუთარი თავისათვის, რომ არ მიკითხავს ამის შესახებ ბატონების — ალექსანდრე ნუნუ-

ნავას, ილია ზურაბიშვილისა და ლევან ფალიაშვილი-სათვის, რომელთაც, ჩემდა საბედნიეროდ, ვიცნობდი.

„აბესალომის“ პრემიერას ესწრებოდა, მაშინ 20 წლის, ცნობილი რეჟისორი მიხეილ კვალიაშვილი. თავის ძალზე საინტერესო მოგონებათა წიგნში «По трудному пути» (თბ. 1969, გვ. 54) იგი წერს სპექტაკლის შესახებ: „თავისთავად იბადება კითხვა, რატომ არ ასრულებდა აბესალომის პარტიას სწორუპოვარი, უმესანიშნავესი ვანო სარაჯიშვილი“ (!). ალბათ, დამეთანხმებით, ღიმილის მომგვრელი ფრაზაა (ირკვევა, რომ არც მან იცოდა ნამდვილი მიზეზი ამისა!). არ იცოდა ამის შესახებ გამოჩენილმა მუსიკისმცოდნემ ანტონ ნულუკიძემაც, რომელიც ფალიაშვილის შემოქმედებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების უნიკალური მცოდნე გახლდათ.

ჩემ გეპირ შეკითხვაზე კი მუდამ იყო და ახლაც არის ტრადიციული სტანდარტული პასუხი: სარაჯიშვილი ამ დროს იტალიაში იმყოფებოდა! არა და არა, ბატონებო! გადაათვალიერეთ 1919 წლის მთავარი ბეჭდვითი გამოცემები. კერძოდ, გაზეთი „საქართველო“ (19 II №38 და 27 II), საიდანაც შეიტყობთ, რომ სარაჯიშვილი ამ დროს თბილისში იყო და 19 თებერვალს შეუსრულებია კიდევ ლენსკის პარტია ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“, ხოლო 27-ში — მისი ბენეფისის საღამოს (!) — უმღერია დ.არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და ჟ.ბიზეს „მარგალიტის მაძიებლებში“! და ასე გაგრძელდა მთელი სეზონის მანძილზე.

მაშ, რაღაშია საქმე? ერთადერთი სავარაუდო პასუხი ამ ძნელ შეკითხვაზე, ჩემი აზრით, უნდა ვეძიოთ შ.კაშმაძის წიგნის “თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის” (ნ. I) 406-ე გვერდზე მოთავსებულ მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან ცნობაში, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, მაგრამ სწორ გზაზე გვაყენებს ძიების პროცესში. ავტორი საუბრობს თეატრის შინაგან ცხოვრებაზე 1918 წლის შემოდგომით: “1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში... თეატრში ჩაირიცხნენ ვანო სარაჯიშვილი (1916-1917 წლებში იგი ბაქოში მღეროდა. გ.ტ.), ალექსო და საბანეევა, ვანომ მანინ კარგა ხანს ვერ შეძლო სიმღერა. იმ ხანად „ესპანური დაავადება“ (გრიპის მიძიმე ფორმა — გ.ტ.) მძინვარებდა. ეს სენი შეეყარა, ძლივს გადაურჩა.





გულზათი სორაძე, სულხან გველესიანი, ზოია ღვინთაშვილი

ჯერ კიდევ კარგად გამოჯანმრთელებული არც იყო და ჯობდაბუნებელი მივიდა თეატრში, 21 დეკემბერს პირველად გამოვიდა „ტრავიატაში“, შემდეგ — „მარგალიტის მადიებლებში“, „ლაკმეში“, „დემონში“ და სხვა ოპერებში“.

ვფიქრობ, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ პასუხი „საკრამენტულ“ შეკითხვაზე.

როგორც ჩანს, და ეს სავსებით ბუნებრივია, გადატანილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სარაჯიშვილი, მართალია, წარმატებით ასრულებდა თავის საყვარელ საუკეთესო პარტიებს, მაგრამ, ცხადია, სრულფასოვნად ვერ ჩაებმებოდა „აბესალომის“ მოსამზადებელ სარეჟისორს სამუშაოში და პრემიერის დღისათვის არ გრძნობდა თავს მომზადებულად ახალი, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის შესასრულებლად.

ახლა, კი ბუნებრივად ისმება მეორე, ასევე ძალიან საინტერესო და დღემდე პასუხგაუცემელი შეკითხვა: როდის ჩაება ვ. სარაჯიშვილი „აბესალომ და ეთერის“ სპექტაკლებში? საკვირველია, მაგრამ ამ საკითხით, როგორც ჩანს, დღემდე არავინ დაინტერესებულა. ხანმოკლე ძიების შემდეგ მოხერხდა ამ თარიღის დადგენა. კერძოდ, 1919 წლის გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებიდან ცნობილი ხდება, რომ სარაჯიშვილი პირველად

გამოვიდა აბესალომის როლში 1918–1919 წლების სეზონის ერთ-ერთ უკანასკნელ სპექტაკლში 1919 წლის 28 მაისს (იხ. მ რიხუხვის გაზეთი). ეს გახლდათ „აბესალომ და ეთერის“ მე-15 სპექტაკლი! 4 ოქტომბერს კი- ახალი საოპერო სეზონის გახსნისას სარაჯიშვილმა მეორედ შეასრულა აბესალომის პარტია. ამერიდან, აბესალომის როლის შესრულება ერთ-ერთ მწვერვალად იქცა უდიდესი ქართველი მომღერლის ბრწყინვალე კარიერაში.

აი, ასეთი გახლავთ ის ფიქრები და მოსაზრებები, რაც დამებადა ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გამართული საღამოს შემდეგ.

საინტერესოა, ვინმეს ხომ არა აქვს რაიმე ინფორმაცია ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით?



თინა გოგოლაშვილი

# კეთილშობილი კვალი

თინა გოგოლაშვილი... ეს გვარ-სახელი ნამდვილად გამეგონა, მაგრამ მის შესახებ მხოლოდ ვიცოდი, რომ იყო პიანისტი, ანასტასია ვირსალაძის აღზრდილი. კონსერვატორიის მუზეუმში მის ხსოვნის საღამოზე კი აღმოვჩნდი, ორგანიზატორების გულითადი მოწვევის წყალობით. დასაწყისიდანვე ეკრანიდან კეთილშობილი იერის ქალბატონმა მიიპყრო ყურადღება – სათ-

ნობითა და იმგვარი სადა სილამაზით, იშვიათი დახვეწილობის ადამიანებს რომ ახასიათებთ. გაიყურა მოცარტის სონატამ თინა გოგოლაშვილის შესრულებით. აქაც სინატიდე, გამჭვირვალეებისკენ სწრაფვა შინაგანი ზომიერების მუდმივი შეგრძნებით. რაც მთავარია, საღამოს დასაწყისისთანავე საგრძნობი იყო ის სხივი, მისი მონანილენი და დამსწრენი, რაღაც უჩვეულო სა-

სიამოვნო გრძნობით დამუხტა.

ბევრი ითქვა თინა გოგოლაშვილის ღვანლის შესახებ ქართული მუსიკალური ხელოვნების, თბილისის კონსერვატორიის წინამძღუ: აქტიური პიანისტი, პედაგოგი, შემსრულებელი, რომლის საკონცერტო მოღვაწეობას ძირითადად სასარგებლო მიზნები ამოძრავებდა – ახალი ქართული ნაწარმოების პროპაგანდა, ახალგაზრდების შექმნა, საქართველოს შორეული რაიონების მოსახლეობის ზიარება კლასიკურ მუსიკასთან და ყოველივეს ის ეწეოდა, როგორც საღამოს ნამყვანმა ქალბატონმა ნესტან (ნუგეშა) მესხმა აღნიშნა, დიდი ენთუზიაზმით. ის იყო ტექნიკური კულტურტრევერი მთელი საქართველოს მასშტაბით და მის საქმიანობას კიდევ ჰქონდა დიდი გამომხატველობა და დაფასება. საღამოს ნამყვანმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ქალბატონ თინას ერთ თვისებას: უკიდურეს მოკრძალებასა და თავმდაბლობას. უბრალოდ, იმგვარ საქმეს ემსახურებოდა რაც უჩემრად და წარმოუჩენლად არ დარჩებოდა (საკონცერტო მოღვაწეობას ვგულისხმობთ – თ.წ.). ქალბატონი ნუგეშას სიტყვებით, პარადოქსულია, რო ქალბატონი თინა, რომელიც ასეთ სახალხო საქმეს ეწეოდა, არ იყო სახალხო არტისტი, მუშაობის ასეთი დიდი სტაჟის მქონე არ იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.

**ნესტან (ნუგეშა) მესხი:** განსაკუთრებით მინდა მოვიგონო ქალბატონი თინას ნვლილი საფრანგეთში მცხოვრები კომპოზიტორის – ერეკლე ჯაბადარის ქართველი საზოგადოების წინამძღუ წარმოდგენის საქმეში. საერთოდ, ის და ბატონი პავლე ხუჭუა დიდად გულშემატკივრობდნენ ქართველ ემიგრანტ მუსიკოსებს, ყველანაირად ცდილობდნენ მათი ხელოვნება მისაწვდომი ყოფილიყო ქართველი საზოგადოებისათვის. მაშინ რვა დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯაბადარი თბილისში. მიდიოდა რეპეტიციები, ქალბატონი თინას დაჟინებული თხოვნით მეც ჩავერთე ამ სამზადისში. რვა დღის განმავლობაში ვისწავლე ჯაბადარის საფორტეპიანო კონცერტი. აქედრდა სიმფონიური სურათი „ინდუსები“, აგრეთვე „რაფსოდია“, რომელიც ქალბატონმა თინამ შეასრულა დიდი გამომსახველობით. დირიჟორობდა ერეკლე ჯაბადარის ძმა. მასსოვს პატრიარქიც დაესწრო კონცერტს, რაც იშვიათობა იყო. საერთოდ დიდი

გამომხატველობა მოჰყვა კონცერტს, იმიტომ, რომ ეს იშვიათი შემთხვევა იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ემიგრანტებთან შეხვედრისა და ამის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ ქალბატონი თინა. მისი პატრიოტული სული ვერ ისვენებდა, თუ არ განახორციელებდა რაიმე პატრიოტულ საქმეს.

საღამოს მონაწილე ქალბატონი მედეა ალთუნაშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელსაც თინა გოგოლაშვილმა უჩვენა გზა, რომლითაც მას თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე უნდა ევლო.

**მედეა ალთუნაშვილი:** მე და მედეა ფანიაშვილი ქალბატონმა თინამ დაგვაკავლიანა, – გვევლო რაიონებში, იქაური მსმენელი გვეზიარებინა კლასიკური მუსიკისათვის. კონკრეტული გვემეტიც დაგვისახა, დაგვაკავშირა რაიონების ხელმძღვანელობასთან, მუსიკალურ სკოლებთან, აგრეთვე განგვანყო ხელი მიგვეყო ახალი ქართული ნაწარმოებების პოპულარიზაციისათვის. ჩვენც ვცდილობდით არ გადაგვევია ამ გზიდან.

ბატონმა თამაზ ბათიაშვილმა მადლობა გადაუხადა თინა გოგოლაშვილის ქალიშვილს მევიოლინე რუსუდან კიკნაძეს ამ საღამომი მონაწილეობის პატივისცემისათვის.

**თამაზ ბათიაშვილი:** მე არ ვიცნობდი ქალბატონ თინას პირადად, მაგრამ დიდი სიმპათიით ვესალმებოდი. ის ალტაცებას იწვევდა თავისი ქალურობითა და სისადავით, იმგვარ ხიბლს ატარებდა, რომ ნაცნობ-უცნობები მასში შეყვარებულები ვიყავით. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ერთი კონცერტი რომელიც ბატონ პავლე ხუჭუას მიჰყავდა. ქალბატონი თინა ასრულებდა მოცარტს.

**დოდო გოგუა:** მას პირადად არ ვიცნობდი მაგრამ შეიძლება ითქვას მთელმა ჩემმა ცხოვრებამ, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ეტაპმა მისი მოღვაწეობის ფონზე ჩაიარა. საერთოდ კონსერვატორიის მცირე დარბაზის საკონცერტო ცხოვრება წარმოდგენელი იყო ქალბატონი თინას გარეშე. ის თავისი აქტიური მოღვაწეობით ერთ-ერთი წარმმართველი გახლდათ ამ ცხოვრების. საერთოდ, მაგონდება ის დრო, როდესაც კონსერვატორიის დერეფნებში დადიოდნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ვანდა და ლეო შიუკაშვილები, ანასტასია ვირსალაძე, ლუარსაბ იაშვილი, ლადო დონაძე, პავლე ხუჭუა,

მალვა ასლანიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე და სხვები... ეს ადამიანები ქმნიდნენ არამხოლოდ კონსერვატორიის სახეს. გარდაუვალია ის, რომ თაობები თაობებს ცვლიან, ძალიან კარგი ახალგაზრდობა მოდის, მაგრამ ასეთი კონსერვატორია, ალბათ არასდროს განმეორდება.

მახსოვს, ერთხელ გერმანიის საელჩოს სტუმრებისათვის კონსერვატორიაში გავმართეთ კონცერტი, რომლის ხანგრძლივობა იყო სულ რაღაც 40 წუთი, მაგრამ მრავალფეროვნებისათვის ამ ხნის მანძილზე წარმოვადგინეთ ყველა საშემსრულებლო განყოფილება. მაშინ გერმანელებმა გვითხრეს, გაოცებულები ვართ, ნიჭიერება ასეთი დიდი დოზით რომ ვიხილეთო. - ჩვენ ვუთხარით- თქვენ ნიჭიერება რანაირად გიკვირთ, თქვენი ქვეყნის შვილებსო, - გვიპასუხეს, - ჩვენში, დიდ ქვეყანაში ეს არ არის გასაკვირი, მაგრამ თქვენში, ამ პატარა ქვეყანაში, ამ პატარა მიწის მონაკვეთზე, ამდენი ნიჭიერება მართლაც დაუფერებელიაო. - კონსერვატორიაც პატარა საქართველოს მაგონებდა ამ მხრივ, ასეთ პატარა ტერიტორიაზე ნიჭის ასეთი დიდი ოდენობის გამოვლენით, ამავე დროს რჩეული ინტელიგენციის თავმოყრით.

აქ ითქვა, რომ ქალბატონი თინა გახლდათ ნაზი, სუსტი ქალბატონი, მაგრამ ვიტყვოდი, ძლიერ საგრძობი იყო მისი საოცრად სასიამოვნო აურა, რაც ხშირად არის დამახასიათებელი, დღეს იშვიათობად ქცეული ინტელიგენტი ადამიანებისთვის.

აქ ითქვა, რომ ქალბატონ თინას აკლდა ჯილდოები, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენი ხსოვნა ყველაზე დიდი ჯილდოა.

იმ საღამოს ყველასათვის ნაცნობი შემსრულებლებიც კი თითქოს კიდევ სხვა ხიბლით წარმოგვიდგინენ: თამაზ ბათიაშვილი, ი, ნოდარ ჟვანია, მედეა ალთუნაშვილი, ნანა დიმიტრიადი, გიორგი შავერბაშვილი, ლალი პოლიტკოვსკაია, მაია მამარდშვილი, რუსუდან კიკნაძე, ვილი გრიგორიანი, კონსერვატორის სტუდენტები მაია ლელუაშვილი, მარიამ მეძმარიშვილი. ამჯერად მათ მაინც სხვა განცდა აკავშირებდათ, სხვა სინრფელე და უშუალობა, რაც, ალბათ, თვით ქალბატონი თინას პიროვნებიდან მოდიოდა, რაც მთვარია, ამ განცდით არამხოლოდ შემსრულებლები, არამედ ყველა იქ მყოფნი იყვნენ გაერთიანებული. მე პირადად ისეთი

შეგრძნება მქონდა რომ ყველას ერთნაირად მოეძალა მადლიერების გრძნობა საღამოს ავტორების მიმართ, ეს ეხება უწინარესად კონსერვატორიის მუზეუმის ხელმძღვანელს ქალბატონ მარინა ჩხილაძეს, რომელიც დროდადრო გვინყობს ხოლმე ამგვარ „სიხარულის კუნძულებს“. აგრეთვე ეს ეხება საღამოს ყველა მონაწილეს და უპირველესად ქალბატონ თინა გოგოლაშვილს, პიროვნებას, რომლის ცხოვრების წესს, როგორც იმ საღამოს წარმოჩნდა, მუდამ წარმოადგენდა გაცემა-ქართული მუსიკის, საშემსრულებლო ხელოვნების, ახალგაზრდების და საერთოდ ადამიანების სასოკო-თოდ... და ამის სანაცვლოდ ის არასოდეს მოითხოვდა საზღაურს. ამიტომაც, ხსოვნის საღამოზე მისმა მოგონებამ ადამიანები მიიყვანა სწორედ იმ ღირებულებებთან, რითიც ეს გამორჩეული ქალბატონი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საზრდოობდა. იმ საღამომ შეიძლება ითქვას, რომ იქ მყოფთაგან სკეპტიკოსებად ქცეული ადამიანებიც კი კიდევ ერთხელ დაარწმუნა ბუნალური სენტენციის ჭეშმარიტებაში: რომ ყველაფერი წარმავალია ამქვეყნად, რჩება მხოლოდ კეთილშობილი საქმის ნაყოფი და მისი კვალი.

portrait of a genius ... **CHABUKIANI**  
the greatest ballet-dancer and choreographer  
of his time and perhaps of all time.



ფოტო კახა თოლოღაძისი

**ზაქრო მეგრელიშვილი**

ჭაბუკიანის სახით საქართველომ მსოფლიოს მისცა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი. სწორედ ქართულმა თვისებებმა გახადა ის წარმატებული ცხოვრებაში. ის თვისებები, რითაც ის მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა, არის მთლიანად ქართული. ის, რაც მან გააკეთა -სულის, გონების და სხეულის მოძრაობის ერთიანობა - მხოლოდ ქართველს შეუძლო გაეკეთებინა. ასეთი მოცეკვვე მხოლოდ საქართველოში იბადება.

ჭაბუკიანი

ზაქრო მეგრელიშვილი

**ჭაბუკიანი**



**ზაქრო მეგრელიშვილი**

**წიგნი ვახტანგ ჭაბუკიანზე**

2011 წლის სექტემბერში გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა ზაქრო მეგრელიშვილის წიგნი „ჭაბუკიანი“.

ზაქრო მეგრელიშვილი- ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ამერიკანისტი, ესეისტი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი მთელი ცხოვრება უზადოდ შეყვარებული კლასიკურ ბალეტში, დიდი მემომანი, ვახტანგ ჭაბუკიანის და ჯორჯ ბალანჩინის ხელოვნების თაყვანისმცემელი.

ავტორმა ამ წიგნით მე-20 საუკუნის უდიდეს მო-

ცეკვავე-ნოვატორს, ქორეოგრაფს, პედაგოგს, ლიბრეტისტს და რეჟისორს მონუმენტური ლიტერატურული ძეგლი დაუდგა.

ვახტანგ ჭაბუკიანმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ თავისი რეფორმატორული სიტყვა თქვა კლასიკური ბალეტის განვითარების ისტორიაში. აქვე მოვიშველიებ ავტორისეულ ტექსტს წიგნის პირველი თავიდან: „შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, რომ მე ეს თემა ავირჩიე. დღემდე ჩემ მთავარ მიღწევად გადარჩენილი

სიცოცხლე მიმჩნია. ადამიანმა იცის, რომ ის შეიძლება ყოველ წუთს გაქრეს, ყოველი წუთი სიკვდილით სუნთქავს და ამიტომ ყოველი წამი მისთვის ძვირფასია. ასაკში სიკვდილის მძაფრმა შეგრძნებამ მიბიძგა, რომ დამეფასებინა დრო და ვიფიქრე, სასიამოვნო იქნება გამეხსენებინა პიროვნება, რომელმაც თანამედროვე კლასიკურ ბალეტს შეუცვალა სახე“.

ჯერ კიდევ XX-ის 30-იანი წლების მიწურულს, კერძოდ 1939 წელს, როდესაც ჭაბუკიანს, სანქტ-პეტერბურგის მარინის თეატრის წარმატებულ მოცეკვავეს და უკვე ქორეოგრაფს მიმართავს გენიალური რუსი კომპოზიტორი ს. ს. პროკოფიევი ახალი ბალეტის „გერიას“ ქორეოგრაფიული ვერსიის შესაქმნელად.

კომპოზიტორი და ქორეოგრაფი ბალეტის დასრულებულ ფრაგმენტებზე ხშირად მსჯელობდნენ ერთად, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაზე, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის დაწყება, მათი შეხვედრა ვერ შედგა და ამდენად იმ დროს განუხორციელებელი აღმოჩნდა ბალეტი „გერიას“ ვ. ჭაბუკიანის ვერსიით. მრავალი წლის შემდეგ 1966 წ. ვ. ჭაბუკიანმა ეს ბალეტი დადგა თბილისის მ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სცენაზე.

ვაგრძელებ ავტორის ტექსტს ნიგნის პირველი თავიდან: „ის, ჩემი აზრით, ყოველი დროის კლასიკური ბალეტის ერთადერთი მოცეკვავეა მთელ მსოფლიოში ვის შესახებაც დღეს სიტყვა „გენიოსი“ სამართლიანად შეიძლება გამოვიყენოთ.

საბალეტო ხელოვნებაში მან თავისი თავი თვითონ შექმნა ქორეოგრაფიით თუ ქორეოგრაფიის გარეშე. მან წარმოშვა ქარიშხალი, რომელიც თავს დაატყდა ცეკვის სამყაროს. ის გონიერ, თავმდაბალი, ურყევი და უსიტყვო პიროვნებაა.

ერთი სიტყვით, ვარჩიე ამელო ცარიელი სუფთა ფურცელი და ქაღალდზე „შემეჩერებინა“, „დამეჭირა“ ის, რაც ასე ცხადად წარმოედგინა. დავწერე ის, რისი თქმაც ადრე შეუძლებელი იყო. მე ამას არ ვნანობ. მე მასში ვხედავდი განსაკუთრებულ ქართულ სილამაზეს, რაინდობას და მისტიციზმს შერწყმულს ბარათაშვილის „მერანთან“ და გალაკტიონის „ღამესთან“.

ნიგნი „ჭაბუკიანი“ თავის ფორმით და შინაარსით მიმბიდველი და ორიგინალურია. 223 გვერდიანი ნიგნი

23 პატარა თავისაგან შედგება, სადაც თითოეული დასათურებული თავი ლაკონურად გადადის მომდევნოში და მთლიანობაში ავტორი აღწევს ჭაბუკიანის ფენომენის მასშტაბური პორტრეტის აღწერას.

ნიგნის მეორე თავში „საუკუნის დებიუტი“ ავტორი დანვრილებით აღწერს 1933-34 წლებში ჭაბუკიანის გასტროლებს ევროპასა და ამერიკაში, და თუ როგორ მტურმით აიღო ჭაბუკიანმა ევროპა, ნიუ-იორკი და როგორ ქარიშხალივით გადაუარა სემონის ყველაზე სენსაციურ წარმატებებს... ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, დეტროიტში, ბოსტონში, ლოს ანჯელესში, სან-ფრანცისკოში და სხვა ქალაქებში.

შემდეგ თავში „ლეგენდის მიღმა“ ავტორი აკვარელური შტრიხებით გვანვდის ჭაბუკიანის შემოქმედებით ბიოგრაფიას. „მან აღიარება პირველად სანქტ-პეტერბურგში მოიპოვა და ნიუ-იორკის კარნეგი-ჰოლში გამოსვლის შემდეგ სიცოცხლეშივე, 23 წლის ასაკში ლეგენდად იქცა. ის ყოველთვის ისწრაფოდა დაბრუნებულიყო. საკუთარ სცენაზე – თბილისში. საქართველოს გარეშე ცხოვრება მისთვის წარმოუდგენელი და ტრაგიკული იყო. სამშობლოს სიყვარული, მთელი მისი ლირიკა თბილისთან იყო გაიგივებული“.

ამავე თავში ზაქრო მეგრელიშვილი კითხვით მიმართავს მკითხველს – თუ რისთვის ვწერ? „ვწერ, რომ დავანახო ადამიანებს, თუ როგორ აზროვნებდა და აღიქვამდა ცეკვას ჭაბუკიანი, რომელმაც შეძლო და გვიჩვენა ადამიანის შემოქმედებითი ძალის უსაზღვრო შესაძლებლობები“.

ნიგნის შემდგომი თავები: „მისი დრო“, „პერინის სტუდია“, „ცეკვა სიბნელებში“, „მწერალი და ბალეტი“, „რომანტიზმი ბალეტში“ ღრმად გვახედებს ჭაბუკიანის შემოქმედებით სიღრმეებში, თუ როგორ გაარღვია მან არსებული და შექმნა ახალი ტიპის „ჟიბელი“, „კორსარაი“ „შოპენიანა“, „დონ-კიხოტი“, „ბაიადერა“ და რაც მთავარია, როგორ შექმნა ამ ბალეტებში მოცეკვავე მამაკაცი. „ჭაბუკიანი დაინტერესდა შექმნა ცეკვები, რომლებიც ადიდებდნენ ვაჟაკობას, სიმამაცეს, შესაძლო მან ამოიჩნია მამაკაცის ჰეროიკული სახეები ანტიკურობიდან ან უცხო კულტურიდან და აცოცხლებდა გარკვეულ პოზებს და ილეთებს. სწორედ ქართულ ბალეტში, ა. ბალანჩივაძის „მთების გულში“ (1936 წ.) ვ.

ჭაბუკიანი იწყებს მამაკაცის ცეკვის გამოკვეთას. ჭაბუკიანს დიდი წვლილი მიუძღვის სხეულის წარმორჩინებაში, მისთვის სხეული უნდა გამოიყურებოდეს ვაჟკაცი იერის შესანარჩუნებლად. ჭაბუკიანმა თავიდანვე არ მიიღო ევროპული ბალეტის სუსტი ზედაწელი. გონებაშვილი ჭაბუკიანი თავის ცეკვაში ადამიანურობას და ვაჟკაცობას უფრო გამოხატავდა, ვიდრე ის მოცეკვავეები, რომლებიც მას მანამდე ნანახი ჰყავდა. ჭაბუკიანი იყო ძლიერი, ახოვანი ტანის მფლობელი სცენაზე, მაღალი და გასაოცარი, და ამას ის თვითაცნობიერებდა. ამით ის არასოდეს ამცირებდა ქალის პარტიას. მისი უდიდესი სიმპათია და შინაგანი წვდომა ქალისა და კაცის ცეკვაზე ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო. მას აქვს დიდი ნიჭი, გმირი ქალებისაგან („ლაურენსია“) შექმნას შესანიშნავი, მაღალხარისხის დრამატული როლები.

ჭაბუკიანმა კარები გაუხსნა კლასიკურ ბალეტში მამაკაცის ვირტუოზულ ცეკვას გაცილებით, ადრე, ვიდრე ცეკვის სამყაროში ქალისა და კაცის როლები განიცდიდნენ ცვლილებებს. თავიდანვე მკაფიოდ გამოჩნდა ჭაბუკიანის სერიოზული ინტერესი მამაკაცი მოცეკვავეების მთავარ როლში გამოყვანისა. ეს იყო ნამდვილი სიახლე.

ჭაბუკიანმა პირველმა შეცვალა ყველას წარმოდგენა მამაკაცის ცეკვაზე, მისი ქორეოგრაფიისათვის დამახასიათებელია სწრაფვა დრამისაკენ. რაც, მთელი სიღრმით წარმოაჩინა ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელიოში“.

ნიენის შემდგომ თავში „სოლო“- მოცემულია ჭაბუკიანის ინტერპრეტაცია სოლო მოცეკვავის არსის გახსნაში, ექსპრესიაში თუ რამდენად საინტერესოა მისი სხეულის მოძრაობა მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ის სცენაზეა. ზოგიერთი დიდი ქორეოგრაფი საშუალო ან სუსტი მოცეკვავეა, ჭაბუკიანი კი იყო დიდი მოცეკვავე და დიდი ქორეოგრაფი. მან დაავსა ყველას – როგორ არ უნდა აკეთო ის რასაც აქამდე აკეთებდი.

შემდეგი თავი „ჭაბუკიანის საიდუმლოება“ ავტორი გადმოგვცემს მის შეუწყნარებლობას შემოქმედებაში სიყალბის მიმართ. ის ასაკშიც რჩება ცეკვის ხელოვნების განმაახლებლად. მისი საიდუმლოება მის ნიჭშია, ასაკში კი მას შეეძლო ემართა გონება, ტანი და სული“.



პასტანო ჯაბუკიანი

ავტორი ხედავს ჭაბუკიანის საოცარ ძალას, რაინდს გამოძერწილს მიქელანჯელოს ქანდაკებების სხეულით კლასიკურ ბალეტში“.

შემდგომი თავები: „დაუმარცხებელი უვიცობა“, „ეს, ჭაბუკიანია და არა პეტიპა“, „უცხოელის თვალით“, „ნაძირლების დრო“, სადაც ავტორი ვულდანყვეტილია, რომ რეპერტუარიდან გაქრა ჭაბუკიანის დადგმები. და რომ საბალეტო დასის ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში ვერ აცნობიერებს და ვერ იყენებს ჭაბუკიანის ნოვატორულ ქორეოგრაფიას და არც ცდილობს აღადგინოს ვებერის „მიპატიეება ცეკვაზე“, გუნოს „ვალპურგის ღამე“, შტრაუსის ვალსები, გლუკის

„მელოდია“, შუმანის პა დე-დე, შოპენის „შოპენიანა“ და სხვა შედეგები შექმნილი გერმანიის, რაკელის, ბეთჰოვენის და ლისტის მუსიკაზე. მრავალი ასეთი მტკივნეული ფაქტებია და საკითხები ავტორის მიერ წამოჭრილი ამ თავებში. და აი, ერთი ასეთი ამონარიდი წიგნიდან: „მას ადანაშაულებენ არა მარტო ოპერის დანვაში, არამედ ცდილობენ მისი პიროვნული ღირსებების შელახვას. ჭაბუკიანი, ცილისნამების წლებში (70-80წ.) ბუნებრივია დეპრესიაში ვარდება და თვითმკვლელობის რამოდენიმე მცდელობა აქვს. ასეთი განწყობა ჩვეულებრივი იყო სამყაროში, სადაც სიცოცხლე სრულდებოდა ადრე და გაუფრთხილებლად“.

წიგნში „ეპილოგის“ წინა თავში „ავტობიოგრაფიული“ ავტორი დიდი სიყვარულით აღწერს ჭაბუკიანის გმირების პორტრეტების თავისებურებებს, ა. მ. „თვალში-საცემია ჭაბუკიანის სახის გამომეტყველება, რომელიც იცვლება როლების და მიხედვით. ის გვხიბლავს მსახიობური ნიჭით და არა გრიძით. იგი მეტამორფოზას განიცდის, სხვადასხვა როლებში, მისი სხეული სხვადასხვანაირია, გარდაქმნა სრულია და სცენაზე წარმო-სახვითი არსება ჩნდება.“

ჭაბუკიანი ფოტოსურათზე გაცილებით უფრო შთაბეჭდავია და ცოცხალი, ვიდრე ისინი, ვინც დღეს მის პარტიებს ასრულებენ. მან დააანახა სამყაროს ცეკვის არსი, როიმელიც სერიოზულ ხელოვნებას გამო-ხატავს“. ალბათ ამიტომ ავტორმა წიგნის თითოეულ თავს წარუძღვარა ჭაბუკიანის ფოტო მასალა, რაც წიგნს უაღრესად მიმზიდველს, საინტერესოს და სა-ნახაობით სახესაც სძენს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ იშვიათ ფოტოებს, როგორცაა ახალგაზრდა მომღიმა-რე ჭაბუკიანი ამერიკაში, მ. პლისიუკაიას სურათი წარ-წერით და მარგო ფონტეინი იაპონიაში. „ეპილოგში“ ავტორი ჭაბუკიანის შემოქმედებითი ცხოვრების ერთი თვალის გადავლებით მიჰყვება მის წარსულის გზას: „პროფესიის არჩევა, მარინის თეატრი, საუკუნის დე-ბიუტი ევროპასა და ამერიკაში, ომის დროს თბილისში დაბრუნება, პედაგოგიური მოღვაწეობა, ყველაფერი ეს არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ შემთხვევითობით, რო-გორც მარგო ფონტეინთან შეხვედრა იაპონიაში. მისი ცხოვრების მძიმე წლებში განგება მას სწორ გზას უჩვენებდა“. მაგრამ მისი სიცოცხლე თანდათან მთავრდება

გაუჩინარებით თავის საკუთარ დიდებაში 1992 წლის 6 აპრილს.

ამ დიდებული წიგნის ყდის ბოლო გვერდზე მოთავე-სებულია ჩაფიქრებული ავტორის პორტრეტი ტექსტით: „ჭაბუკიანის სახით საქართველომ მსოფლიოს მისცა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი. სწო-რედ ქართულმა თვისებებმა გახადა ის წარმატებული ცხოვრებაში. ის, თვისებები, რითაც ის მთელ მსოფ-ლიოში ცნობილი გახდა, არის მთლიანად ქართული. ის, რაც მან გააკეთა – სულის, გონების და სხეულის მოძრაობის ერთიანობა – მხოლოდ ქართველს შეე-ძლო გაეკეთებინა. ასეთი მოცეკვავე მხოლოდ საქართ-ველოში იხადება“.


წიგნი „ჭაბუკიანი“ დაწერილია საინტერესოდ და ლამაზი ენით. თითოეული მისი თავი ლაკონური და ყოვლისმომცველია. განსაკუთრებით პოეტ რუსუდან მეგრელიშვილის პოეზიის წანაძღვარებით, იკითხება ინტერესით და გატაცებით, ჩანს ავტორის დიდი სიყ-ვარული, მწერლური ხედვა, ობიექტურად არის გაშუ-ქებული ჭაბუკიანის შემოქმედების ყველა პერიოდი, რომელიც აღსავსეა როგორც დიდებული მოვლენე-ბით, ისე უარყოფითი პერიპეტეებით. ეს არის შე-მეცნებითი წიგნი საბალეტო ხელოვნების ისტორიაზე, ჭაბუკიანის ხელოვნების სრულყოფილ შესწავლაზე, გარკვეულწილად მე-20ს-ის საბალეტო ისტორიის სა-ინტერესო მოვლენებზე. წიგნის ნაკითხვა დიდად წაად-გება ხელოვნებით დაინტერესებულ ახალგაზრდობას, ბალეტის მოყვარულთ.

ავტორს კი ვუსურვებდი წიგნი გამოეცა ინგლისურ ენაზე, რათა ხელმისაწვდომი გაეხადა უცხოელთათვის. და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს წიგნის უჩ-ვეულო დამთავრება პოეტ რუსუდან მეგრელიშვილის ლექსით:

„და თუ გწყალობს ბედი  
შენი არსი არის ერთი  
თავისუფლად გადმოჰყურებ  
შენს სამყაროს როგორც  
ღმერთი.“

მართლაც...





სის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ მომზადდა.

ეს არის პირველი ინგლისურენოვანი კრებული, რომელიც მრავალხმიანობას აშუქებს ქართულ პოლიფონიას. მისი მიზანია საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდოს მეცნიერული ცოდნა მოვლენაზე, რომელსაც უკანასკნელ ხანს მსოფლიო საკმაოდ კარგად გაეცნო ქართული ფოლკლორული ანსამბლების საგასტროლო ტურნეების წყალობით. უცხოელთა გაზრდილი ინტერესზე მეტყველებს ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი ანსამბლების მომრავლებაც სხვადასხვა ქვეყანაშიც. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ამერიკული სამეცნიერო გამოძიებების დაინტერესებაც ამ თემით.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შთამბეჭდავია ამ სტელედიანი წიგნის გაფორმებაც, რომელშიც კარგადაა მინიშნებული ქართული კულტურის არქაულობაც და მისი განუმეორებელი ელფერიც. კრებული შესანიშნავადაა შედგენილი, მასში ავტორების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი. ჩემი აზრით, მის ღირებულებას ისიც ზრდის, რომ ქართული მრავალხმიანობის წარმოშობისა და განვითარების, მისი ფორმების მრავალფეროვნებისა და უნიკალობის შესახებ მსჯელობენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერებიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზიგფრიდ ნადელის წიგნის „ქართული სიმღერა“ ფრაგმენტები, რომლითაც იხსნება კრებული. გერმანელი მკვლევარი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა ქართული მრავალხმიანობის ფენომენით და მიუძღვ-

# „ექო საქართველოდან“

72 ნოვა საიენს პაბლიშერსმა (Nova Science Publishers), გამოსცა წიგნი „ექო საქართველოდან. ჩვიდმეტი არგუმენტი ქართული პოლიფონიის შესახებ“. იგი თბილი-

ნა მას სპეციალურ მონოგრაფია (1932, ბერლინი). იგი უცხოელთაგან ასევე პირველი იყო, ვინც ქართული მრავალხმიანობის „თვითნაჩენობა“ (ილია) აღნიშნა.

ყურადღებას იქცევს იზალი ზემცოვსკის სტატია „ქართული მოდელი: ეთნოგომუსიკოლოგიური მიდგომა

ზეპირი პოლიფონიის სამყაროსადმი“, რომელშიც ავტორი ქართულ მრავალხმიანობას განიხილავს, როგორც, საზოგადოდ, ტრადიციული მრავალხმიანობის მოდელს, რადგან მასში მრავალხმიანი სიმღერის ყველა ძირითადი ტიპია წარმოდგენილი და რადგან მრავალხმიანობის ფორმების ამგვარი მრავალფეროვნება ისეთ მცირე ტერიტორიაზეა, როგორც საქართველოა, მსოფლიოში არსად გვხვდება.

ქართული მრავალხმიანობა ზოგადი და კონკრეტული არგუმენტებითაა წარმოდგენილი წარსულისა და თანამედროვე ქართველ ავტორთა — ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, შალვა ასლანიშვილის, ვლადიმერ ახოზაძის, გრიგოლ ჩხიკვაძის, მინდია ჟორდანიას, ვალერიან მაღრაძის, ევსევი ჭოხონელიძის, ვლადიმერ გოგოტიშვილის, ედიშერ გარაყანიძის, მანანა შილაკაძის, თამაზ გაბისონიას, ნინო ციციშვილის, იოსებ ჟორდანიას, რუსუდან ნურნუმიას ნაშრომებში. მათში განხილულია ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმების, ხმათა მოძრაობის, კილო-ჰარმონიული თავისებურებები სხვადასხვა დიალექტებში, საკრავიერი მუსიკის საკითხები, ქართული მუსიკალური კულტურის ინტერკულტურული ურთიერთობების, ეროვნული იდენტობის პრობლემა და სხვ.

ამ ნაშრომთაგან უმეტესობა ადრეა შექმნილი, მათი ნაწილი სხვადასხვა (არაინგლისურ) ენებზეა გამოქვეყნებული, ნაწილი — ხელნაწერის სახით ინახებოდა თბილისის კონერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში, ზოგიერთი კი სპეციალურად ამ კრებულისთვის დაიწერა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებულის გამოცემის აკადემიური დონე — კრებულს ჰყავს ორი რეცენზენტი, მსოფლიო მრავალხმიანობის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი ფრანგი სიმჰა არომი და ესპანელი ეთნომუსიკოლოგი პოლო ვალეჰო, რომელთა ვრცელი რეცენზია წიგნის რედაქტორების რუსუდან ნურნუმიასა და იოსებ ჟორდანიას შესავალთან ერთად წინ უძღვის კრებულს. ადრე გამოქვეყნებულ სტატიებს ახლავს რედაქტორების კომენტარები, ხოლო კრებულის ბოლოს მოცემულია ქართული მრავალხმიანობის ვრცე-

ლი ბიბლიოგრაფია, მონაცემები წიგნში წარმოდგენილი ავტორების შესახებ და ინდექსები.

წიგნის შექმნა შესაძლებელია ინტერნეტით, გამოცემლობის საიტზე: ვფიქრობ, ეს წიგნი შესანიშნავი საჩუქარია ქართული მუსიკალური კულტურით დაინტერესებული არაქართველენოვანი მკითხველისათვის.

იმ საღამოს, როდესაც თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ თამაზ ყურაშვილის საპატივცემულოდ ვარსკვლავი გაიხსნა, ჩემთვის ერთ საკმაოდ უხერხულ რამეს მივხვდი, – მე მისთვის მადლობა არასდროს გადამიხდია. არადა, ეს ისაა, რაც ჩვენი გაცნობის პირველივე დღესვე უნდა გამეკეთებინა. ალბათ, მომერიდა, ან ვერ გავბედე, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დღემდე არ მომხდარა. იმ საღამოს კი ერთი უცნაური რამე

გაბრდა კაცს პირველმა გამახედა იმ მიმართულებით, რაც შემდგომში ჩემი ცხოვრების ლამის ძირითად ინტერესად იქცა. რა თქმა უნდა, ჯ ა ზ ს ვგულისხმობ! შესაბამისად, თამაზს მადლობა უნდა ვუთხრა ლუი არმსტრონგისთვის, ჩარლი პარკერისთვის, მაილზ დევისისთვის, ჯონ კოლტრენისთვის, სონი როლინგისთვის, ყველა დიდი ჯაზმენისთვის, ვინც მისი მეშვეობით „ემოიორბინეს“ ჩემს ცხოვრებაში და, ეხლა უკვე დანამდ-

# დაბვიანებული მადლობა მუსიკოსს

მობდა. როდესაც ვარსკვლავის გახსნამდე გამართულ კონცერტზე თამაზ ყურაშვილი თბილისის საკონცერტო დარბაზის „ივენტ ჰოლის“ სცენაზე იდგა სხვა მუსიკოსებთან ერთად, რაღაც მომენტში ჩემი მეგობრისკენ გადავიხარე და ყურში ჩავჩურჩულე: „ამდენი ხანია ამ კაცს ვიცი და ჯერ კიდევ მადლობა არ მითქვამს მისთვის!“ „რისთვის?“ – ჩურჩულითვე მკითხა მან ისე, რომ სცენისთვის თვალი არ მოუცილებია (ჰო, კინაღამ დამავინცდა, – ჩვენ სცენასთან ახლოს ვიჯექით). ის იყო პირი დავაღე პასუხის გასაცემად, რომ, სრულიად მოულოდნელად, თითქოს მიხვდა მასზე რომ ვლაპარაკობდით, თამაზმა ამდენ ხალხში მანიცდამაინც მე მომძებნა მზერით, გამიღიმა და ეშმაკურად ჩამიკრა თვალი. „აი, თუნდაც ამისთვის!“ – ჩავილაპარაკე ჩემთვის და სიცილი ამივარდა.

ვიღებთ ვიცი, სამუდამოდ დარჩნენ იქ. ასეთ საჩუქარს მადლობის გარეშე არ უნდა ტოვებდეს კაცი!

უცნაურია, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, ალბათ, გამოიჩინებდა დანამდვილებით იმის თქმა, თუ სად მოვუსმინე პირველად თამაზ ყურაშვილს. ერთადერთი, რაც ამ შეკითხვაზე თავში მომდის ხოლმე, აი ესაა, – ვაკის პარკის ღია კინოს სცენაზე, ოღონდ არ მახსოვს რომელ მუსიკოსებთან ერთად. სამაგიეროდ, დღესაც მახსოვს ის, რამაც ყველაზე უფრო იმოქმედა ჩემზე, – თამაზის კონტრაბასის ბგერა, ამ ბგერის სიმძიმე და მოქნილობა, სიღრმე და სისუფთავე. და ეს მაშინ, როდესაც თითქმის საერთოდ არაფერი გამეგებოდა იმ მუსიკალურ მოვლენაზე, რომელსაც ჯაზი ქვია. არც იმას დავმალავ, რომ ამ ბგერის უკან მდგარმა ადამიანმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, სულ ახალგაზრდა „ჯაზდაუკარებელ“ ყმანვილზე; კონტრაბასს ამოფარებული მაღალი, გამხდარი კაცი, სერიოზული გამომეტყველებით, თავჩაქინდრული უკრავდა ერთი შეხედვით მოუხეშავ ინსტრუმენტზე და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს რაღაც სხვებისთვის შეუმჩნეველს

და მანიც, შეიძლება ეხლა უკვე თქვენ მკითხოთ, – რისთვის არ გადავიხდია მადლობა თამაზ ყურაშვილისთვის? პასუხი, შევეცდები, მარტივი და გასაგები იყოს: იმისთვის, რომ თავის დროზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიანების ბოლოს, სულ ახალ-

უვდებს ყურსო. იმ დღეს გავიგე, რომ ახლობლები მას “თათუზას” ეძახდნენ. მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა...

არც თუ ისე დიდი ხნის წინ თამაზ ყურაშვილის ორდისკიანი ალბომის (პირობითი დასახელებით “რეტროსპექტივა”) ბუკლეტისთვის ტექსტის დაწერა შემომთავაზეს. უადგილო ნამდვილად არ იქნება, თუ იმ ტექსტის შესავალ ორ წინადადებას აქვს გავიმეორებ: *“თამაზ ყურაშვილი თანამედროვეობის უდიდესი ქართველი ჯაზმენია და ეს სულაც არაა გაზვიადებული ნათქვამი. შეუძლებელია ქართულ და საბჭოთა ჯაზში მისი როლის და ადგილის გადამეტებით შეფასება.”* დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვისაც კი ოდნავ მაინც მოეხსენება რამე ქართული ჯაზის ისტორიის შესახებ (რამდენადაც მ ნ ი რ ი არ უნდა იყოს ის), აუცილებლად დაეთანხმება ჩემს ამ მოსაზრებას, თუნდაც მართო იმიტომ, რომ ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, ის იმაზე უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ჯაზ-მუსიკოსი, – “ცივი ომის” ეპოქაში ის გარკვეული თვალსაზრისით გარე სამყაროსთან (რა თქმა უნდა, პირველ რიგში აკუსტიკურ სამყაროს ვგულისხმობ, თუმცა არა მართო ამას) დამაკავშირებელი სარკმელი იყო ახალი თაობის თითქმის ყველა ჯაზმენისათვის, რომ არაფერი ვთქვათ ჯაზის მოყვარულებზე. მან ლამის მართომ შეძლო ათასობითი ქართველის ინტერესების რუკაზე ჯაზის და მასთან ასოცირებული თავისუფლების შეგრძნების დატანა. თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება შემედავოს, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ, მერე კი, ჩემი ამ არგუმენტის გასამტკიცებლად თუნდაც თამაზ ყურაშვილის და ვაგიფ მუსტაფა-ზადეს 1978 წლის კვინტეტს მოვასმენინებ. ეს ჩანაწერი (და ვიდეო მასალაც) თამაზმა გასულ წელს მომასმენინა მასთან სტუმრობისას, იმ დროს, როდესაც “რეტროსპექტივისათვის” მასალების შეგროვების პროცესში იყო და მახსოვს, პირველი, რაც იმ მუსიკის მოსმენის დროს თავში მომივიდა პირდაპირ კავშირში იყო ყველაფერ იმასთან, რაც ზემოთ ვახსენე, კერძოდ კი, იმ ჩანაწერში თამაზი თითქოს იმ აკუსტიკური სივრცის განუყრელი ნაწილია, რომლის “მიჩქმალვასაც” ასე უშედეგოდ ცდილობდა უნიათო საბჭოთა სისტემა; იმ ჩანაწერში (და, რა თქმა უნდა, სხვებშიც, თუ ყურადღებით მოვუსმენთ თუნდაც



თამაზ ყურაშვილი

“რეტროსპექტივას” ორივე დისკს!) თამაზ ყურაშვილი არც მხოლოდ ქართველი მუსიკოსია და არც მხოლოდ კავკასიელი, ის იმ მუსიკალური მეტკვადრეობის სრულ-



თაზაჰ ყურაშვილი,

ფასოვანი ნაწილია, რომელიც ოდესღაც აფრიკიდან და მსოფლიოს სხვა დანარჩენი კუთხეებიდან დაიდრა ახალი კონტინენტის მიმართულებით და რომელთა ერთ ჭურჭელში გაერთიანებამაც სრულიად უნიკალური მუსიკალური ფენომენი შესთავაზა სამყაროს.

ყველაფერი ეს, ვგულისხმობ თამაზ ყურაშვილის მუსიკალურ ერუდიციას, ინსტრუმენტების ფლოპის უნარებს, სვინგის და ზოგადად ჯაზის ოთხივე ელემენტის უზადო შეგრძნებას, იმპროვიზაციისადმი და

სპონტანური მომენტებისადმი დახვეწილ და მყისიერ მიდგომას, მოსმენის უნარს, - აი, ყველაფერი ეს, ციდან არ ჩამოვარდნილა. შევეცდები ოდნავ სხვანაირად ვთქვა სათქმელი: მისი ნიჭი შეიძლება, როგორც ამბობენ ხოლმე, “ციდან ჩამოვარდა” კიდეც, მაგრამ მის მომაგრებას და განვითარებას თამაზ ყურაშვილმა მთელი ცხოვრება დაახარჯა. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგანაც ჯაზს ერთი “უცნაური” თვისება აქვს, - ის ზარმაცებს ახლოსაც არ იკარებს!

მართო საკუთარ ბგერასთან მიახლოებისათვის განუ-  
ლი შრომა რად ღირს, რომ არაფერი ვთქვათ ჯაზმე-  
ნისათვის აუცილებელ სხვა უნარებზე. მთელი ამ ფუნ-  
ქციონალური არსენალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი,  
ჩემი აზრით, მაინც ისაა, რომ ჯაზმენს უნდა შესწევდეს  
უნარი მოერგოს ნებისმიერ მუსიკალურ სიტუაციას თუ  
გამონწევას და მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ-  
ი ს ი ტ ყ ვ ა თქვას მუსიკალური დიალოგის დროს.  
მარკუს ავრელიუსს ერთი კარგი რამ უთქვამს: “გაუკე-  
თე შენს თავს საჩუქარი და იჩუქე მოცემული მომენტი!”  
ჯაზი სწორედ მოცემული მომენტის საკუთარი თავის-  
თვის და მსმენელისათვის ჩუქების პ რ ო ც ე ს ი ა; ის  
ს ა უ ბ რ ი ს მუსიკაა და როდესაც თამაზ ყურაშვილს  
ვუსმენ ხოლმე, თითქმის ყოველთვის ვგრძნობ აი ამ,  
ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან რამეს, - ის მოცემულ  
მომენტში ეპასუხება მასთან “მოვარდნილ” საკუთარ  
და მისივე კოლეგების მიერ შემოთავაზებულ იდეებს  
და იმ მომენტებში, როდესაც მას ეს კარგად გამოსდის  
(არც ერთ ჯაზმენს არ გამოსდის ეს კარგად ყ ო ვ ე  
ლ ჯერზე!), თამაზ ყურაშვილი ყველაზე მნიშვნელოვან  
საჩუქარს უკეთებს მსმენელს. ასეთ საჩუქარსაც და ფ  
ა ს ე ბ ა უნდა!

დღეს, ჩემი თაობის ადამიანები, ხშირად ვისხენებთ  
ხოლმე 1989 წელს თბილისში ჩატარებულ, ლამის უკ-  
ვე ლეგენდად ქცეულ, საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს.  
ვინ არ ჩამოვიდა იმ წელს თბილისში, - სან რა, ფრედი  
ჰაბარდი, ართ ბლეიქი, ჯიმი სმიითი, ჯექი მაქლინი, ჯონ  
გილმორი, ნილს-ჰენიგ პედერსენი, კენი დრიუ, კიდევ  
ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მუსიკოსი. მართლაც რომ,  
საოცარი დღეები იყო! ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ  
“ჩამოდგა” ჩემში ამ ორიოდე თვის წინ, როდესაც ჩემი  
სატელევიზიო გადაცემისთვის იმ ფესტივალის ვიდეო  
მასალას ვუყურებდი. თითქოს არც არაფრის შესხენე-  
ბა არ მჭირდებოდა, ისედაც ყველაფერი კარგად მახ-  
სოვდა, - დიდებული, დაუვიწყარი მუსიკა და თითქოს  
უმნიშვნელო დეტალებიც კი, - ართ ბლეიქის გაბად-  
რული სახე დაკვრის დროს, ფრედი ჰაბარდის საყვი-  
რით დაზიანებული ზედა ტუჩი, სან რას უცნაური ცეკვა  
და მისი ბენდის ფერად-ფერად შამანური კოსტუმები,  
ამ უცნაური ადამიანების ჯგუფს მორგებული თამაზ  
ყურაშვილი თავისი კონტრაბასით, კიდევ ბევრი სხვა

რამ, მაგრამ ფესტივალის ვიდეო მასალამ კიდევ ერთი  
რამ შემახსენა: თამაზ ყურაშვილის დეტის დიდებული  
სეტი, რომლის გაბათილებაც ვერც ერთმა იმ დიდმა  
მუსიკოსმა ვერ მოახერხა. ვისაც ეს მასალები არ გი-  
ნახავთ, უბრალოდ სიტყვაზე მენდეთ: იმ ფესტივალზე  
თამაზ ყურაშვილი ისეთივე მნიშვნელოვანი მუსიკოსი  
იყო, როგორც ყველა დანარჩენი ჩემს მიერ ნახსენები  
ჯაზმენი. მნიშვნელოვანი ამ სიტყვის სრული მუსიკა-  
ლური გაგებით, პლუს მის მიერ უნებლიედ ნატვირთი  
ლამის მისიონერული მისია. იმედი მაქვს, რომ ადრე თუ  
გვიან მოვახერხებთ იმ კონცერტის თქვენთვის ჩვენე-  
ბას, ან მე, ან კიდევ ვინმე სხვა. ყველაზე მთავარი კი  
მაინც ისაა, რომ თამაზ ყურაშვილი დღემდე ასეთ მუ-  
სიკოსად რჩება და წლების განმავლობაში დაგროვილი  
ცოდნა და გამოცდილება მის მუსიკაშია “შეჩერებული.”  
როდესაც დღეს თამაზს ვუსმენ ხოლმე, ვხვდები, რომ  
მას არავისთვის არაფერი აღარ აქვს დასამტკიცებელი  
საკუთარი თავის გარდა. ნამდვილად არ ვიცი, თუ რაა  
ეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის “კომ-  
ფორტული ზონის” მუსიკოსი არაა, შესაბამისად მისგან  
კიდევ ბევრს უნდა ველოდოთ. ჯაზის შემთხვევაში მუ-  
სიკა გრძელდება მანამ, სანამ ცოცხალი ხარ.

ჰო, მართლა არ ვიცი, თუ როგორ მოხდა ისე, რომ  
მიუხედავად ჩვენი არა ერთი და ორი წლის ნაცნობო-  
ბისა, მე ჯერაც ვერ მოვახერხე თამაზ ყურაშვილისთვის  
მადლობის თქმა ყველა იმ საჩუქარისთვის, რაც კი მას  
პირადად ჩემთვის გაუკეთებია. სამაგიეროდ დანამდვი-  
ლებით ვიცი, რომ თუ დღეს მე ამ ტექსტის დაწერას  
მთხოვენ, გარკვეული თვალსაზრისით ესეც თამაზ ყუ-  
რაშვილის დამსახურებაა. რომ არა ის, ეს დავგვიანებუ-  
ლი მადლობის ტექსტიც არ იარსებებდა.

## ლონდონში, კრისტის

**აუქციონზე...** რეკორდულ ფასად, 337 250 ევროდ გაიყიდა ი.ს. ბახის გვიანი პერიოდის ერთერთი კანტატის ხელნაწერი. ხელნაწერი, რომელიც შეიძინა კერძო კოლექციონერმა ამერიკიდან, არის ტენორის ჰობოის პარტია ბახის კანტატიდან **Ich liebe den Höchsten von ganzem emüte, BWV 174**. ესაა პირველი ორიგინალური დოკუმენტი ბახის მემკვიდრეობიდან, რომელიც ბოლო 16 წლის მანძილზე გამოჩნდა და გაყიდვაში.

დოკუმენტი წარმოადგენს ბახის გადამწერის მიერ შესრულებულ ორიგინალს — ხელნაწერი სავარაუდოდ ეკუთვნის მის მოწაფეს სამუელ ჰედერს და ასევე მეორე გადამწერს, რომელიც ცნობილი იყო „ანონიმ IV“-ს სახელით, რომელიც უშეცდომოდ იმეორებდა ბახის ხელნაწერს.

1980-90-იან წლებში აუქციონებზე შედარებით ხშირად ჩნდებოდა უშუალოდ ბახის ხელნაწერები, ახლა კი ეს იშვიათობაა და ეს აუქციონი იყო იშვიათი შესაძლებლობა გენახათ ბახის ნაწარმოების ორიგინალი ხელნაწერი.

## იენისის შუა რიცხვებში დასრულდა ბახის ყოველწლიური ფესტივალი ლაიპციგში.

ახისადმი მიძღვნილ ყველა სხვა ფორუმებს შორის, ლაიპციგის ფესტივალი სამართლიანად ითვლება ყველაზე პრესტიჟულად და ავტორიტეტულად. რა თქმა უნდა ამას ხელს უწყობს აგრეთვე ადგილიც — ქალაქი, სადაც ბახმა თითქმის მეთხუთხედი საუკუნე იცხოვრა, სადაც ინახება მისი ხელ-

ნაწერების უმრავლესობა... ამიტომაც ამ ფესტივალზე თავს იყრიან ბახის მუსიკის საუკეთესო შემსრულებლები. დაუკრა წმინდა თომასა და წმინდა ნიკოლოზის ტაძრებში, იქ სადაც უდიდესი კანტორი მსახურობდა, დიდი პატივია და უდიდესი პასუხისმგებლობა. წლები ვანდელი ფესტივალი დაემთხვა უდიდეს იუბილეს — ზუსტად 800 წლის წინდაფუძნდა წმინდა თომას ტაძრის ბიჭუნათა გუნდი, რომელსაც ბახითიქმის სამი ათწლეული ხელმძღვანელობდა. ორუმის პროგრამაში ბახის ნაწარმოებების გარდა, იყო კანტორის პოსტზე მისი წინამორბედების და მისი მიმდევრების ნაწარმოებები: იოჰან კუნაუს, მორიც ჰაუპტმანის, კარლ შტრაუბერის, გიუნტერ რამინის, თვით ამჟამინდელი კოლექტივის ხელმძღვანელის გეორგ კრისტოფ ბილერის ჩათვლით, რომელიც ფესტივალის გახსნას დირიჟორობდა. ფესტივალზე აჟღერდა აგრეთვე ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, პროკოფიევის გუბაიდულინას ნაწარმოებები.

წლები ვანდელი ფესტივალის ყველაზე ელვარე მოვლენა იყო სერია კონცერტებისა პლენერზე, სადაც ათასობით მსმენელი იყრიდა თავს — შესრულდა ბახის ცნობილი თანამედროვეს ადოლფ ჰასეს ოპერის „კლეოფიდას“ წარმოდგენა საკურორტო პატარა ქალაქ ბად ლაუხშედის ისტორიულ თეატრში, რომელსაც თავის დროზე ხელმძღვანელობდა დიდი გოეთე, ჩატარდა მსოფლიოში სახელგანთქმული კოლექტივებისა და მუსიკოსების კონცერტები. ახის ფესტივალი ტრადიციულად დასრულდა ბახის სი მინორული მესის შესრულებით. ამჯერად ფესტივალის დახურვის პატივი ერგო ბრიტანელ მუსიკო-

სებს — ცნობილ კოლექტივს „ინგლისური კონცერტი“, რომელსაც ჰერი ბიკეტი დირიჟორობდა.

**უკვე ყველასათვის ცნობილია**, რომ მუსიკა დადებით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ახლა ბევრი ექიმი იყენებს მუსიკალურ თერაპიას, როგორც მრავალი დაავადებისაგან განკურნების საშუალებას. არკომანიის მკურნალობა ასევე შეიძლება კლასიკური მუსიკის მეშვეობით.

ასეთიმუსიკათერაპიის უფასო სესიის ჩატარება გადამწყვიტა კიევის ქალაქის ხელმძღვანელობამ 26 მაისს სოფიის მოედანზე. ეს იყო გრანდიოზული ფეერიული შოუ, კერძოდ, კლასიკური მუსიკის კონცერტი და 3 ფორმატში პროექტირებული შოუ. კონცერტში მონაწილეობდნენ კლასიკური მუსიკის მსოფლიო ვარსკვლავები: ოლეგ კულკო, ტარას შტონდა, მარიან ტალაბა, სერგეი მეგერა, ანჟელინა შვარცა და სხვ. მათ თანხლებას უწევდა უკრაინის ფილარმონიის ნაციონალური ორკესტრი, უკრაინის ნაციონალური ოპერის ხელმძღვანელის ნიკოლაი დუდურას დირიჟორობით. ღონისძიება მიდიოდა სათაურით უძველესი დედაქალაქის ახალი სახე

ახლანან გაიხსნა **ახალი ინფორმაციული პორტალი მუზოკნო.რუ**. პორტალის კონცეფციაა რუსეთისა და მის ფარგლებს გარეთ არსებული მუსიკალური ცხოვრების მიმოხილვაა. პორტალზე არის რუბრიკები: „თვის პორტრეტი“, „სიახლეები“, „მოვლენები“, „მიმოხილვა“.

„თვალსაზრისი“ და სხვ. ასევე არის საავტორო სვეტები. პორტალი ჯერჯერობით მთელი დატვირთვით არ მუშაობს, მაგრამ მასზე ბევრი საინტერესო ინფორმაციის მოძიება უკვე შეიძლება”

**კრისტოფერ ოლდენის სკანდალური პრემიერა** შექსპირის პიესისა „ზაფხულის ღამის სიმზარი“, შედგა კვირას სტანისლავსკისა და ნემროვიც-დანჩენკოს სახ. თეატრში. თეატრის დირექცია პრემიერაზე დასწრებას არ ურჩევდა 14 წლამდე ბავშვებს. ასეთი განცხადების გაკეთება დირექცია აიძულა სკანდალმა, რომელიც პრემიერამდე აგორდა. ხმა გავრცელდა წერილის თაობაზე, რომელიც დადგმის ავტორებს ამხელდა „პედოფილიის, ალკოგოლიზმისა და ნარკომანიის“ პროპაგანდაში. „ყველაფერი ძალზედ დელიკატურადაა გაკეთებული, ესაა სპექტაკლი, რომელიც არ უწევს პროპაგანდას პედოფილიას“ — განუცხადა ჟურნალისტებს „გელიკონ-ოპერის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა დიმიტრი ბერტმანმა. თვითონ რეჟისორი კრისტოფერ ოლდენი ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავს, რომ მას უყვარს პუბლიკის პროვოცირება, ხოლო სკანდალმა განაპირობა ანშლავი პრემიერაზე. „სკანდალი — ეს კარგია! მე მიყვარს პროვოცირება, ეს ჩემი მეთოდია. თუმცა სჯობს ჯერ ნახო სპექტაკლი და მერე მოახდინო რეაგირება. აგრამ ეს სპექტაკლი ნამდვილად არაა ბავშვებისათვის“ — აღნიშნა ოლდენმა. სმედოვნებენ, რომ ექსპერტები წერტილს დაუსვავენ სკანდალს და სპექტაკლი ნავა რეპერტუარში.

**მოსკოვში დასრულდა** მსოფლიოს სიმფონიური ორკესტრების VII ფესტივალი. უსიკალურ მართონში მონაწილეობდა კუბის ნაციონალური ორკესტრი, ბოგოტის ფილარმონიული ორკესტრი, ჰიუსტონის სიმფონიური ორკესტრი. მუსიკის ზემოთ ფარგლებში მოსკოვის ფილარმონიის აკადემიურმა ორკესტრმა იურა სიმონოვი და სვეშნიკოვის სახ. სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა გუნდმა მოამზადა მუსიკალური რეტროსპექტივა, მიძღვნილი რუსული სახელმწიფოებრიობის 1150 წლისთავისადმი, 1612 წლის სახალხო გამარჯვების იუბილესადმი, და 1812 წლის სამამულო ომისადმი. ნიკალური კონცერტის პროგრამაში შევიდა სერგეი პროკოფიევის რუსეთის ჰიმნის მსოფლიო პრემიერა, რომელიც არასდროს სახალხოდ არ შესრულებულა, აქედან და აგრეთვე გიორგი სვირიდოვის სსრკ-ს ჰიმნის „პროექტი“ და რუსი მეფეების თხზულებები: ივანე მრისხანეს სადიდებელი ვლადიმირის ღვთისშობლის ხატისადმი „Вострубите ფიოდორ ალექსევიჩის ჰიმნი „Достойно есть“ და რუსეთის იმპერიის ჰიმნი “Боже, царя храни!». პუბლიკა ფეხმდამდგარი უსმენდა..”

**20 წლის ვიოლონჩელისტი ოლივია კულზო** გახდა მის აშშ. მან აჯობა 50 სილამაზის კონკურსანტს და მიენიჭა უფლება აშშ-ს სახელით მონაწილეობა მიიღოს მის სამყაროს კონკურსში. ოლივია მეორე წელია სწავლობს ბოსტონის უნივერსიტეტში. ვინც

მას იცნობს, ყველა აღიარებს, რომ ოლივიასთვის მთავარია სწავლა. მას სწავლაში საკმაოდ დიდი წარმატებები აქვს. მისი პროფესიული თვისებები გამოვლინდა ბოსტონის შემპლეონს ალ-ში და ნიუ-იორკის ჩარნევი-ში საკონცერტო გამოსვლების დროს

**ავსტრალიური სიმებიანი კვარტეტის ( შ )** მიერ აქედან ჯოვანი ბატისტა გვადანინის უნიკალური ინსტრუმენტები. ინსტრუმენტები შეიძინა ავსტრალიურმა ფონდმა გერინგა არმ რტს ოუნდატიონ. ფონდმა 2 ვიოლინოსა და ალტში 4 მილიონი ავსტრალიური დოლარი გადაიხადა. რი ვიოლინო შექმნილია ტურინში და პიაჩენცაში 1784 წელს, ხოლო ალტი — 1783 წელს ტურინში. ფონდის დირექტორი ულრიკე კლინი, ფილანტროპ მარია მაიერსთან ერთად იმედოვნებს, რომ მოიზიდავს კიდევ 2 მილიონ დოლარს იმისათვის, რომ შეიძინონ 1743 წელს ტურინში შექმნილი ვიოლონჩელი, რომელსაც კვარტეტი არენდით ფლობს. მის შემდეგ ანსამბლს ინსტრუმენტების სრული კომპლექტი ექნება საკუთრებაში. „ზოგი ადამიანი იძენს უძრავ ქონებას, ზოგი ნახატებს. მე ჩემ კაპიტალს ვდებ იშვიათ ინსტრუმენტებში“ — აცხადებს ფონდის დირექტორი. „ეს შენაძენი მომავალი თაობებისთვისაა. საუნიკალური ისტორია, რომელიც ჩვენ, ავსტრალიელებს ძველ სამყაროსთან გვაკავშირებს. არწმუნებული ვარ, რომ ასეთი შენაძენი უფრო მეტ მსმენელს მოიზიდავს კონცერტებზე”.



## summary

---

Novelty

Four premieres

The concert of the Georgian modern quartet music



The article is dedicated to the Georgian Chamber quartet of musical concert, which has been recently carried out in the small hall of conservatoire. The concert has been interesting in many ways. For the first, the concerts of the Georgian quartet music used to be rare occasions during these years, we didn't often listen to a new Georgian quartet music, especially with such diversity and wide spectrum. For the second, in the concert there have been performed the productions of the composers of the different generations having different individuality.

The quartet of Georgian classics Alex Machavariani, so-called 70s people of Giorgi Shaverazashvili, Mikheil Odzeli and "Bagatelebi", of Revaz Kiknadze, appeared on the field at the end of 80s. Correspondingly the four different views, four various stylistic tecnics, and conception were presented in this concert. In the article, it is underlined that professionalism of the quartet a collective and high level of excecution.

The author considers, the presented four

works to be the important interesting gifts of the Georgian quartet music and possible to be performed on any hall of the world's concert. In the article, there are suggested opinions of other musicians.

Date

Rusudan Kutateladze

Zurab Sotkilava -75



The article is dedicated to the 75<sup>th</sup> anniversary date of the well-known Georgian opera singer Zurab Sotkilava.

For ten years Zurab Sotkilava is a solist of the Bolshoi Theatre-one of the best theatres of the world. At the same time during the very period he constantly goes on an active creative interrelation with his motherland – Georgia, He is a holder of a great number of estate – titles.

Composition

Shorena Metreveli

The way to the Eurovision competition The article informs about the casting tours held in Tbilisi for the musical competition. The Eurovision once in two years holds the musical competition, in which classical music performers up to 20 years old take



part.

Six young musicians were selected in the result of the three tours held in Tbilisi. They are: Anna Kipiani, Natia Natroshvili, Tamar Modulashvili, Lizi Ramishvili, Sento Vartanova, Inali Dzioevi: But finally there was shown Lizi Ramishvili one of the Georgian participants of the competition.

From the region  
Shorena Metreveli

The first night in the Batumi Opera



The article concerns the first night of the P. Maskani's distinguished opera play "The village Dignity" performed in the Opera House of Batumi.

The opera life of Batumi has a sufficiently impressionable history. Till then in 1921-22 in the very city the Opera House was working.

At the same time intensive life went on in 1993-1992s, It's happiness that nowadays the tradition is re-established, the existence

of which the above-mentioned opera play confirms.

In the memory

Nestan Meskhi

Requiem ("Give them peace forever, Lord")



The article is dedicated to the designated evening of the 10<sup>th</sup> anniversary from the death of the distinguished Georgian conductor Jansug Kakhidze.

In the Georgian music history the whole epoch is connected with the name of Jansug Kakhidze.

The most important fact is his interrelations with all the Georgian composers, whose productions' the first interpreter was Kakhidze himself.

His working sphere was various: Besides of being a conductor, he was a composer, singer and organizer either. The article contains the flashing moments of his creative biography. The Jansug Kakhidze's memory evening was led by his son Vakhtang Kakhidze the head conductor of the symphony orchestra of Tbilisi city.

Music and painting

Tamar Belashvili

Sergo Kobuladze and Musical Theatre

The author reviews the working of the



Georgian well known painter Sergo Kobuladze in the sphere of the musical theatre.

Sergo Kobuladze's working was various, He was a graph, painter, unbelievable illustrator of the Georgian and world Literature, professor of the Art Academy, painter of drama theatre and for years the head of the Academy too. In the author's mind the performances designed with the decorations by him for a musical theatre would be enough with their quantity and degree for working of even one person.

The Opera House curtain painted by him was impressionable, but unfortunately in 1975 it was burnt by the fire.

From the region  
Piso Darakhvelidze

The celebration had been accomplished


The article concerns the meeting arranged for the composers living in Rustavi; They are: Manana Alpaidze, Rusudan Bitsadze, Zaza Menteshashvili. The very meeting has presented one of the measures from the cycle



of the concerts, that is always held when spring comes, and has already turned into a tradition.

In this period of time there are arranged authorized concerts, appearing on the stage of young performers, concerts of art schools and pupils, competition and the like.

A dialogue with an artist  
Tamar Meskhi  
Truly a public composer



The article presents an anniversary portrait of the Georgian well-known composer Vazha Azarashvili (in connection with the 75<sup>th</sup> anniversary from his birth). The author reviews the composer's poly-genre working started with remarkable instrumental productions and finished with variety songs, there is given an interview with Vazha Azarashvili in which he talks of his artistic conviction, the passed

creative way and the future plans.

Education

Tamar Sikharulidze

The new “Brand 19” on the raising way




The author presents the orchestra of the Art school #19 named after Otar Taktakishvili of Tbilisi Municipality. This year the orchestra has become 35 from its foundation. In the article there is described the way the mentioned school has passed since the time it was established. Time by time there were created different branch-departments in here. The orchestra department after the intensive and hard working made a brass band, that became a visit card of the school.

Image

Tsisana Botkovieli

A successful pianist Khatia Buniatashvili



The article is dedicated to one of the reputational reward – the laureate of Rustaveli Award – a young pianist Khatia Buniatashvili. The article informs us of her creative life, successful tours in the different countries of the world. It's underlined one of her rare capacity with which she amazes the well-known musicians of the world – she can master any production in the shortest time.

The world classics

Maya Sigua

The anniversary evening of Arnold Shonburge



The author reviews the anniversary evening dedicated to the productions of the greatest composer of the 20<sup>th</sup> century Arnold Shonburge, but the composer's new musical thinking and commencement of a new direction are connected with the evening was dedicated to the 60<sup>th</sup> anniversary from the death of the composer. The organizer of the evening was a chamber orchestra “Tbilisi Concertino”. The pianists Nutsa Kasradze, Tamar Zhvania and a soprano Salome Jikia were taking part with the very orchestra. In the article the author and organizer of the measure George Shilakadze talks of the

## summary

separate details of the concert.

Date

Lali Kakulia

David Toridze



The article is dedicated to David Toradze, one of the prominent figures of the Georgian Music Art of the 20<sup>th</sup> century. The author presents his publication into two chapters:

1. Some words about David Toradze – the latter is presented as a multilateral person of a wide scale, i.e. he is not only a composer, but a statesman, teacher, pianist, the first Georgian improvisator of jazz. He is a person who gathered the Georgian folk songs, The author directs a reader's attention to David's mite in such events which provided the Georgian music with aesthetics, renovation of linguistic and technology, creation of new models of new synthetical and traditional genres. 2. In the second chapter Toradze is reflected as one of the first creators of the Georgian jazz music on the ground of which variety songs were sprung up by him. The important thing is that Toradze's songs are being sounded for five ten years and have no signs of old age. So the author even defines the secret of the very event.

A musician's diary

The material is prepared by Dimitri

Tumanishvili

A merciless epoch

The publication

reflects the events

existing in 1930-

50s, in the Soviet

Union; That was

an ideological

mpressing upon

the representatives

of science and Art

sphere. Here is

exactly presented correspondence of Moscow

post-graduate, later a music expert and

composer Ketevan Tumanishvili with the

members of her family in 1948-49s due to

the above-mentioned events the witness of

which she herself became. The publication

with the added comments was prepared by

Ketevan's nephew Dimitri Tumanishvili,

the distinguished art critic and Doctor of Art

ctricitism.



From the Zakaria Paliashvili's House  
Museum

Shorena Metreveli

Gulbat Toradze



The Zakaria Paliashvilis's date obliges  
The article informs us a reporting an evening

arranged in the House-Museum of the greatest Georgian composer Zakaria Paliashvili. On the very day when it was the first night of the composer's immortal opera "Abesalom and Etery", that later became a national occasion (in 1919, 21 February) there were invited the very persons, who for many years took part in staging "Abesalom and Etery" and even defined its success with much importance. In the very evening it was settled to inculcate the designation of the date as a tradition. The letter has an enclosure i.e. P.S. in which with the impression of the evening Toradze established the reason of the great Georgian singer Vano Saradzishvili's absence at the first night of the opera.

Paper of History  
Tamar Tsulukidze  
Noble trace




The author tells about the evening held in the Museum of the conservatoire of Tbilisi city. The evening was dedicated to the dead pianist at present – Tina Gogolashvili, she was a teacher and active performer too, whose concert working possessed beneficial reasons – propaganda of a new Georgian production, cognition of youth, the union

of the inhabitants of the farthest regions of Georgia with classical music (she was a culture – trader of the whole wide of scale of Georgia).

Her business had too much response and appreciation.

New editions  
Tsisana Botkoveli  
The book about Chabukiani




The article presents Z. Megrelishvili's book "Vakhtang Chabukiani". The author reflects the way of life and tops of creation of the main hero of the book.

Vakhtang Chabukiani was a great ballet-master, teacher, innovator, producer, librettist of the 20<sup>th</sup> century. He said a reformative word in the history of classical ballet. He created a dancing man in ballet and heroic images of men from the ancient and foreign culture and animated them either in the world's ballet models or in the productions born in the Georgian entrails. He founded national choreography on the Georgian ground.

Folk-lore  
Nino Gambashidze

Echo from Georgia




The author lets us know the book “Echo from Georgia” edited by “Nova science publishers”. These are seventeen arguments about Georgian polyphonia that was prepared

by the International Centre of the research of the traditional polyphonia of the state cConservatoire of Tbilisi city.

This is the first collected work in the English language defining the Georgian Poluphonia in many respects. The reason of which is to give a scientific knowledge of an event to the international society. The world has lately was sufficiently informed in the very sphere, i.e. it knows well the Georgian folk-lore by help of the tours of the Georgian ensembles. In this book there are arguments concerning the origin of polyphonia, diversity of the forms, their development, and not only from the side of Georgians, but even from that of the foreign scientists. One can get the book in the internet, on the edition site: [https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=23\\_318](https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=23_318)

Jazz  
Kakha Tolordava  
Delayed thanks to the musician



The article is dedicated to Tmaz Kuashvili, as the author says – one of the greatest Georgian jazzman of contemporaneity. The author thanks him too much for many things, for

eg., He was a link nearly for all the jazzmen of the new generation, nothing to say about ametuers of jazz. He almost lonely could inculcate on the map the place of jazz a thousand of Georgians were interested in. Tamaz Kurashvili is considered to be a perfect part of the very musical inheritance which some time moved from Africa and the other rest sides of the world to the direction of a new continent. The author recollects the legendary international jazz festival held in 1989 in Tbilisi city. In those days before the autitory of the citizens of Tbilisi the world jazzmen presented their productiona. They were: San Ra, Fredi Habard, Art Blake, Jimmi Smith, Jack Macleen, Jone Geelmore, Nils Hening – Padersen, Kenny Drew and others, and quite near with them Tamaz Kurashvili was such an important jazzman as the rest of them. Besides that, he was obliged to missionary responsibility.